

140  
1980

ISSN 0132-5973

ՀԱՅԿԵՆՏ  
ՀԱՅԿԵՆՏ



**ՀԱՄԱԵՆՈՒ**

**2**  
1980



# თავისუფალი საქართველო

თეიმურაზ  
ჯანგულაშვილი



„ავრორას“ ქუბილმა  
სივრცენი განვლო რა,  
შავ ზღვიდან ბაქომდე  
იქუხა „ავრორამ“.

გუგუნებენ ლენინი  
კავკასიის მთანი,  
ტელეგრაფის ბოძებს  
უვლის ჟრუანტელი —  
ატყობინებს ლენინს,  
ატყობინებს სტალინს.  
სერგო გულანთებით:  
— ჩვენი დროშა ელავს  
საქართველოს თავზე!  
სიხარულით ღელავს  
კაცი სიბრძნით სავსე —  
იმ დეპეშით ხელში  
დგას ლენინი კრემლში.  
რეკენ, რეკენ, რეკენ  
კრემლის კურანტები,  
ტელეგრაფის ბოძებს  
უვლის ჟრუანტელი.

ჩვენს უძველეს მიწას  
დღენი ახსოვს ბევრი,  
მაგრამ იმ დღის ნათელს  
ვერ ჩააქრობს ვერვინ.  
ცას მოეხსნა მაშინ  
წყვდიადი და თალხი,  
იმ დიდ თებერვალში  
აღსდგა ჩვენი ხალხი,  
მტერს შეება მედგრად,  
ჰგავდა მთების არწივს.  
ქართველს მხარში ედგა  
მოძმე რუსი კაცი.  
შემოვიდა დილა  
დარიალის კარით  
და დაიდგა მიწამ  
ცისარტყელას რკალი.

თებერვალო, მაისის  
შუქის შემონათებავ,  
ჩვენი ზეცის ღიმილო,  
ჩვენი მიწის ხატებავ,  
შენთვის ვფერავ სიმღერას,  
შენთვის მეცვა ფარაჯა,  
ბრძოლაა თუ შენება-  
ვდგავართ შენდა დარაჯად.  
შენით შევეტრფით დღეის დღეს,  
ხვალინდელიც მოჩანს მზე!  
შუქმა მუდამ იმატოს  
საქართველოს დროშაზე!

**„პიონერი  
ვეზაღვა,  
რომ  
გახდეს  
„კომკავშირალი“**

ნორჩ  
პიონერთა  
კანონებიდან.

# თარგმან სკოლის კანონი

**ნიმუ  
ხარაზიშვილი**

ლობის ღრიჭობებიდან მრავალი ცნობისმოყვარე თვალი შემოჰყურებს ნორჩ ინსპექტორებს. განა მართო ცნობისმოყვარეობით, ერთგვარი გულდაწყვეტილითა და გასცქერიან პატარები შუა ქუჩაში, სამანქანო გზაზე განვიად გაბმულ ლენტს, მანქანებისათვის მთელი საირმის ქუჩა რომ გადაუეტყვას, ლენტის გასწვრივ გამწვრივებულ მორიგეებს. აქაოდა, სკოლაში მიმავალთა გზა არაფრით დაბრკოლდესო.

ის პაწიები საბავშვო ბაღის აღსაზრდელები არიან, ნორჩი ინსპექტორები კი საბავშვო ბაღის შეფის — კ. დ. უშინსკის სახელობის თბილისის 163-ე ექსპერიმენტული სკოლის პიონერ-მოსწავლეები.

ზამთარს შეუბრალებლად გაუძარცვავს ხეები სკოლის ეზოში. დილაა. ვაკვეთილები მიმდინარეობს. ეზოში კი მაინც ბევრი ყმაწვილია ნაგვის ასაკრეფებით თუ ნიჩბებით ხელში... დილის სუსხს თითქოს სილა გაუწნავსო, ისე აბრიალებიათ ლოყები გოგობიჭებს.



ცოცხალი სიტყვა და დოკუმენტური მასალა ფასდაუდებელია ისტორიის შესასწავლად — ამ პედაგოგიკას არ ივიწყებენ თბილისის 163-ე ექსპერიმენტული სკოლის თანაურალები.

კარგა ხანია სკოლის შენობის ეზოს, სასწავლო ინვენტარის მოვლა-დასუფთავება პირადი ღირსების საქმედ მიიჩნიათ ექსპერიმენტული სკოლის მოსწავლეებს. მათ დღესაც შაბათობა აქვთ.

რათ, რა თქვეს იმ პიონერებმა, წელან გვერდით რომ ჩავვიარეს?... რათ და, მალე ჩვენც ვეღარ ვიცნობთ ჩვენი სკოლის ეზოსო, სპორტული და გეოგრაფიული მოედნები რომ გაიმართება. განაშენიანების საქმე რომ მოგვარდება, ალბათ სულ შეეცვლებაო იერ-სახე...

ვის არ წაუციტხავს არცადი გაიდარის „თემური და მისი რაზმი“, მაგრამ მარტო საყვარელ გმირთა წაბადვის სურვილი როდი იყო ამ სკოლაში თემურელთა შტაბის შექმნის მიზეზი. მეშვიდეკლასელ კოტე ქავთარაძესა და მის მეგობრებს სულითა და გულით უნდოდათ მსგავსი კეთილი საქმეები თავადაც ჩაედინათ. ვინ მოთვლის, შტაბის შექმნის დღიდან, რამდენი ვეტერანი კომკავშირელი აღმოაჩინეს მათ სკოლის მიკრორაიონში. ქეთევან სანაძე,

**პ.ი.ლენინის დაკავშირებული  
110-ე წლისთავის  
გეგმვა-დაგეგმვა**



დავით ჩანჯღავა: ქეთევან გუჯაბიძე... უფროს მეგობრებს ხშირად აკითხვენ, მათ ნაამბობს იწერენ. მოკრძალებით ეხებიან ფერგადასულ ფოტოებს — და სკოლაში მიაქვთ ვეტერან კომკავშირელთა ცხოვრების ამსახველი ფოტოალბომისათვის. ამავდარ ადამიანებთან ურთიერთობამ ბევრი რამ ასწავლა თემურელთა შტაბის წევრებს.

აქ ყველა პიონერმა იცის, რომ ისინი ხვალისდელი კომკავშირელები არიან, რომ კომკავშირი მოზარდის პოლიტიკური შეგნებულობის, იდეური ფორმირების უმაღლესი საფეხურია. საქართველოს კომკავშირის ლენინის ორდენით დაჯილდოების ფაქტს მიუძღვნა ექსპერიმენტულმა სკოლამ მეცადინეობების ციკლი — „კომკავშირის ისტორიის გაკვეთილები.“

ალკ რიგებში პიონერთა მიღების საკითხს დიდ ყურადღებას აქცევენ სკოლის პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები, რაც გამოიხატება მათი ერთობლივი ღონისძიებებით — კლასთაშორისი კონკურსებით საზოგადოებრივ დავალებათა შესრულებაში, საკლასო ოთახის, სასკოლო ნივთების მოვლაში.

გუშინდელი აქტივისტი პიონერები, დღეს კი აქტიური კომკავშირელები — მეთაურული მარცხა გოგინაძე, მეცხრეკლასელები დათო მაშიძე, ანდრო როგავა და სხვები — პიონერულ რაზმებს ხელმძღვანელობენ. მათ საქმიანობას სკოლის კომკავშირის კომიტეტის პიონერული მუშაობის სექტორი წარმართავს, რომელსაც მეთაურული თამრიკო ქვარცხავა მეთაურობს.

გამოცემა 1926 წლის

საქართველოს აკადემიის და  
პ.ი.ლენინის სახელობის  
პიონერთა ორგანიზაციის  
რესპუბლიკური საბჭოს  
საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი



## პიონერი

2 თებერვალი 1980

საქ აკ აკ-ის გამომცემლობა

საქართველოს  
პიონერთა ორგანიზაციის  
რესპუბლიკური საბჭოს  
საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი





# უხნაუხრი საუბრა

ლუარისხან ბრიგოლაშვილი

მხატვარი ჯემალ ლრულა

მ ო თ ხ რ ა

ამ ხმამ მაშინვე უკან, მოედინისკენ შემატრიალა. „ნეტავ ვინ უნდა იყოს? საიდან მეცნობა ეს ხმა!“ — გავიფიქრე და, ფრონტით ჩემსკენ რომ იდგა, იმ მწკრივს დავუწყე თვალიერება. ამდენი უცნობი სახის დანახვამ ერთბაშად დამაბნია და თვალები ამიკრულა, ახალა მივხვდი, რომ ეს ახალწვეულ კურსანტთა მწკრივი იყო, მეორე მწკრივში კი ძველი, უკვე ვალმოხდილი და დემობილიზებული ორწლიანები იდგნენ, რომლებიც დღეს ტოვებდნენ „აქლემის გორას“. ამის გაფიქრება ძლივს მოვასწარი, რომ მაიორის ბრძანებაც გაისმა:

— რიგითო ჯარისკაცო ბასილაშვილო, ორი ნაბიჯით — წინ!

ვუყურებ და რას ვხედავ, მწკრივის წინ ჩვენი ნოდარა არ გამოიჭიმა?! თვალს ჩემსკენ აპარებს და სახეზე ღიმილი დასთამაშებს. ოდნავ შესამჩნევად დავუქნიე ხელი და მწკრივს კიდევ უფრო მივუახლოვდი.

— მწკრივში ნებადაურთველი ლაპარაკისათვის — სამი რიგგარეშე განწესი! — გაისმა მაიორის მკაცრი ხმა.

— არის სამი რიგგარეშე განწესი! — შეაგება ნოდარმა, ოლონდ, ეტყობა, ამით უსიამოვნო ინციდენტი მოთავებულად ჩათვალა, ანდა, უბრალოდ, გადაწყვიტა, რომ აღარაფერს ჰკარგავდა, და უცებ ქართულად წამოიწყა: — რა ვქნა, მიიმა ბიძია, თამაზი რომ დავინახე...

— ბასილაშვილო! — შეუტახა მაიორმა, მაგრამ ღიმილი ველარ შეიკავა და ახლა მეორე მწკრივს მოუტრიალდა: — შეაყარე კედელს ცერცივი! — მერე მწკრივის თავში მდგომი ტროფიმოვის წინ გაჩერდა. — რას იტყვი, ამხანაგო სერჟანტო, ვითომ დადგება მაგისაგან მესაზღვრე?

— მაგისთანები გვინახავს, ამხანაგო მაიორო?! — შეაგება გენადი.

— ეგეც მართალია, — თქვა მაიორმა და ისევ ნოდარს მიუბრუნდა: — ჩადექი მწყობრში და ჰკუთით იყავი, იცოდე!

საგუშავოზე ნოდარის გამოჩენამ, რაღა თქმა უნდა, ძალზე გამახარა. ნოდარი ხომ ციციხოს თანაკლასელი იყო და ჩვენს მეზობელ ქუჩაზე ცხოვრობდა. ასე რომ, ბავშვობიდანვე კარგად ვიცნობდი. ეს ტანადი, ლამაზი და მხიარული ბიჭი ყოველთვის მიყვარდა და ახლაც გულწრფელად გამახარა მისმა დანახვამ.

შევსებას ჩვენს მთაზე კარგა ხანია მოველოდით. ყველამ კარგად იცოდა, რომ ახალწვეულები ქალაქის გარნიზონში ჯერ კიდევ ატილის ბოლოს ჩამოიყვანეს და აგერ, თითქმის ორი თვე სასწავლო-საწვრთნელ ასეულში გადიოდნენ მომზადებას. ამ ორიოდ კვირის წინ კი

პერკომა ამბავი ამოიტანა, ორ-სამ დღეში კურსანტებს გაანაწილებენ და ერთ მოზრდილ ჯგუფს მთაზეც უნდა ველოდეთო. იფიცებოდა, გარნიზონში ვიყავით, ლეიტენანტმა და ზემდეგმა უკვე შეარჩიეს კიდევ აქ წამოსაყვანი ბიჭები.

მას შემდეგ მთელი ორი კვირა, როგორც იტყვიან, ჩემოდნებზე ისხდნენ ორწლიანები.

და, როგორც იქნა, დღეს მოხდა „თაობათა ცვლა“, თუმცა, კაცმა რომ თქვას, რომელ თაობებზე შეიძლება აქ ლაპარაკი, განსხვავება მათს ასაკში ხომ სულ რაღაც ორიოდ წელია. ასეთი „თაობათა ცვლა“ ყოველ გაზაფხულსა და შემოდგომაზე ხდება ამ მთაზეც და მთელ ჩვენს არმიშიც. ასე რომ, განსაკუთრებული არც არაფერი მომხდარა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით...

ყოველ შემთხვევაში, მაიორი ბეროშვილი, როგორც ყოველთვის, ახლაც შეეცადა ეს დღე რაღაცით გამორჩეული, განსაკუთრებული, მნიშვნელოვანი და ღირსსახსოვარი გაეხადა იმათთვისაც, ვინც დღეიდან იწყებდა მესაზღვრის რთულსა და დაძაბულ ცხოვრებას და იმათთვისაც, ვინც დღეიდან სამოქალაქო ცხოვრების ყოველდღიურობას უნდა დაბრუნებოდა.

— ახალწვეულო ჯარისკაცებო! — ამბობდა მაიორი, — სულ ცოტა ხნის წინათ თქვენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, თქვენი თავის ბატონ-პატრონები იყავით. სამხედრო ფიცის მიღების შემდეგ კი საბჭოთა მეომრები ხართ. მე თქვენი მეთაური ვარ. მე გიბრძანებთ. თქვენ კი ასრულებთ. დიას, ყოველი თქვენგანი ვალდებულია შეასრულოს ის, რასაც მე ან სხვა ნებისმიერი მეთაური გიბრძანებთ. ეს სამხედრო წესდების ელემენტარული მოთხოვნაა. სამოქალაქოში თქვენ შეგეძლოთ შედავებოლით უფროსს, შეგეძლოთ ეპქვემ დაგეყენებინათ მისი ბრძანება, გეკამათათ, სწორად მოიქცა თუ არა, კანონიერი იყო თუ არა მისი განკარგულება და სხვა. ახლა თქვენ ამის უფლება აღარა გაქვთ! დღეიდან თქვენთვის ერთადერთი კანონი არსებობს — მეთაურის ბრძანება. ყოველი ბრძანება უნდა შესრულდეს სიტყვის უეუბრუნებლად. ზუსტად და დროულად. სამხედრო რეჟიმი მკაცრია, მაგრამ სწორედ იგია არმიის ძლიერების საფუძველი.

აქვე, მოედანზე, მაიორმა ახალწვეულ ჯარისკაცთა სამწყობრო და საბრძოლო მომზადების შემოწმება მოაწყო, ვითომდა, მოლით ერთი, ჩვენს ნაჯარისკაცარ მეგობრებს ვუჩვენოთ, რა არწივები მოფრინდითო. ხომ უნდა იცოდნენ, ვის ანაბარა ტოვებენ საზღვარსაო.

— სწორია, სწორი, ამხანაგო მაიორო! — დიდი ამბით დაემოწმნენ ძველები.

— შეიძლება, ამხანაგო მაიორო? — წამოიძახა ნოდარმა.

— გისმენთ, — თქვა მაიორმა. — მოვუსმინოთ, ამხანაგებო!

— შემოსულია წინადადება, ამხანაგებო, — კრების თავმჯდომარესავით საქმიანი იერით დაიწყო ნოდარმა, — ვისი სამწყობრო და საბრძოლო მზადყოფნაც სათანადო დონეზე არ აღმოჩნდება, როგორც წუნდებული საქონელი, შინ დავაბრუნოთ!

ისე ირჩებოდა, თითქოს აგერ ახლა სამი რიგგარეშე განწესი არ წამოიყვანებინოს!

ახალწვეულთა მწკრივში მხიარულმა სიცილმა იფეთქა. მაიორმა ხომ პირდაპირ ტაში დაუკრა ამ წინადადებას:

— ბრავო, ბასილაშვილო, შესანიშნავია! საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვთ, პირდაპირ თქვენით რომ დავიწყოთ? ტროფიმოვ, აბა, გამოდით, ვნახოთ ერთი, რა შინგასაფრენიც ბრძანდება!

სერჯანტი ტროფიმოვი სიხარულით გაიბადრა, რაკი შინ წასვლის წინ, უკანასკნელად კიდევ ეძღეოდა საშუალება, ეჩვენებინა, თუ როგორ ეხერხებოდა თავისი კარგად დაყენებული საუფროსო ხმით ბრძანებების გაცემა. ბევრი ატრიალა ჯარისკაცი ბასილაშვილი წინ და უკან, მარჯვნივ და მარცხნივ, ჯერ უიარაღოდ, მერე კარაბინით და ავტომატითაც. მაგრამ ნოდარი ბრძანებებს მოხდენილად, ზუსტად და სხარტად ასრულებდა.

მერე ნოდარს სხვებიც მიუყენეს გვერდით და ეს თავისებური სამხედრო აღლუმი კარგა ხანს გაგრძელდა, თითქმის ვახშობამდე, რომელიც, თავის მხრივ, შეხვედრა-გაცილებების სადღესასწაულო ბანკეტი უფრო იყო. ეტყობა, სავანგებოდ გარჯილიყო შეფშხარებული კიმიკ ნაჰადაყიანი და მთელი ბრწყინვალეებით გამოეფინა თავისი ხელოვნება.

**ს ღ კ მ ზ ე**

მე უკვე გადავიწურე სოკოს პონის იმედი და კარგა ხანია, აღარც ვაცეცებ თვალებს აქეთ-იქით. აჰ, ამ აღდგენილებაში, შარშან შემოდგომაზე ფენს ვერ აუქცევდი სოკოს. რაც მე აქედან მანჭკვალა და მელისკულა ვზიდე! თითო ისეთ ბუჩქს მიადგებოდი, თითო ვედროს ავსებდა. დამწინილებასა და დამუუუუებებს ვერ ავუდიოდით მე და მამაჩემი. რასაც უცებ ჩავხრავავდით ტაფაში, ის კიდევ ხომ სხვა იყო. სოკოს მწნილი და მუუუუი აგერ აპრილ-მაისამდეც კი შემოგვკვია. მამაჩემი სწორედ რომ ამ საქმის პროფესორია. მე, აბა, სად მოვალ იმასთან, მაგრამ, კვებით არ ვიტყვი და, აღარც ბევრად ჩამოვუვარდები. შეუმცდარად ვცნობ საჭმელ სოკოთა, სულ ცოტა, ოცამდე სახეობას, ამათში, ცხადია, არ ვთვლი იმ რამდენიმე სახეობის საჭმელ სოკოს, რომლებსაც ჯერჯერობით მხოლოდ ფერადი ფოტოებითა და ილუსტრაციებით ვიცნობ ცნობარებიდან და რომელთა „პირადად გაცნობა“ ჯერჯერობით არ მეღირსა.

უცებ ზურგს უკან რაღაც ფაჩუნის მომესმა. „დათვი არ იყოს!“ ვგრძნობ, როგორ გამბურძგლა ტანში. შემოვბრუნდი და — მაღალი, ტანბრგვე გოლიათი ტყისმცველი ტრიფონ ლაბაძე არ შემრჩა?! მოკლედ დაყენებული ჭალარა წვერ-ულვაშის მიუხედავად, ტრიფონა ძიას ჯერ ბერიკაცს მაინც ვერ უწოდებ, თუმცა აგერ უკვე სამოცს უკაკუნებს.

ტრიფონა ძიას ჩვენი ჩამოსვლის პირველ დღეებშივე დავუახლოვდი, რადგან, როგორც ზემოთაც ვთქვი, მთელი შემოდგომა ტყეში დავხეტიალობდი სოკოზე და ტყისმცველსაც წარამარა ვხვდებოდი. ოთარიც ახლოს იცნობს ტყისმცველს, მამაჩემიც, რადგან მამაჩემი ერთხანს მარტოს არ მიშვებდა სოკოზე, ან თვითონ გამომყვებოდა ხოლმე და ან ოთარს მაყოლებდა თან. რამდენჯერ შევეცევივართ ერთად შუა ტყეში, სადმე მოლზე წამოგორებულნი, ნაკვერცხლებზე მოთუთქულ და მარილმოყრილ ქამა სოკოსა თუ კეისრის სოკოს, რომელსაც აქ ყველა სოკოწითელას ეძახის. რამდენჯერმე კი მე და ოთარი თავის „ავარაკზეც“ მიგვიწვია. „ავარაკს“ ტრიფონა ძია აქვე ტყეში საკუთარი ხელით აგებულ ხის სახლს უწოდებს, რცხილაშერეულ ფიჭვნარში რომ დგას ფერდობზე და გვერდით ყინულივით ცივი წყარო ჩამოუდის. თვითონ ტყისმცველი სოფლის თავში, ტყისპირას ცხოვრობს, „არ გაუშვა“ ცინის ძირში. ეგ ქვიტკირის ორსართულიანი სახლიც საკუთარი ხელით აუშენებია ამ სამიოდე წლის წინ. რა ხელობა გინდა, რომ მაგან არ იცოდეს. ერთი ქალიშვილი ჰყავს, ეგ არის და ეგ. ნათესავეები, როგორც თვითონ ამბობს, ბლომად ჰყოლია საჩხერის რაიონში, საიდანაც ტრიფონა ძიას მშობლები





გადმოსახლებულან 1944 წელს. მაშინ ტრიფონა ძია ფრონტზე ყოფილა.

— ჩემს გაცემას საზღვარი არ ჰქონდა, მამაჩემისა და დედაჩემის წერილი ნაწიოკარიდან რომ მივიღე, — მითხრა ერთხელ ტრიფონა ძიამ. — ასე და ასეო, მწერდნენ, დავთმეთ ჩვენი ხრიოკი და უნაყოფო მთა, ახლა აქაურები ვართ და წერილი ამ მისამართით მოიწერეო. მეწყინა, მაგრამ რას ვიზამდი. ომი რომ დამთავრდა, აქ ჩამოვედი მშობლებთან, მაგრამ დიდხანს ვერ გავჩერდი. ერთხანს თბილისში ვიცხოვრე, მერე რუსეთში წავედი, ვიფიქრე, ხელობა ბევრი ვიცი, ცოტა ფულს გავაკეთებ და ჩამოვალ-მეთქი, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ ჩავრჩი იქა. სანამ მამაჩემი ცოცხალი იყო, ვცხოვრობდი არხეინად, რასაც ვშოულობდი, მყოფნიდა. აქეთ, მოხუცებლაც ვუგზავნიდი ცოტ-ცოტას... ის კი არა, სატყეო ტექნიკუმიც კი დავამთავრე.

— რომელ ქალაქში ცხოვრობდით, ტრიფონა ძია?  
— იიპ, — გაიცინა და ხელი ჩაიქნია, — თვლა უნდა?! სანამ ახალგაზრდა ვიყავი, თავქარიანობაც არ მაკლდა, გული დიდხანს ერთ ადგილზე არ მიჩერდებოდა, ოჯახსაც ავი გვიან მოვეკიდე. მერე ამ გოგოს დეიამ. ღმერთმა გაანათლოს იმისი სული, ჩამავლო ხელი და აღარ გამიშვა. უფრო სწორად, მე ვეღარ შევევლიე იოლად და შევრჩი ასე ვორონესს. გული კი, გული სულ საქართველოსკენ მეწყოდა.

— მაგას „ნოსტალგიას“ ეძახიან.  
— იცოცხლე, ლამაზი სიტყვაა, ვერაფერს იტყვი! — ამოიხზრა და თავის ჩაქნევით დაუმატა: — თვითონ გრძნობა კი, რომელსაც ეგ სიტყვა გამოხატავს, ოო, სამინელი რამ არის, მტერსაც არ ვუსურვებ! დედა რომ მომიკვდა, ერთი მაშინ დავაპირე სამუდამოდ გადმობარგება, მაგრამ არ მომიხერხდა. მამაჩემის სიკვდილის ცნობა რომ მივიღე კი, მაშინ მართლა ავიკარ გულანაბადი, მით უფრო, რომ ახალი დაქვრივებული ვიყავი და ამ გოგოს მეტი აღარავინ გამაჩნდა. რაზე უნდა ამეოხრებინა მამისეული კერა. მას მერე ვარ აგერ...

ახლა, ტრიფონა ძია რომ დავინახე, პირველად რაღაც უსრამო გრძნობა დამეუფლა, რაკი მაშინვე ჩემი „შავი სია“ გამახსენდა. თვით ის ფაქტიც კი, რომ ტრიფონა ძია ამ ერთობ საჩოთირო სიაში მყავს შეყვანილი, ჩვენი ძმაცაცობის აშკარა შეურაცხყოფაა. შტერი ვარ და ბაიყუში, ადამიანების ცნობა არ ვიცი-მეთქი, — დავტუქსე ჩემი თავი და ტრიფონა ძიას დამნაშავეს უნდელი ღიმილი შევაგებე.

— კაი გამარჯობა შენი! ვიფიქრე, ვინ არის-თქვა! — იცინის ტყისმკველი და, ხელს რომ მართმევს, თვალი კალათისაკენ გაურბის. — ეს რაო, სოკოზე წამოსულხარ, თუ?

— ტყუილად ვიარე.  
— ერთი კარგი წვიმა რომ მოსულიყო, იცოცხლე, წამოვიდოდა სოკო, მაგრამ... — ამბობს ტრიფონა ძია.

— ამ ერთი თვის წინ რომ ორი კაცი დააკავეთ, რა სოკოს კრეფდნენ, მთელი კალათა სახვე ჰქონდათო, გავიგე — ვეუბნები ტრიფონა ძიას.

— იმ სოკოს კაცი ენდობა?! — ხელი ჩაიქნია ტყისმკველმა. — რაც ერთხელ მაგ ხარისფაშვამ „გამიშვით-გამატარეთ“ მძახებინა! შარვლის შეკვრას ვერ ვასწრებდი! — სიცილით დაუმატა.

— რას ერჩოდით იმ საწყლებს, ტრიფონა ძია, აღარც გაციებს იმ თბილისელს, ისეთი შიში გიჭმევიათ! რა შეატყვეთ საეჭვო?

ტრიფონა ძია ხის ძირში, ლოდის ქიმზე ჩამოჯდა და თუთუნის ქისა ამოიღო.

— შენ რა იცი, თამაზ, ჯერ შენ ბავშვი ხარ.

— ეგ კია, საბუთები თან არა ჰქონია კაცსა და ტრიფონა ძიამ, — კიდევაც თან რომ ჰქონოდა, მაინც დავაკავებდი. ჯერ ერთი, მე რა ვიცი, რომ საბუთები ყალბი არ არის. დაე, ხელისუფლებამ თავად შეამოწმოს, ასე უფრო ნაღია და საიმედო. მეორეც, ასე შორს რომ შემოვიდნენ ტყეში, უკვე ამით აღმიძრეს ეჭვი. შუბლზე კი არ აწერია კაცს, მტერია თუ მოყვარე, დალოცვილო! მტერი ზოგიერთ შხამიან სოკოსა ჰგავს, შვილო, საჭმელი სოკოსაგან ძნელად რომ გაარჩევ... ბილწა სოკო ხშირად ქამა სოკოში ერევათ ხოლმე, ეს შეცდომა კი სიკვდილის ფასად უჯდება ადამიანს.

— ოცდახუთი მილიგრამი ჰყოფნის, გრამის მეოთხედი! ჯერ არავის უნახავს თურმე, მაგით მოწამლული კაცი გადარჩენილიყოს! — განვაცხადე ავტორიტეტულად. — სხვა შხამიანი სოკოები მაგასთან მონავონია!

— ჰოდა, თუკი ბილწას ქამა სოკოსაგან განმასხვავებელი სულ ცოტა ოთხი ნიშანი მაინც აქვს და მაინც ეშლებათ, — ღიმილით განაგრძო ტრიფონა ძიამ. — ადამიანები უფრო ძნელი გამოსაცნობნი არ არიან? მე ჩემი ვალი მოვიხადე. მაშ, რისთვისა ვარ აქა?! მარტო მესაზღვრეები აქ რას გახდებიან, ჩვენც მესაზღვრეები ვართ, აქ რაკი ვცხოვრობთ!

— საიდანაც ელექტროხერხის ხმა ისმის! — ვთქვი მე.

— მეშახტეები არიან, — თქვა ტრიფონა ძიამ. — იქით მივდივარ ახლა, ზედმეტი არაფერი გააყოლონ ხელს. — ერთი გემრიელი ნაფაზი დაარტყა და წამოდგა. — არადა, ერთ სიკვდილს ვათავებ წაქეული ხის დანახვაზე. არ შემიძლია გულმშვიდად ვუყურო „ხის სიკვდილს“. შენ წარმოიდგინე, აქამდე ვერ მივეჩვიე. ხე რომ შექანდება და დაენარცხება მიწაზე, ზოგჯერ ჩემდა უნებურად თვალებსა ვხუჭავ. ბავშვით საცოდავი გულისა ვარ, ეს ოხერი! თავს იმითლა ვიმშვიდებ, რომ ზომიერად და გეგმიერად ხის ჭრა თვითონ ტყისთვისვე საჭირო, რა ვუყოთ! წავედი აბა, მიშა და ოთარი მომიკითხე!

— აუტილებლად გადავცემ! — შევპირდი.  
ტრიფონა ძიამ მხარზე ორულულიანი თოფი შეისწორა, „ნახვამდის, კარგად იყავიო“ და ფეხაჩქარებით შეუყვებოდა ბილიკს.


### ხედავ დაიწყო

ვერ იქნა და ვერ ჩადგა კალაპოტში ჯარისკაცი ნოდარ ბასილაშვილი, ვერ შეეგუა სამხედრო რეჟიმს. მის ათმეთაურს ოთარ ხუროშვილს თუ დავუჭერებთ, მარცხი მარცხზე მოსდის თურმე. დილაობით წარამარა მწყობრში ავციანებს, ერთი-ორჯერ ქამარი ჰქონდა ძალზედ ჩოჩლედ შემოჭრილი. ერთხელ გიმნასტურის საყელო ჰქონდა უხეიროდ მიკერებული, ერთხელ წვერგაუპარსავი ჩამდგარა მწყობრში, სხვა დროს ჩექმა არ ჰქონია გაწმენდილ-გაპრიალებული...

მოკლედ, შენიშვნას შენიშვნაზე იღებს ნოდარი და რიგგარეშე განწესითაც ხშირად ზის სამხარეულოში კარტოფილის საფცქვენლად ან ქვაბებისა და ჯამების სახეხად.

— ყველაფერი რომ აპატიოს კაცმა, ავტომატის მოუვლელობას ვინ აპატიებს, ძმაო! ამას წინათ პირადად მაიორმა შეამოწმა ავტომატები და მაინცდამაინც მაგისი აღმოჩნდა გასაწმენდი და დაუხედავი... ჰოდა, წააყუდა სამი დღე-ღამით ჰაუპტგენშტი! მომავალ კვირას კომკავშირის კრებაზე გავჯორავთ კიდევ და...

— იქნებ შეერგოს, ვნახოთ!  
ეს ლაპარაკი გუშინ გვქონდა მე და ოთარს, დღეს კი,



რას ვეწყობი და... ეგაა, რომ ერთი ელექტროგიტარის შექმნა დაგვეკირდება.

— მაგ საქმეს მე ჩაგიწყობთ მამაჩემთან ერთად!  
— გიშველა ღმერთმა!  
— მაგრამ წინასწარ ვიცი, რასაც მეტყვის...  
— რასა?  
— რასა და, მე აქ პირველ რიგში ჯარისკაცები მჭირდებიან და მერე არტისტები! აი, რას მეტყვის! შენ კი... ნოღარი უხერხულად იშმუშნება.  
— მესმის, სადაც მიტყვამ, მესმის... ეს ოთარი რაღას გადამეკიდა, ბიჭო! რას მიდგას, ძმაო, კრიჭაში!  
— ოთარი კაი ბიჭია, ტყუილად ემდურები.  
— კაი ბიჭია და იყოს თავისთვის, არ მინდა მე მაგის ათეულში!  
— შენ გგონია სხვა თავზე ხელს გადაგისვამს?  
— სხვისგან უფრო იოლად ავიტან! ახლა კომკავშირის კრებაზეც რომ გააქვს ჩემი საკითხი?! ვუზამ მე მაგას სეირს, თუ კაცი ვარ!  
— ერიპა! შენ აღარ ხუმრობ, აი!  
— ჩასაფრება და გამოჭერა როგორ უნდა, ახლა ნახოს! იმ კომკავშირის კრებას ჯერ მაგის საკითხს გავარჩევინებ, ვნახოთ ერთი, რა სანიმუშო და თითით საჩვენებელი ბრძანდება!  
— ნუ მომკალი სიცილით, თუ ძმა ხარ! — ვეუბნები ნოღარს, თუმცა სულაც არა ვარ სიცილის გუნებაზე. იმიტომ კი არა, ნოღარის მუქარა რამედ მიმაჩნდეს, ისეთი აბა, რა უნდა ჩაიდინოს ოთარმა, რომ ამის სალაპარაკოდ თავი გაიხადოს! უბრალოდ გულსატკენია, ესენი რომ ასე ცუდად უგებენ ერთმანეთს.  
— ფაქტის წინაშე რომ დაგაყენებ, მერე რაღას იტყვი? — ისეთი კილოთი მეკითხება ნოღარი, თითქოს სამხილი უკვე ჯიბეში ეღოს.  
— ნეტავ ვიცოდე, რა ჩაიფიქრე?..  
— გეხუმრე, თამაზ, მართლა კი არ გეგონოს. — როგორღაც ერთბაშად მოტყდა ნოღარი და მეც ერთბაშად მომეშვა გულზე, მით უფრო, რომ ნოღარმა სიცილით მომიტყაპუნა მხარზე ხელი და დაუმატა: — ემანდ, ოთარს არაფერი უთხრა, უფრო არ გადაიოო კაცი!  
— შნახე რალა ამბიტანია! — მივიუგე მე.  
— აბა, ახლა კი სიმღერა! — დაიძახა ნოღარმა და გოლოსნოის ბაიანზე ანიშნა, მიდი, რაღას უყურებო.

ნაშუადღევს, გავიხედე და, „სალაყბოში“ გიტარით ზის ჩვენი ნოღარი. შემოუსვამს გარშემო რამდენიმე ჯარისკაცი და მღერის არხეინად. მოდი და დაიჭერე, რომ სამდღიანი პატიმრობის ვადა აგერ ახლახან გაუვიდა.

საერთოდ, მოწყენილსა და ცხვირჩამოშვებულს ვერასოდეს ნახავთ ნოღარს. სიმღერა ხომ სწორედ სტიქიაა მისი.

ნოღარი ჯერ კიდევ სკოლის თვითმოქმედ ანსამბლში ითვლებოდა საუკეთესო მომღერლად და ცეკვითაც კარგად ცეკვავდა. სხვათა შორის, ესა და ჩვენი ციციხო ერთად ცეკვავდნენ „ქართულს“.

საგუშავგოზე მოსვლის დღიდანვე ნოღარმა კვარტეტის ჩამოყალიბება გადაწყვიტა, ოღონდ ისე, რომ ეს მისი განზრახვა ჯერჯერობით არამცთუ საგუშავგოს მეთაურობამ, თვით ამ ბიჭებმაც კი არ იცინან, რომლებსაც ასე, ხუმრობა-ხუმრობაში ხმებს უმოწმებს. შეიყრებიან ბიჭები ვახტისაგან თავისუფალ დროს და, თუმცა ხმების შეწყობა და სიმღერების დახვეწა ერთი შეხედვით ჯარისკაცური ლაზღანდარობის ხასიათს ატარებს, მაგრამ, როგორც ნოღარმა თქვა, თურმე საქმე სანახევროდ უკვე გაკეთებულია.

— გუნდი უკვე არსებობს, თამაზ, იცი, რა ხმები აღმოვაჩინე?! მთავარი ინსტრუმენტები გვაქვს, ჯერჯერობით იოლად წავალთ. აგერ, ვანია გოლოსნოი ბაიანს უკრავს გადასარევედ, უგრინი პიანინოს ვირტუოზი ყოფილა, მეც, თქვენი მონა-მორჩილი, ცოტ-ცოტაობით გიტა-

ვანია გოლოსნოი ლოყით დაეყრდნო ბაიანის ყუას, ჩამოქნილი გრძელი თითები ლამაზად აათამაშა კლავიშებზე და შეღამებისწინა მყუდროებაში ლალად დაირხა ნაცნობი მელოდია:

Над рекой — туман,  
За рекой — граница.  
Ну-ка, друг, — баян,  
Что-то мне не спится...  
Вспомним дом родной, далекий,  
Под окошком вязы,  
Где встречались, где расстались  
С милой черноглазой...

**ვიღახ ღაქქაქქხ**

არ ვიცი, ვინმესგან გამიგონია თუ სადღაც წამიკითხავს, აკვანში მწოლარე ჩვილის ოღნავი წამოტირებაც კი საკმარისია თურმე, რომ ღრმა ძილში მყოფი დედა ერთბაშად გამოფხიზლდეს, რადგან გარკვეულ პერიოდში რაღაც ბიოლოგიური რეფლექსების მთელი კომპლექსი უვითარდება.





მამაჩემისა და ტელეფონის საქმეც ასეა. რაც უნდა დალოლო იყოს მამა, რაც უნდა ღრმად ძილით ეძინოს, კაცს რომ გგონია, ყურთან ზარბაზანი რომ დაუცალო, ვერ გამოაღვიძებო, — ტელეფონის ერთი, ჰა და ჰა, ორი გაწყვილება საქმარისია, რომ ყურმილი უკვე ხელში ეჭიროს.

— მაიორი ბეროშვილი გისმენთ!

ასე იყო ამჯერადაც, მაგრამ გვერდის შეცვლა ძლივს მოვასწარი, რომ მამაჩემის შეძახილმა საძილეთის ლამაზ ქვეყანაში მიბრუნებული ერთბაშად უკანვე გამომაბრუნა.

— ბიჭი?! სად, როდის, მეცხრე კვადრატში? უკვე დააკავეს? არა, განგაში ჭერჭერობით არაა საჭირო. მანქანით? ძალიან კარგი! ოღონდ... ალო! თვალის ახვევა არ დაგვიწყდეთ! ყაზარმაში დაგელოდებით. ეს რა შემოსევაა, არ მომწონს მე ეგ ამბავი, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო! წარმატებას გისურვებთ!

ძილისაგან დაბინდულ გონებაში პირველად იმ აზრმა გაიბრბინა, ალბათ, ამ ხუთი დღის წინ მომხდარი ამბავი მესიზმრება-მეთქი, იმდენად მეცნაურა ეს ნაწყვეტ-ნაწყვეტ წამოსროლილი ფრაზები. მაგრამ არა, ეს სიზმარი არ იყო...

იდაყვზე წამოვიწიე, მარჯვენა ხელით მაგრად ვისრეს ძილისაგან დაბუყებულ სახეს და მაგიდაზე მოტიკტიკე მალეძარას ვუტყერი. ოთახში ჭერ კიდევ ბნელა, ისე, რომ ფანჯარაში შემოჭრილი ელექტრონის სუსტ შუქზე ძლივს ვარჩევ საათის ისრებს: დილის ოთხი საათია. ნაწილის პირადი შემადგენლობის ადგომამდე მთელი ორი საათია დარჩენილი.

მაიორი საწოლზე ჩამომჯდარა, შარვალი უკვე ჩაუცვამს და ახლა ჩექმის ყელს ექაჩება.

— ვინ ბიჭო, მამი, რა ამბავია?

მან ვაოცებით გაშალა ხელები და წამოვდა.

— აბა, რა ვიცი, ისევ ვილაც შენხელა ბიჭი დაუთავებიათ... ამჯერად მეცხრე კვადრატში, აქედან მესამე კილომეტრზე. — კიტელი გადაიცვა და, ჩვეულებისამებრ, იატაკს მაგრად დაჰკრა ჩექმიანი ფეხები. ეს იმას ნიშნავს, რომ კიტელის უკანასკნელ ღილს შეიკრავს თუ არა, სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იქნება.

მე ყოველთვის მიკვირს, როგორ ახერხებს ეს კაცი ასე თვალის დახამხამებაში გამოწყობას. საერთოდ, კაცმა რომ თქვას, ზედმეტად ღინჯი კაცია, შეიძლება, ერთი შეხედვით, ზანტი და მოუქნელიც კი გეჩვენოს კაცს. თითქოს სამხედროს არც არაფერი მიუგავს, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სინამდვილეში კი შინაგანად მუდამ ზამბარასავით დაჭიმულია. სამხედრო ფორმაში გამოწყობა და მისი უეცარი გარდაქმნა ერთიან ხოლმე, სწრაფი, ზუსტი და სხარტია მისი ყოველი მოძრაობა.

— კი მაგრამ, ახლახან არ იყო, სულ რაღაც ერთი კვირის წინ...

— მეც მანდა ვარ! — მაწყვეტინებს მამა.

— ისევ ის ხომ არ არის ნეტავ, ყურბანა, ჰა?!

— რა ვიცი, ყურბანა თუ ცხვირბანა, არ მომწონს კი მე ეგ ამბავი და!

— წამოვალ რა, მამი, ჰა? — წამოვიძახე და მამაჩემის ნებართვისათვის არც დამიცდია, საწოლიდან წამოვხტი.

— კარგი, ოღონდ თბილად ჩაიცვი, ცივი დილა ჩანს. ფაციფუცი თ ვიცვამ.

— სვიტრი ჩაიცვი! — მეუბნება ხმადაბლა.

რა მათქმევინებს, არა-მეთქი, მაშინვე ვაღებ კარადას.

— საოცარია, ასე ზედიზედ, კვირის თავზე... — ეთქვი მე და სვიტრის სახელოებში მკლავები გავუყარე.

— ნაცნობი ხერხია, — თქვა მაიორმა და სიგარეტის

ნამწვი საფერფლეს დაასროსა. — არასრულწლოვან ბიჭებს დაზვერვაზე ჩინელები აგზავნიდნენ ხოლმე, იქნებ რომ ვმსახურობდი. ვითომც გზა დაებნა, ვითომც შემთხვევით მოხვდა საზღვარს აქეთ... დაიჭერ ასეთ ლაწირაკს და მორთავს ღრიალს, ცოდვით აგავსებს, იმ თურქის ბიჭისა არ იყოს, ამას წინათ რომ დავაკავეთ. რა ერქვა?

— ცხვირბანა! — „შევახსენე“.

— ჰო, ყურბანა! — გაეცინა მამას.

— მერე, მამი, რას უშვრებოდით იმ ლაწირაკ მშვერავებს, ჰა? — პიჯაკიც ჩავიცვი და ვანიშნებ, მზადა ვარ-მეთქი.

— აბა, რა ვუყავით ამას წინათ ყურბანას! — თქვა მაიორმა, როცა სახლიდან გამოვედით და კარი გამოვიკეტეთ. — საერთაშორისო სამართლით მაგათ პასუხს ვერ აგებინებ, არასრულწლოვანები არიან. უკანვე უნდა გაუშვა.


მახსენდება ყურბანა, ცამეტი-თოთხმეტი წლის შავტუხა ბიჭი, ნახშირით შავი თვალები, შიგ ჩამდგარი შიშისა და კრთომის მიუხედავად, ხანდახან რომ ცივად და ბოროტად უელავდა; დროდრო რომ ითიშებოდა და ავიწყდებოდა გაუთავებელი ღრიალი, რაც შეიძლება მეტი სიბრაღულის აღსაძვრელად.

მარტო მამაჩემი იყო, ურწმუნო თომასავით თავს რომ აქნევდა და ყურბანას ნათქვამიდან არაფრის დაჯერება არ უნდოდა. ყურბანა კი, უფროს ლეიტენანტ კუბასოვის ნათარგმანები თურქულის თანახმად, იმას ამტკიცებდა, ერთი საწყალი ბიჭი ვარ, ბეგის მენახირეო. წუხელ საქონელი რომ მოვრეკე, ერთი ფური დამაკლდა და იმის საძებნელად ვარ წამოსული. წარმოდგენა არა მაქვს, როგორ მოვხვდი საზღვარს აქეთო.

— კი მაგრამ, რაღა აღრიხალებს ამ მამაძაღლოს, აღარ უნდა გაჩუმდეს?! — იკითხა მამაჩემმა.

— აუჩემებია, არ დამხვრიტოთ, მაპატიეთ და შინ გა-





მიწვითო, — სიცილით მიუგო უფროსმა ლეიტენანტმა. — რაც მე მაგას ვამშვიდებ და ვერ დავამშვიდე! გავუშვათ, ამხანაგო მაიორო, მართლა ცოდვია, შინ აუადმყოფი პაპა და მშობლები ჰყოლია, ეს არჩენს თურმე მთელ ოჯახს. ახლა ბეგი ნახირიდანაც გამომავლებს, ეს ძროხა თუ არსად გამოჩნდა და რალა გვეშველებათ! საწყალი ბიჭი!

— მე კი მგონია, ამაოდ აგჩვილებიათ გული, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, — ღიმილით მიუგო მაიორომ. — მაგის მძევლად დატოვებას, ცხადია, არც მე ვაპირებ, მაგრამ გული კი მეუბნება, რომ გულწრფელი არ არის ეგ მამაძალი!

— არა მგონია, ამხანაგო მაიორო, რა უგავს აფერისტს, ჯიგარი მეთუთქება, რომ ვუყურებ! — თქვა ანდრო ფერაქმაც.

— შენც ასე ფიქრობ? — გაეცინა მაიორს. — ჯერ ერთი, სიღარიბისა და სილატაკის რა ეტყობა?

— ტანისამოსს შეხედეთ, რა აცვია! — წამოიძახა ლეიტენანტმა.

— მე ტანთან მაქვს საქმე და არა იმის სამოსთან! — წარბი შეკრა მაიორმა. — ტანის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ კი, კაი ნაპატიები და კუჭმაძლარი ვინმეა! მეორეც, ღამის ორ საათზე ჩუმალა ხევის ხეობას რომ მოჰყვებოდა, წყალ-წყალ რომ მოდიოდა, რაო, ძროხას წყალში ეძებდა?

აუ, რა ამბავი ატყდა იმ ღამეს! მთელი საგუშაგო ფეხზე დადგა. ახლა რა უჭირს, როგორც ჩანს, იოლად აუყვანიათ ეს, ვილაცაა. მამაჩემმა განგაშის გამოცხადებაც კი ზედმეტად ჩათვალა ამჯერად. მაშინ კი...

— სდექ, ვინ მოდის?! — ფიქრებიდან გუშაგის შეძახილმა გამომარკვია. ღამისეულ, განთიადისწინა ბინდბუნდში გაღდაბნილი მისი სილუეტი ოდნავ ილანდება ყაზარმის წინ.

— თავისიანი! — ხმადაბლა გასძახის მამა.

— გაიარეთ! — გვეპასუხება გუშაგი, რომელმაც, ალბათ, ისედაც კი იცნო მაიორო, მაგრამ რას იხამ, საყარაულო სამსახურის წესდება მოითხოვს და ესეც ასე უნდა მოქცეულიყო.

## უხანაგო ხევი

მანქანიდან პირველი ვიქტორ კუბასოვი გამოდის და პირდაპირ მაიორისაკენ მოემართება პატაკის მოსახსენებლად.

— თავისუფლად, — ეუბნება მაიორო, — გადმოიყვანეთ, შემახედეთ ერთი, რა ჩიტია.

— ჩიტიც არის და ჩიტიც, ამხანაგო მაიორო. რომ იცოდეთ, როგორ ყოჩაღად უჭირავს თავი! იმასავით კი არ ბღავის!

— საინტერესოა! — ამბობს მაიორო. — რაო მაინც, ესეც საწყალი მენახირე ხომ არ არის და ძროხას ხომ არ ეძებდა, ჰა?

— ჯერჯერობით არაფერს ამბობს, — მხრებს იჩეხს უფროსი ლეიტენანტი და ხელით ანიშნებს მანქანაში მსხდომთ, გადმოდიეთ.

მანქანიდან ჯერ ალიკაპაკრული ძალი გადმოუშვეს, მას ზედიზედ გადმოჰყვა სამი ჯარისკაცი. მათ შორის ოთარიცაა. აგერ, თვალეზახვეულმა ბიჭმაც გადმოყო თავი. ოთარმა ხელი შეაშველა და ციმციმ გადმოსვა მანქანიდან. ბიჭს კიდევ ორი ჯარისკაცი გადმოჰყვა.

— წამოიყვანეთ! — ბრძანებს მაიორო. — უფროსი ლეიტენანტი და უმცროსი სერეჟანტი ხუროშვილი წამოვლენ, დანარჩენები ჯერჯერობით თავისუფალი ხარო.

დანარჩენებში, რალა თქმა უნდა, ჩემი თავი არ მიმიტვლია. პირიქით, დემონსტრაციულად ვუახლოვდები მამაჩემს და გვერდით მივყვები.

— ესე იგი, კიბხვებზე პასუხს არ გაძლევეთ, ვიქტორ ანდრეიჩ? — ეკითხება მაიორო უფროს ლეიტენანტს.

— არა, ამხანაგო მაიორო.

— მუნჯი ხომ არ არი?

— არა, ამხანაგო მაიორო, მუნჯი კი არა, მივედი თუ არა, მაშინვე ისა მკითხა, საგუშაგოს უფროსი ხარო? არა-მეთქი. აბა, თუ არაო და კრინტი აღარ დაუძრავს.

— უცნაურია!

ბიჭს დროდადრო ისე აკანკალებს, ეტყობა, სცივა. შესცივდებოდა ამ საწყალს, აბა რა მოუვიდოდა, ასე შილიფად ჩაცმულმა თუ იბლოტილა ღამით. ეჰ, მთა მინც მთაა! აი, ხომ თითქმის გათენდა და ჰაერი მაინც ღამისეული მთოშავი სუსხით არის გაყლენთილი. ამას კი რა აცვია: სიფრიფანა, საკერებლებით აჭრელებული შარვალი კოჭებზევით გაჭქეცვია. უხეში ჯვალოს პერანგი ილავებზე გადასკდომია; ცოტას, ეგება, ეს ძველი ტყა-



პუტი უთბობდეს გვერდებს, მაგრამ ეგ რა ნუგეშია ფეხებისათვის: მსუბუქი, პირაშვებული მესტებიდან შიშველ ცერებს გამოუყვიათ თავი. სხვათა შორის, ყურბანასაც ზუსტად ასეთი, ბეჭებდაკერებული ტყაპუტი ეცვა...

კანცელარიაში შესვლისთანავე მამა სინათლეს ანთებს, ფანჯრებზე ფარდებს აფარებს და ყურადღებით ათვალიერებს ოთახს. მერე რუკაზეც, რომელზედაც ჩვენი საგუშაგოს მიმდებარე ტერიტორიებია გამოხატული და რომელიც ათასგვარი პირობითი ნიშნებითაა აჭრელბული, საგულდაგულოდ ხურავს ფარდებს და ამბობს:

— აბა, ახლა კი ვნახოთ, რა ფერის თვალები აქვს ჩვენს სტუმარს.

ოთარი თვალსახვევს ხსნის კუთხეში მიბუზულ ბიჭს. გაოგნებული ბიჭი აქეთ-იქით აცეცებს უძილობისაგან აწითლებულ შავ-შავ ცოცხალ თვალებს, თუმცა ეტყობა, თვალი მოსჭრა კაშკაშა სინათლემ. ერთმანეთზე გადაბმული ხშირი წარბებით და გრძელი წამწამებით ჩემს თანაკლასელ გოგიტას წააგავს. ჩემი არ იყო, საულეაზე თითქმის გაშავებია და ყბებზეც ღიწლი მოსდებია. შუბლსა და ყურებზე უწესრიგოდ ჩამოშლილ ბურძგლათმებს თითებით დაუდევრად იფარცხავს უკან და, მზერადამფრთხალი, ხან ოთახს ათვალიერებს, ხან ჩვენ შემოგვეყურებს რიგრიგობით. მაგრამ ახლა მისთვის, ალბათ, ყველაზე დიდი და მოულოდნელი სიურპრიზი ეს თავისი კბილა ბიჭია, დაუფარავი სიბრაულულით და თანაგრძობით რომ მისჩერებია. ამას ჩემზე მოგახსენებთ, შემომხედა თუ არა, გოცნებასთან ერთად, რაღაც ღიმილის მსგავსიც გაუკრთა თვალებში.

ძია ვიქტორმა რაღაც უთხრა და ბიჭი მაშინვე მორჩილად დაჯდა.

მამა მაგიდას მიუჯდა, საქალაქედან ფურცელი გამოაჩოჩა, მუნდირის გულის ჯიბიდან კალამი ამოიღო, მაგრამ დაწერით არაფერი დაუწერია, მაგიდაზე დაავლო და უფროს ლეიტენანტს ეუბნება:

— გთხოვთ, წარმადგინოთ მისი აღმატებულების წინაშე!

— უკვე წარგადგინეთ, ამხანაგო მაიორო, — გაეცინა უფროს ლეიტენანტს და ბიჭს ჭურჭულად დაუწყო ლაპარაკი. ბიჭმა ღიმილით დაუქნია თავი და თავდაც თქვა რაღაც.

— ახლა კი დაგვდოს პატივი და თავისი თავიც წარმოგვიდგინოს, თუ შეიძლება, — ამბობს მაიორი, მერე მკვეთრად ტრიალდება ჩემკენ და ღიმილით მეუბნება ქართულად: — აჰა, ჩემო თამაზ, სულ იმას ჩიოდი, საზღვარს არავინ არღვევსო და...

მამაჩემის ქართულად დალაპარაკება და ბიჭის მოუსვენრად აცმუკება ერთი იყო. როგორღაც ერთბაშად გამოცოცხლდა, თვალები დაჭყიტა და უსაზღვრო გოცნებით წამოიძახა:

— ქთენა ქართველები ხართ?!

რა მოულოდნელად, რა უჩვეულოდ, რა ჟრუანტელის მომგვრელად დაირხა ეს მოკლე ფრაზა. ამ საოცრებამ ისე გააშეშა და გააოგნა ყველა, ისე განუზომელი იყო ამ სასწაულის ეფექტი, თითქოს ჩვენს წინაშე აქამდე ერთი ჩვეულებრივი ბელურა იჯდა, რომელმაც ერთბაშად ყელი მოიღერა და ბულბულივით ჩაარაკრაკა რაღაც სულის შემძვრელი ტკივილით დაღდასმული, ლამაზი ჰანგი.

უხმოდ გადავხედეთ ერთმანეთს და მერე ბიჭს მივაშ-



ტრდით, რომელიც პასუხის მოლოდინში სკამზე წამოწეულიყო და თითქოს ამ უხერხულ პოზაში გაქვავებულიყო.

მთელ ოთახს ავსებს, კედლიდან კედელს ასკდება და ექოსავით ისევ და ისევ ჩამესმის ყურში: „ქთენა ქართველები ხართ?!“

— რა გქვია, ბიჭო? — ეკითხება ხმაში ბზარჩამდგარი მამაჩემი.

— მევლუდა მქვიან, ძია, მევლუდა, ბაბილ-ოლი ვარ გვარადა... ჰაჰა ამობს, ეძეო. ბაბლიძეა ჩონი გვარო... ბებერაჩემიც ეგრე იტყოდა...


— ის იყო მეკითხებოდა თქვენზე, ამხანაგო მაიორო, ქართველი ხომ არ არისო და თქვენც დაილაპარაკეთ ქართულად. — ამბობს უფროსი ლეიტენანტი. — მე მგონი, თარჯიმანი აღარ დაგჭირდებათ...

რესპუბლიკური კვირეული „თეატრი და ბავშვები“ უკვე ტრადიციად იქცა. ახლა მესუთედ ჩატარდა ეს მრავალმხრივ საინტერესო ზეიმი. იგი ბავშვის საერთაშორისო წილს მიეძღვნა. დაუფიწყარია ამ კვირეულის შთაბეჭდილებები ჩვენი მოწარდი ვოგონებისა და ბიჭუნებისათვის. ძნელია სიტყვით გადმოცემა იმ სულიერი აღმაფრენისა, იმ გრძობებისა, რაც განიცადეს ამ დღეებში მისმა მონაწილეებმა.

კვირეული გაიხსნა 10 დეკემბერს ქ. თელავში და შემდეგ რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონულ ცენტრში გაიჭარბა თეატრალური დღესასწაული. ბევრი საინტერესო ღონისძიება თუ შეხვედრა მოეწყო. ერთ-ერთი ასეთი სამახსოვრო დღე იყო თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა შეხვედრა ქ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივთან.

მოსწავლეები ფეხზე ადგომით და მხურვალე ტაშით შეეგებნენ დარბაზში შემოსულ მსახიობებს, გულითადად მიულოცეს თეატრის არსებობის 50 წლის იუბილე, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტ ვერიკო ანჯაფარიძეს — სოციალისტური შრომის გმირისა და ოთარ მეღვინეთუხუცესს — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდება, ირაკლი უჩანეიშვილსა და გიორგი ტატიშვილს — რესპუბლიკის სახალხო არტისტისა, ჯემალ მონიავას — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტისა...

— რისთვის მოდის მაყურებელი თეატრში? — ამ კითხვით დაიწყო საუბარი რესპუბლიკის სახალხო არტისტმა გიორგი ტატიშვილმა. — ხშირად გვსმენია — კულტურული დასვენებისთვისაო. ასეთი გაგება გაღარბებდა თეატრის დანიშნულებისა, თუმცა, რა თქმა უნდა, დასვენებაც იგულისხმება. თეატრის ვალია ზნეობრივად აღზარდოს მაყურებელი, სულით აამაღლოს, გააფაქიზოს, აზიაროს დიდ სიკეთეს. კოტე მარჯანიშვილი ამბობდა: ხელოვნების მიზანი უბრალოა — მიანიჭოს მაყურებელს სიხარული!.. გინდათ იცოდეთ, ვინ იყო ეს ლეგენდარული რეჟისორი, ვის სახელსაც ატარებს ჩვენი თეატრი? ამისათვის სიტყვას გადავცემ ჩვენს ძვირფას ვერიკო ანჯაფარიძეს.



# თეატრი და ბავშვები

მერიკო ანჯაფარიძე: — კოტე მარჯანიშვილზე სათქმელი არასოდეს დამეღევა. შევეცდები გაგაცნოთ მისი დამახასიათებელი რეჟისორული ბუნება, ადამიანობა.

ყოველ რეპეტიციას სიახლე უნდა მოეტანა. არ უყვარდა მშვიდი რეპეტიცია, მსახიობს ან თავისკენ იხმობდა, ან თავად სკამიანად მიყვებოდა მას. მსახიობისაგან მოითხოვდა სიმართლეს. სცენაზე მარტო ზეპირი ლაპარაკი არ ვარგა, სცენა ემოციების ადამიანს მოითხოვს. კოტე ისეთი შთაგონებით გადიოდა რეპეტიციას, რომ მსახიობებსაც მყისვე აიყოლიებდა. მკაცრი იყო იმათ მიმართ, ვისაც არ ესმოდა მისი, თუმცა დამთმობიც იყო ზოგჯერ. ოფელიას სახე კოტეს მომცინარედ ესახებოდა, მე კი სცენაზე სიცილი არ მებერებოდა, ვერ ვიცინოდი. კოტემ „მომანლო“ როლი და მეც „ჩემებურად“ გავხსენი,

სევდიანი ელფერით შევმოსე. მოეწონა და გაიზიარა. რეპეტიციანე არ უნდა იმუშაო, უნდა შექმნა, — ასეთი იყო ჩემი დიდი მასწავლებლის რეჟისორული მრწამსი. ბევრჯერ ვყოფილვარ მომსწრე — სპექტაკლის შემდეგ კოტე ხელში აყვანილი გამოჰყავდათ, მაყურებელი ვერ იცებდა სპექტაკლით გამოწვეულ აღფრთოვანებას...

აქეთ-იქიდან პაწია ბარათები მიაწოდეს ძვირფას მსახიობს.

— იყო ისეთი როლი, რომელიც გასურდათ და ვერ ითამაშეთ?

— იყო: ჯულიეტას როლი...

— პარტნიორებზე რას გვეტყვით?

— კარგი პარტნიორები მყავდა ყოველთვის... უშანგი საოცარი მსახიობი იყო. სცენიდან რომ გავიდოდა, კულისებიდან ადევნებდა თვალს პარტნიორის მოქმედებას. ვასო გოდიაშვილს არ უყვარდა სახეში ყურება, მაღლა იყურებოდა. თუ ამაზე მივუთითებდით, ისიც ხუმრობით მოგვიგებდა ხოლმე: თქვენს თვალეში რა უნდა ამოვიკითხოო... გიორგი შავგულიძეს სცენაზე ექსპროტები უყვარდა, ხუმრობა, სიცილი. მახსოვს, ერთ პიესაში ლეკურს ვცეკვავდით. სულ სიცილით შემომატარა წრე...

— თეატრი უფრო გიყვართ თუ კინო?

— რა თქმა უნდა, თეატრი! კინო არ მიყვარს, ბევრჯერ ვთქვი უარი მიწვევაზე. მე მიყვარს მაყურებელთან კონტაქტი! თეატრის მსახიობის პროფესია სასიამოვნო პროფესიაა. შეგიძლია დაიპყრო დარბაზი. ერთ გრძობას აზიარო...

— თქვენი დამოკიდებულება თეატრის ახალ თაობასთან?

— თეატრს საუკეთესო ახალგაზრდები ჰყავს. ძალიან მიყვარს ისინი, ამიტომ ვარ ისევ თეატრში. არ მეთმობა, თორემ წასვლის დროა... თეატრმა ცხოვრებას უნდა გაუხსნოს, აი, ეს არის სასურველი!

პაწია ბარათები დაუგროვდათ ირაკლი უჩანეიშვილს, ოთარ მეღვინეთუხუცესს.

— პატივცემულო ირაკლი! კომედიურ როლებშიც გხედავთ და დრამატულშიც. რომელი უფრო გიზიდავთ?

— ორივე დიდებულია. მაინც იუმორი ძვირფასი ნიჭია, ღვთით ბოძებული. ეს უნარები ერთმანეთს ავსებს, ორივეგან ბედნიერი ვარ,

თუკი იმდენად დავძლევ, რომ ყვე-  
ლასათვის გასაგები იყოს.

— შინაც მუშაობთ როლზე?

— მსახიობი სადაც უნდა იყოს,  
მისთვის არ არსებობს სხვა რამ უფ-  
რო მთავარი. ძილშიაც კი მუშაობს.

— თქვენი საყვარელი როლი?

— მრავალშვილიან დედას ყველა  
შვილი უყვარს, ჩემთვისაც ყველა  
როლი ძვირფასია...

— მოქმედებს თუ არა თქვენზე  
გმირის ხასიათი?

— თუ კარგია და გამოსადეგი,  
რატომაც არა, მისასალმებელია...

— პატივცემულო ოთარ, გვიამ-  
ბეთ ცოტა რამ თქვენზე...

— ჩემი გატაცება თეატრით პიო-  
ნერთა სასახლიდან დაიწყო. ამხანა-  
გებს მიყვები, დრამატულ წრეში  
დადიოდნენ და... მერე, მახსოვს,  
როგორ შემოვეჩვიე ამ თეატრს და  
აი, იმ კოთხეში ამოვიჩემე ერთი  
სკამი. ჩემი ბავშვობა ომის წლებს  
დაემთხვა, არ გვეცვა, არ გვეხურა,  
ერთი იისფერი შარვალ-ხალათი მე-  
ცვა და ზედ შემომადნა. შარვალზე  
უკან საკერებლები მედო და ანტრა-  
ქტებზე გარეთ ვერ გავდიოდო...

— პირველი როლი?

— პირველი როლი ვითამაშე სპე-  
ქტაკლში „ლეგენდა სიყვარულზე“.  
ვეზირს კოტე დაუშვილი თამაშობ-  
და. მე დუბლიორად დამნიშნეს. მე-  
რე ისე მოხდა, რომ კოტემ დამითმო  
და პრემიერის სიხარული განმაცდუ-  
ვინა.

— თეატრის გარდა რა გიტაცებთ?

— ცხოვრება! შვილი, მეგობრე-  
ბი... მიყვარს მშობლიური ბუნება,  
საოცრად მამშვიდებს ზვიად კლდეებ-  
ზე მჩქეფარე წყალი, საათობით შე-  
მიძლია ვუმზირო. მიყვარს ყველანაირი  
კარგი მუსიკა...

— თქვენი ღირსება და ნაკლი?

— მგონი კეთილი ვარ, ცოტა თავ-  
შეუკავებელი. ბევრი შემიძლია მო-  
ვითმინო, ზოგჯერ კი მცირეზე ავბო-  
ბოქრდები ხოლმე.

— სპორტი?..

— მიყვარს ცხენოსნობა, ცურვა,  
საყურებლად კი — ფეხბურთი...

— რას უსურვებდით, რას ურჩევ-  
დით მოზარდ თაობას?

— ჩემი რჩევაა, იცხოვროთ ისე,  
რომ აქედანვე აგროვოთ სულიერი  
საგანძური. თქვენ ამის ყველა პირობა  
გაქვთ.

რეჟისორმა მედია კუჭუხიძემ მო-  
სწავლეებს უამბო თავის შემოქმე-

დებით მუშაობაზე, ახალგაზრდობა-  
ზე, ახალგაზრდა დრამატურგების —  
ლაშა თაბუკაშვილისა და ლალი რო-  
სებას პიესებზე, რომელთა დადგმაც  
განახორციელა თეატრში.

ბევრი ახალი და საინტერესო შე-  
იტყვეს მოსწავლეებმა ამ შეხვედ-  
რაზე და ამან უფრო განუმტკიცა  
მათ თეატრის სიყვარული.

შემოქმედებით ატმოსფეროში ჩა-  
ტარდა ნორჩ რეცენზენტთა კონფე-  
რენცია შ. რუსთაველის სახელობის  
აკადემიური თეატრის მცირე დარ-  
ბაში. დამსწრეთ მოისმინეს მოხსე-  
ნებები თემაზე „ჩემი საყვარელი  
მსახიობი“, სპექტაკლების ანალიზი,  
რეჟისორული გააზრებანი ამა თუ  
იმ ნაწარმოებისა. მონაწილეებმა გა-  
მომამუდვენეს კარგი გემოვნება, მსა-  
ხიობის სულში წვდომის და ავ-კარ-  
გის გაანალიზების უნარი, ზოგადი  
განათლება.

კვირეულის საზეიმო დახურვაზე  
შ. რუსთაველის სახელობის სახელმ-  
წიფო აკადემიური თეატრის დარბა-  
ზში თავი მოიყარეს ბავშვებმა, მშობ-  
ლებმა, პედაგოგებმა. მათ სიტყვით მი-  
მართეს განათლების მინისტრის მო-  
ადგილემ ზურაბ ლომიძემ, კულტუ-  
რის მინისტრის პირველმა მოადგი-  
ლემ ნოდარ გურაბანიძემ, საქარ-  
თველოს თეატრალური საზოგადოე-  
ბის თავმჯდომარემ, საბჭოთა კავში-  
რის სახალხო არტისტმა დოდო  
ალექსიძემ. მათ აღნიშნეს ის დიდი  
სიკეთე, რასაც ემსახურება ეს კვი-  
რეული და ის სასიამოვნო ნაყოფიც,  
რომელიც უკვე გამოიღო ამ კვირე-  
ულმა მოზარდთა ესთეტიკური აღზ-  
რდის საპატიო საქმეში. თეატრის  
ნორჩი რეცენზენტებისა და მხატვრე-  
ბის მუშაობაზე ისაუბრეს თეატრ-  
მცოდნე ლილი ფოფხაძემ და მხატ-  
ვარმა რუსუდან ჯავრიშვილმა.

პირველი ხარისხის დიპლომი და-  
იმსახურეს თბილისელმა მოსწავლე-  
ებმა: ანა ჭავჭავაძემ, ხათუნა თოდა-  
ძემ, ნონა ონიანმა, ნინო ხომასური-  
ძემ, მაია ქუთათელაძემ, ზურაბ გვი-  
შიანმა, დავით გიგინეიშვილმა და  
სხვებმა; ქუთაისელებმა: თეიმურაზ  
გაჩეჩილაძემ, ნატალია კუხიანიძემ;  
ჭიათურელმა თამილა გორგაძემ;  
რუსთაველმა ეთერ ქირიამ... საქმა-  
ოდ ბევრმა... ყველა, აბა, როგორ  
ჩამოვთვალათ...

კვირეული დაიხურა. აურიამულე-  
ბულ ბავშვებში ერთი გოგონა შე-  
ვაჩერე.

— მაია კალანდარიშვილი, თბილის-  
ის 149-ე სკოლის X კლასის მოს-  
წავლე.

— მაია, როგორია კვირეულის  
შთაბეჭდილებები?

— აუჰ! ძალიან დიდი, ძალიან სა-  
სიამოვნო...

— პირველი ხარისხის დიპლო-  
მით დაგაჩილოეს! გილოცავთ! რა  
თემა გქონდა დამუშავებული?

— „ჩემი საყვარელი მსახიობი —  
უანრი ლოლაშვილი.“

— მსახიობობას ხომ არ აპირებ?

— არა! მსახიობობას ბუნებრივი  
მონაცემები უნდა, რაც მე არ გამაჩ-  
ნია. მე მიყვარს ხელოვნება, თეატრი  
და ყოველთვის ვიქნები მისი გული-  
თალი მეგობარი, კარგი მაყურებელი.  
კვირეული დაიხურა, მაგრამ ჩვენი  
მეგობრობა თეატრთან გრძელდება...

კეთილშინა ზილაშვილი





# ნორჩ შემოქმედთა

## კონკურსი



### „მე, ჩემი პიონერული რაზმი და ჩვენი რაზმის ხელმძღვანელი“

#### ჩემი სიხარული

მასხოვს, მესამე კლასში ვიყავი, როდესაც ყელზე ლენინური დროშის ნაჭერი. წითელი ყელსახვევი გამიკეთეს...

მზიანი დღე იყო, პიონერთა რიგებში რომ მიმიღეს...

საოცარი რწმენით ვდებდი ფიცს...

ფიცს ვდებდი და მჯეროდა...

მჯეროდა ყველა კარგი საქმისა...

საოცრად მიხაროდა.

თითქოს სკოლის ეზოში მდგარი უზარმაზარი, მრავალი დროების მოწამე ალვის ხეებიც მილოცავდნენ, ნიავეც მილოცავდა, მზეც, მთელი სამყარო...

თითქოს მეორედ დავიბადე იმ დღეს, ვ. ი. ლენინის ძეგლის წინ რომ გვატქმევინეს პიონერის საზეიმო დაპირება და წითელი ყელსახვევები გადმოგვცეს...

შემდეგ — სკოლა, გაკვეთილები... პირველი პიონერული დღე...

წითელი ყელსახვევებით სახანთებული გოგო-ბიჭები — ჩემი თანაკლასელები...

როგორ მოხდენილად იყო მაშინ ყველაფერი ერთმანეთთან შეხამებული, როგორ ლამაზად...

შემდეგ...

შემდეგ კი უფრო მეტი სიხარული:

ლენინური კომკავშირის რიგებში შესვლა...

მაშინაც ასე ვლელავდი, კომკავშირის რიგებში შესვლისას...

მე არ მიმუშავნია ამურის კომსო-მოლსკში, არც ასეთი ფიცი დამიდვია — „სისხლი სისხლისა წილ!“; არც ჭრაქის შუქზე ჩურჩულითა და დაზაფრული გულით შეუუვსიათ ჩემი კომკავშირის ბილეთი...

მე იმ ბედნიერი თაობის წარმომადგენელი ვარ, სამშობლოს უღრუბლო ცა და ცხრათვალა მზე რომ დაჰყურებს მუდამ...

მე იმ ორგანიზაციის წევრი ვარ, ლენინური კომკავშირი რომ ჰქვია სახელად და დღედან დაბადებისა თავისი მხნეობით, ძლიერებით, ფაქტობით, შეუღრეკელობით აოცებს მტერსაც და მოყვარესაც...

და ამ დღებში, როდესაც საქართველოს კომკავშირი უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით დაჯილდოვდა, მზად ვარ ყველას გასაგონად ვიყიყინო და ამით გამოვხატო ჩემი სიხარული და სიყვარული — სიხარული და სიყვარული იმათ მიმართ, ვინც დანგრეული სამშობლოს აღორძინებაზე თავდაუზოგავად მუშაობდა, ვინც დაზგებთან და ხარჩობებთან დგას, ვინც თავისი წვლილი შეიტანა საქართველოს კომკავშირის ბრწყინვალე გამარჯვებაში.

და მე ვფიცავ, რომ ვიქნები კომკავშირელების გამირული საქმეებისა და იმ ღირსეული ტრადიციების გამგრძელებელი, რომელსაც ჩვენმა სახელოვანმა ვეტერანმა კომკავშირელებმა დაუდეს სათავე!

კათინო ველთაური,

დუშეთის 1-ლი საშუალო სკოლა, IX კლასი.

#### მკაცრობის დანიშნულება

თითქმის ორი წლის მანძილზე მუშაობდა ჩვენს გვერდით რაზმის ხელმძღვანელად მუშა გოგონა როზა სამხარაძე.

როზამ სკოლა 1976 წელს დაამთავრა და მუშაობა დაიწყო სოფლის ტერიტორიაზე მშენებარე სათბურში. ჩვენ მაშინ № 2 რაზმში ვიყავით, ხშირად დავდიოდით სათბურში უფროსების დასახმარებლად. როზას პირველად იქ შევხვდით. ყველას ძალიან მოგვეწონა ეს შრომისმოყვარე გოგონა და გადავწყვიტეთ რაზმის ხელმძღვანელად მოგვეწვია. თურმე მასაც მოგვეწონებოდა, ჩვენს მუშაობას ყოველ-

ვის სიამოვნებით ადევნებდა თვალს და თვითონაც გაღვივებია ჩვენთან დაახლოების სურვილი. როდესაც ჩვენი აზრი გავუზიარეთ, ძალიან გაუხარდა.

ჩვენი ყურადღება პირველ რიგში მიიქცია იმან, რომ როზა ძალიან ბეჯითი და შრომისმოყვარე იყო, ვერ იტანდა უსაქმურობას... ამან შედეგად გამოიღო: როზას თაოსნობით 12 ტონა სენაჟი დავამზადეთ ჩვენსავე სოფელში მდებარე მეცხოველეობის ფერმისათვის. ამაგი დავგიფასეს და მთელი რაზმი საპატიო ჩილდოზე წარგვადგინეს. ამჟამად ჩვენი რაზმის პიონერების ნახევარზე მეტს მიღებული აქვს საპატიო სიგელები ბეჯითი შრომისა და სწავლისათვის.

როზამ თავისი ადამიანობით, კეთილსინდისიერებით, შრომისმოყვარეობით დაიმსახურა უფროსი მეგობრის სახელი.


ვინ მოთვლის, რამდენი კეთილი საქმე გვაკეთეთ როზას ხელმძღვანელობით. თავდაპირველად შევიმუშავეთ პირველი კვირის გეგმა. შემდეგ ყოველი კვირის ბოლოს წინასწარ ვგეგმავდით ხოლმე მომავალი კვირის სამუშაოს.

ჩამოვყალიბეთ თემურელთა რაზმი, მისი წევრები სისტემატურად ეხმარებოდნენ შინმოუსვლელთა ოჯახებს.

როდესაც ჩვენ გაკვეთილებზე ვიყავით ან რაზმის საქმეებზე ვმუშაობდით, როზა ამ დროს თავის სამუშაო ადგილას, სათბურში იყო. მორჩებოდა თუ არა საქმეს, მაშინვე ჩვენსკენ გამოემუშურებოდა.

რაზმში გამოვაცხადეთ კონკურსი: „ხუთები, მხოლოდ ხუთები!“ აქ ტოლი არავის დაუდო ჩვენმა თანარაზმელმა კობა სამხარაძემ.

გავმართეთ კონკურსები „აბა, გოგო-ბიჭუნებო!“, „ვინ მეტი იცის მშობლიურ ქალაქზე?“, „სცადე, იქნებ შეგიძლია?!“ თემატური საღამოები: „გილოცავ, ძვირფასო დედიკო“, „ვადიდოთ შინმოუსვლელი“, „ლენინი — ჩვენი ბელადი“; ლიტე-



რატურული საღამოები: „პირველი სექტემბერი“, „მომილოცნია“, „ახალი წელი — ახალი მიზნები“, „დიდება, სამშობლოვ!“ და სხვები. ჩვენ უკვე კომკავშირელები ვართ, მაგრამ მაინც არ ვწყვეტთ კავშირს როზასთან. როზა ისევ ზმირად მოდის ჩვენს კლასში, რჩევადარიგებას გვაძლევს, ყოველთვის აინტერესებს ჩვენი სწავლის ამბები. ჩვენ არასდროს დაგვავიწყდება მისი დარიგება:

„ჩემო მეგობრებო! თქვენ წინ დიდი ასპარეზი გაქვთ. ვინ იცის, იქნებ, ყველამ არ გააგრძელოს სწავლა უმაღლეს და პროფტექნიკურ სასწავლებლებში, მაგრამ მე მჯერა, რომ თქვენი სახით ჩვენს სამშობლოს ეზრდება შრომისმოყვარე თაობა. დაე არასდროს შეგერცხვინოთ მუშა კაცის შრომით მოპოვებული სახელი...“

ნანა ნოზაძე,

ქაათურის რაიონის ზედა უსახელოს რვაწლიანი სკოლა, VIII კლასი.

## ჩვენნი ნინო

რა დამავიწყებს კომკავშირში მიღების დღეს, მაგრამ არც ჩემი პიონერული მუშაობის სურათები გამკრთალდება ჩემს მესხიერებაში.

ჩვენი რაზმის ხელმძღვანელი ნინო ბასილაშვილი X კლასის მოსწავლე იყო. გამგებიანი, სანდო, კეთილი, ამხანაგური — აი, რა თვისებებით მოიპოვა რაზმის სიყვარული. ჩვენ ძალიან გვიყვარდა და პატარვცემდით ნინო ხელმძღვანელს. მან ბევრი რამ გვასწავლა. გვაცნობდა კომკავშირის ისტორიას, ტრადიციებს. ამიტომ იყო, რომ არ გაგვირებია ალკარიებში შესვლა.

განსაკუთრებით ჩვენი კლასის თემურელთა საქმიანობა არ დამავიწყდება. კარგად მახსოვს ის დღე, როცა ნინო ხელმძღვანელი კლასში შეგვივიდა და გვითხრა, დღეს თამრო ბებიასთან მივდივართო. წინასწარ მოლაპარაკებული ვიყავით, ვიცოდით, თამრო პატარქლიშვილი მართხელა მოხუცი იყო. იმ დღეს მთელი რაზმი მივადექით თამრო ბებიას სახლს. ბიჭებმა შეშა დაჩეხეს, გოგონებმა სახლი მივალაგეთ. არც შემდეგ ვაკლებდით ყურადღებას: ეზოს ახალი ღობე შემოვავლეთ. დაკუბარეთ ბოსტანი, ვუვლიდით ხეხილს... ბებია ჩვენით ძალიან კმაყოფილი იყო და შვილებს გვიძახდა.

ყურადღებას არც ამჟამად ვაკლებთ და მოხუცი სიხარულით საუბრობს ხოლმე ჩვენთან, გვიამბობს ძველებურ საინტერესო ამბებს... ნინო ხელმძღვანელსაც გავიხსენებთ ხოლმე, ერთნაირად გვენატრება ჩვენც და თამრო ბებიასაც...

ნინო, ქაზაგიშვილი,

გურჯაანის რაიონის კარდანახის საშუალო სკოლა, IX კლასი.

## გაგონი

დასკდომაზეა ხეთა კვირტები, ენძელამ თეთრად გადავლო

მდელო, იაც ისწრაფვის მინის გულიდან. მეგობარს გვერდი რომ დაუშვენოს.

ჰა, ფურისულაც ამოვა მალე, — გაინაზება სათნო ქალწული; ხვალ ყოჩივარდა გახეთქავს მინას, — ამონათებს კოხტა ასული.

## რა სხვა რაღა

გადასარკულა ზეცა, გაბრწყინებულა მზეიც. ჩვენი დროშების ტყეა, ქუჩებს ასე რომ შვენის. ამ დღესასწაულს ლამაზს ველოდით მთელი წელი. ბუკით, ნალარით. დოლით ავახმიანებთ ქალაქს, ორკესტრის ხმაზე მწყობრად ფართო ქუჩებში დავალთ.

ამ ნომრიდან ვიწყავთ მომონათული საკონკურსო მასალას

ავანკრიალებთ პროსპექტს ჩვენი სიმღერით ლალით. თვით გაზაფხულის ქარებს მოაქვთ სიმღერა მალლით. მთლად მონმენდილა ზეცა, ნითლად კაშკაშებს მზეიც; ეს ხომ დროშების ტყეა, თბილისს ასე რომ შვენის.

## ჩემს სოფელში

წყნარი საღამო, ნაზი და გრილი. ოთახში ტახტი, ბუხარიც თბილი. პაპას სანოლი, ძველი მაგიდა... გული საგულეს ისევ ჩამიდგა. ისევ ისეთი, როგორც ყოველთვის, დამხვდა სოფელი, როცა მოვედი. ტყით დაფარული მალალი მთები, მწვანე მინდვრები, ანკარა ხევი. ჩემთვის ნაცნობი და ახლობელი მეზობლები და ჩემი ტოლები; ვაშლის ხეები ლალად ნაზარდი, მათ ძირში მოლი და ზედ ნავარდი; პატარა წყარო, კბილებს რომ მოგჭრის, ლაბუა ჩიტი. შენსკენ რომ მოჭქრის; ტოლებთან ერთად მაყვალზე წასვლა. ნითელი მარწყვით მაშხალის აცმა; საღამოს ერთად ლხინი და ცეკვა. მეზობლის ვარდის უჩუმრად კრეფა. ტკბილი ზაფხული, მხიარულება. ჩუმად სექტემბრის მოახლოება. გულის დანყვეტა და სინანული... მაგრამ კვლავ გველის დრო მხიარული.

მანანა გნოლიძე,

თბილისის რკინიგზის 1-ლი საშ. სკოლა, VIII კლასი.



ბ ა მ ზ ე. ბონა ფილაშვილი, რუსთავის მე-18 საშუალო სკოლა, V კლასი

ბაქსი  
მუკამა  
ლაზანიძისა

# 25 თებერვალი

ეროვნული  
მუსიკალური  
ზნარა  
ნიროპილისა

ზომიერად

ფაზი

ვინ არც გვჩიბი ძო-ფხე-ნი-ლა არც შო-ში-ა ჩანს ახვ მხ-ცხო-ბით ძო- ვე-ნი-ლა სა-ქაი-ვე-ლის ცა

ვუხვი ვხედავთ თეთრი ნუშის თეთრი ტყემლის ჯარს მაგრამ უკვე გაზაფხულდა ხეში წყალი დგას


გა-თე-და-ბა ხვალ თე-ბერ-ვა-ლი სა-ქარ-თვე-ლოს ცა

ოცდახუთი თებერვალი გათენდება ხვალ თებერვალო, საქართველოს გაზაფხული ხარ!

ჯერ არც გვჩიბი მოფრენილა,  
არც შოშია ჩანს,  
არც მერცხლებით მოფენილა  
საქართველოს ცა.

ჯერ ვერ ვხედავთ თეთრი ნუშის,  
თეთრი ტყემლის ჯარს,  
მაგრამ უკვე გაზაფხულდა,  
ხეში წყალი დგას.

ოცდახუთი თებერვალი  
გათენდება ხვალ.  
თებერვალო, საქართველოს  
გაზაფხული ხარ!





# დადე შენი

სკოლაში  
სამხარაული

მ თ ხ რ ა



ის დღე სამახსოვროდ დამრჩა. მამამ ალაზნის პირას, სათიბში წამიყვანა. დილით, სანამ დაცხებოდა, იქურობა მივიარ-მოვიარე; წარაფებში ჩიტის ბუდე ვეძიე, რაკი ვერ ვიპოვე, მდინარესთან ჩავედი და გუბურებში ლიფსიტებს ვძიე. იქაც ხელი მომეცარა. შუადღისას მთიბავემბა რომ შეისვენეს, სამჯერ ჩავიბრინე ფშანზე და ცივი წყალი ამოვიტანე. მიიყულებდა ცალყურას ილო პაპა, წრუპვა-წრუპვით დაღევდა. მოიწურავდა უღვაშებს და, ეს რა კარგი ბიჭი ყოფილა, კაცო, ეს რა კარგი ბიჭი ყოფილაო. — იტყოდა ხოლმე. მზე გადაიწვერა. ცოტა აგრილდა. შევედი ჭალაში ჩემი წალღუნათი და, რა გინდა, სულო და გულთ, ერთიმეორეზე უკეთესი ჯიხები, შურდელის ტარები და წკეპლები მოვჭერი. ჭალიდან გამოვიტანე, მუხის ქვეშ ჯიოკზე ჩამოვჯექი და გასატუსაღე ვამზადებდი. მამა იქვე ახლოს თიბავდა. მცელავეებს წინ მიუძლოდა. ოფლით დაჭონქობებული თეთრი პერანგი ბეჭებზე დაჰკვროდა. ღონივრად იქნევდა ცელს. მოუსევამდა და თან ტანს მიაცილებდა.

უცხად ცელმა რალაც უცხო ხმა გაიღო. მამა გაჩერდა, დაიღუნა, რალაცას სინჯავდა. მაშინვე მეც იქ გავიხდი.

— რა არის, მამი?  
— მწყრის ბუდეა. — ჩაილაპარაკა და ბალახის ხმელი ფესვების და ღეროების მიწაში ჩაფლული გორგალი გადაშალა. კვერცხები ზოგი დამტვრეულიყო და ბუდის ბუმბულ-მოფენილი შიგნითა კედელი მოეთხუნა. მთელბეც ჩანდა. ერთი, რომელიც სუფთა იყო, ხელში ავიღე.

— დადე, ბიჭო, არ გატეხო! — წამოიტია მამამ, მაჯაში ხელი ჩამადგლო და შიგვე ჩამადებინა. კვერცხები გადაარჩია. გატეხილები ერთ ადგილას დააგროვა და ზედ მიწა დააყარა. რა თვალები ამება, როგორ ვერ დავინახეო, — ბუზღუნებდა თავისთვის. ბუდის დათხუნული კედლები ბალახით მოასუფთავა, გაამშრა და ზედ ბუმბულები მიაფარა. ექვსი კვერცხი მთელი გადარჩენილიყო. ისინიც გაასუფთავა და ისევ შიგ ჩააწყო.

— ერთი მომეცი, რა, მამი, გეხვეწები, ერთი მომეცი! — ყელს ვუწვევდი.

ის კი გულდასმით ასწორებდა ბუდეს. თითქოს არც ესმოდა ჩემი ლიჯინი. რომ მოაწესრიგა, ახლა გარშემო ბალახები წამოაყენა და მაშინ-ღა გამცა ხმა.

— არ შეიძლება, ტყუილად უნდა გააფუტო.

— ერთი, რა, ერთს ავიღებ.

— არა-მეთქი, ხომ ვითხარი, ხელი არ ახლო!

ცელი აიღო. მაღლა-მაღლა ფრთხილად მოთიბა ბუდის გარშემო. მერე ერთი თალამი თივა აჩეჩვით ზედ გადააფინა.

ვიცოდი, მამა ზედმეტად არაფერს გააკეთებდა. მაგრამ თივის დაყრამ დამაუქვა. მწყერი ველარ იპოვის-მეთქი, — საგონებელში ჩავეარდი. ბოლოს ველარ მოვითმინე და კვითხე:

— მამა, თივა რად დააყარე?

იმან უკვე თიბვა გაახურა. ილო პაპას ცელის შარიშური ფეხებთან წამოგვეწვდა.

— რა არი, განძი იპოვეთ? — შემომღიმა ილო პაპამ.

მეც გავიღმი და თავი დავუქნიე.

— მამ გაგჩენია საქმე. მე წემი საფიქრალი მაწუხებდა. მამას გვერდში ამოუდექი და გავუმეორე, თივა რად დააყარე-მეთქი. მიძინომ ან სხვა რამემ არ დაინახოსო, — მიპასუხა მოკლედ. — კრუხად რომ დაჯდება, მზე არ შეაწუხებსო, — დაამატა მოგვიანებით.

— მაშინ ნუ გათიბავდი; რომ ვერ იპოვოს?

— იპოვის. თუ არ გავითბავდი, მაღალ ბალახზე მოსაძოვად საქონელი მივა და ფეხს დაადგამს.

— აწეწილში უფრო არ გამოჩნდება? მზეც შეაქყეტავს.

— ჰაერმაც ხომ უნდა გაუაროს, არ დასცხეს.

კიდევ რალაცის კითხვა მინდოდა, მაგრამ აღარ დამაცადა: წადი, ჩრდილში დაჯექიო. ცოტა გავიარე და გავჩერდი. სხვა მთიბავეებიც მოახლოებულიყვნენ.

— მიდი მოუსვი, მოუსვი, მოუცურდება! — შეუძახა ლექსო ძიამ.

თიბვას მოუჩქარეს; გაიშინებდა ცელი. ბალახი მოსხლეტით დაეფინებოდა. აიხვეტავდა ჩორჩი და ღვერა — ნამხრევი წინ-წინ მიცოცავდა.

მართალია, მამამ გამაფრთხილა. ხელი არ ახლოო, მაგრამ ერთი სული მქონდა. კვერცხი ამომელო და საღამოზე ბიჭებისათვის მეჩვენებინა. ამას წინათ „ჩასაყლაპმა“ საიდანაც ჩიხოლას კვერცხები მოიტანა, ისე დაჰკანკალებდა. ხელში არავის დაგვაჭერინა.

მამა ვერა მხედავდა — უკან აღარ მოუხედავს. ყველა რომ გამცდა, დრო ვიხელთე, მივიპარე ბუდესთან. ერთი კვერცხი ამოვიღე და ჯიბეში ვუკარი თავი. გავედი მუხასთან, დაჯექი ჩრდილში და ჯიხებს გულდადინჯებით თავ-ბოლო წავაკვერცხე.

მერე შურდულის სატარებს მივუბრუნდი. ტოტები გრძლად წაეჭვირებოდა, წვეროები დავატყუებ და წნელით შევკარი, რომ გატუსვის დროს არ დახრეცილიყო. ამასობაში მზე ჩავიდა. მთიბავები ნაკვეთის ბოლოში გავიდნენ. ცელები მხრებზე გაიდეს და მუხისკენ წამოვიდნენ. ლექსო ძიამ. მოვიდა თუ არა, სურა აიღო, თავი უკან გადასწია და წყალი ოფლიან სახეზე მოიქცია.

— რას ჩადიხარ, სულ არ ჩამოსცალო! — ხელებში ეცა ილო პაპა და სურა წაართვა. ცელები ვარჯზე ჩამოქვიდეს და ხელ-პირის ბანა დაიწყეს. წყალს მე ვუსხამდი — სურიდან ცალყურაში ჩამოვასხამდი და იმით. ბოლოს მამამ დაიბანა. შუბლიდან წვეთები სალოკი თითით მოიწურა და წკიპურტით მომაწუნწკლა. გამეცინა, სახეზე ხელი ავიფარე და თითებშორის გავიჭვრიტე. ერთბაშად ნირი შეეცვლა. ვიგრძენი დაყინებით ჯიბეზე მიყურებდა. დამცხა. ცუდად იყო საქმე. ვითომ ვერაფერს მივხვდი, ხელი ჩამოვუშვი, ჯიბეზე ჩამოვიფარე და თვალბეში შევაცქერდი. სახე მოეჭრუნა, მომიახლოვდა, ჯიბის პირი გადამიწია და, ეს რა არიო, — მკითხა.

რა-მეთქი, — გავიკვირვე და ჯიბეში ჩავიხედე.

წელი მომწყდა: კვერცხი შიგ ჩათხლანულიყო. გართაც გამოეყოხა, წვეთ-წვეთად ჩამომდიოდა. გამტყუნებულმა თავი ჩავქინდრე. მამამ ორი თითი ნიკაპქვეშ ამომდო და თავი ამაწვეინა.

ისეთი თვალით მიყურებდა — გამაცია.

— მე არ გითხარი, ხელი არ ახლო-მეთქი! — მითხრა კუშტად.

— აპატიე, ბაღია, აღარ იზამს! — გამოემქომდა ილო პაპა.

არ გამიხედავს, მაგრამ ვიგრძენი, ყველა მე მიყურებდა.

— აპატიე, აპატიე, — სიტყვა მომამაშველა სანდალა ძიამაც.

— ჩემი ნათქვამი რაკი არ ვესმის. აქ აღარ წამოგიყვან! — მითხრა მამამ.

ასრულა კიდეც, იმის შემდეგ სათიბში აღარ წავუყვანივარ.

სალამობით მოუთმენლად ველოდი, შინ როდის დაბრუნდებოდა, რომ მწყურის ამბავი გამეგო. შებინდებულზე მოვიდოდა. ცელს საჩხის თავხესთან გაურჭობდა და კიბეზე ნელ-ნელა, სახელურზე ხელის კიდებით ამოვიდოდა. დედა პირსახოცი-თა და ცალყურათი შეეგებებოდა. პირველად თვალს მარიდებდა. მერე წყენამ თანდათან გადაუარა და კიბეს რომ შემოუდგებოდა. ცალყუბად

გამილიმებდა. წელზევით ტანს დაიბანდა. სახეზე წყალს მომაწუნწკლებდა, გულდინჯად შეიმშრალებდა. პერანგს გამოიცვლიდა და სავანშიმოდ დავსდებოდი კიდეც. ხან რას მოგიყვებოდა და ხან რას. ზოგჯერ სანდალა ძიასავით ცხვირში ჯიმჯიმს დაიწყებდა და იმის ნათქვამზე გვაცინებდა. მწყურზე კი არც ერთხელ სიტყვა არ დასცდენია. ვერც მე ვბედავდი რამე მეკითხა.

ერთხელაც, პირი რომ დაიბანა და წყალი მომაწუნწკლა, ირბად გამომხედა და, თითქოს სათქმელად არ ემეტებო, ჩილაპარაკა:

— ჩვენი მწყური საცაა დაჩეკავს... ბარტყები კვერცხში წვიან.

გაშეშმიშებული დაერჩი. აღარ მოველოდი, თუ მამა მწყურზე რამეს მეტყოდა. გამიხარდა. თან გაოცებული დაერჩი: ბარტყები კვერცხში როგორ წვიან, ან მამაჩემმა როგორ გაიგონა-მეთქი. დედამ სუფთა პერანგი გამოიტანა, გაკვირებული დამაცქერდა. რა იყო, ასეთი რა უთხარიო, — მკითხა მამას.

— ეს ჩვენ ვიცით, — მიუგო მამამ და ხელ-პირი გულმოდგინედ შეიმშრალა.

სამზარეულოში შევედი, დედას სუფრა უკვე გაეწყო.

— დილას აქეთ პირში ლუკმა არ ჩაუღვია, — დამაბეზლა დედამ.

მამამ ქემად შემომხედა. გავისუსე. არაფერი მითხრა. თვითონ ისეთი ჭამა იცის, რომ არ შიოდეს კაცს, ჭამა მოუნდება. თანდათან მადა გამეხსნა. დედა სულ იმას მოშლის, ჭამის დროს ნუ ლაპარაკობო, მაგრამ ველარ მოვითმინე და მამას კითხე:

— როგორ იპოვა?

— იპოვა, სამი კვერცხიც დაამატა, — მიპასუხა.

ვანშმის შემდეგ, თუმცა გვიანი იყო. ბიჭებში გავვარდი. მამის ნათქვამს ცოტა რალაცები დავამატე და მწყურის ამბავი ჯერ სოსოს მოვუყევი, მერე ნანასა და გოჩას. ეს ყველაფერი ახლა „ჩასაყლას“ რომ გავუთქორე. ცოტა შეება ვიგრძენი. შინ რომ მოვედი, მამა უკვე დაწოლილიყო, დედა ჭურჭელს რეცხავდა.

— დედა, უთხარი რა, წამიყვანოს, — ჩემად დაუწყე ხვეწნა. — უთხარი, სანამ დაიძინებს.

უარი მითხრა. გაუგონარი რომ ხარ, არაფერს არ ვეტყვიო.

— უთხარი, გეხვეწები, აღარაფერს დავაშავებ, ყველაფერს გაგიგონებ.

— ვერა, მე ვერ ვეტყვი, თუ ღირსი ხარ, თვითონ გაპატიებს.

მთელი ღამე ძილ-ღვიძილში ვიყა-

ვი. ხან მწყურის ბუდეს ვხედავდი და კვერცხიდან წვილიც ვხედავდი. ხან — პირყვითელა ბარტყებს, ხან კი მახსოვდა, რომ მამას არ მიყვავდი და მიკვირდა, აქ საიდან გავჩნდი-მეთქი. ამ გაწამაწიაში რომ ვარ, ფეხზე ხელის წავლება ვიგრძენი. თავი წამოვწიე და თვალბე მოვიფშვნიტე. საწოლთან მამა იდგა. დამაცადა, სანამ გამოვფნიზლდებოდი. მერე თვალთ მანიშნა — წავიდეთო. მაშინვე წამოვფორინდი, ხელ-პირი დავიბანე, ჩავიკვი და ალაზნისაკენ დავეშვი. მთიბავები ვერხვთან შექუჩებულებიყვენ. ზოგი ცელს კვერავდა, ზოგი ლესავდა.

სანდალა ძიამ რომ დამინახა, გაკვირვებულმა ტაში შემოპკრა.

— ეჰე, ჰე, ჰე, რა არი ბალობა! დაწე, იძინე. ნეტა აქ რა უნდა გააკეთო, — წაიჯიძჯიმა ცხვირში.

მამას შევხედე. გაგვეცინა. ილო პაპას უღვაშებში ჩაელიმა.

— ჩვენ ვიცით, რაც უნდა გააკეთოს, — თქვა ხმამალა, ჩვენსკენ გადმოიხარა, პირზე ხელი აიფარა და გადმომიჩურჩულა: — დაჩეკა.





ტანში გამაერიალა. სიხარულისა-  
გან ავცახცახდი. ყველა მე მიყურებ-  
და და იღიმებოდა. მამამ ცელი ააწ-  
ყო.

— წადი, წაიყვანე. თორემ ალბათ  
მაგის გული ზღვას ერევა, — უთხრა  
ბრიგადირმა.

— რა გვეჩქარება, შესვენებაზე  
წავალთ.

— შუადღემდე გაძლება არ უნდა!  
— გამომეჭომაგა ილო პაპა. — წაი-  
ყვა, ცოდოა ბალოი.

— რას ამბობ, ხო გული გადაე-  
ლია! — შეუტია ბრიგადირმაც. — წა-  
დი. სანამ მოხვალ, შენს მხარულს  
ჩვენ ვატარებთ.

ბრიგადირი ელიბო, შარშან ცე-  
ლის პირი რომ ამოვუტეხე და გამო-  
მაპანლურა, იმის შემდეგ არ მიყვარ-  
და, მაგრამ ახლა იმაზე კარგი კაცი  
ქვეყანაზე არავინ მეგონა. მამამ ცე-  
ლი ალესა, ვარჯზე დაჰკიდა და თვა-  
ლი მიყო — წავიდეთო. მივდივართ.  
მივდივართ, გზა აღარ ილევა. როგ-  
ორც იქნა, მივუახლოვდით დიდ მუ-  
ხას.

— აბა, იპოვი? — მითხრა მამამ.

მივიხედ-მოვიხედე. ჯერ ვერ ვი-  
ნიშნე, ბალახი წამოზრდილიყო, ჩვე-  
ნი დაყრილი თალამი აღარსად ჩან-  
და. მუხასთან მივედი, იქიდან გავი-  
სისწვრივე და წამოვედი. უცებ ჩემს  
წინ მწყერიმა გააღინა ფრთხილი.  
აფრინდა და იქვე ახლოს ჩაჯდა. მა-  
მას გავხედე, ეღიმებოდა. უკან რომ  
ვისკუბე, ალბათ ეგონა, შემეშინდა.  
მივინიშნე ის ადგილი, სადაც მწყე-

რი ჩაჯდა და ფრთხილად მივეპარე.  
მივედი, მივედი — არსად არ არი.  
ვტრიალებ. ვათვალიერებ — არსად  
არ არი. რა მიწამ უყო პირი — ვერ  
გამივია. რომ გაქცეულიყო, დავინა-  
ხავდი. არადა ბალახიც არსად გატო-  
კებულა. ის იყო მამას გავხედე.  
ზედ ფეხთან გააღინა ზრიალი და  
ოთხი-ხუთი ნაბიჯის იქით ჩაეშვა.  
მეგონა, ვერა ფრინავს-მეთქი და გა-  
მოვუდექი. მივეარდე — ამიფრინ-  
დება. ეს-ესაა უნდა ვტაცო ხელი —  
ამიფრინდება. მამაკვდება სიცილით.  
— მოდი, ვერ დაიჭერ! — მიქნევს  
ხელს.

დატყვით კი როგორ ვერ დავიჭე-  
დი, მაგრამ მამა შეძახდა. წამოვე-  
დი. ძალიან კი დავიღალე, ძლივსა  
ვსუნთქავდი. ნელ-ნელა წამოვიდა და  
შალაფის ხმელ ლეროსთან გაჩერდა.

— ნაშ არ იცი, რომ ვერ დაიჭერ,  
— მითხრა სიცილით. — ეგ დედა  
მწყერია და უნდა ბუდიდან შორს  
გაგიტყუოს.

მაშინდა მივხვდი მწყერის ოინს და  
გავწითლდი.

საიდანღაც ბარტყების ხმა მომესმა.  
ყური ვცქვიტე. მივიხედ-მოვიხედე.  
ვერ გავარჩიე, საიდან იყო. აქეთ იპო-  
ვიხედავდი — იქიდან მესმოდა, იქით  
გავიხედავდი — აქედან. ციბრუტი-  
ვით ვტრიალებდი.

— აი, სად არიან. — მითხრა მამამ  
და ბალახები გადასწია.

— ვაი! — წამოვიძახე გახარებუ-  
ლმა და დავიხოქე. ბუდეში ციცქნა  
ბარტყები ყელყელაობდნენ. პირს

გვიღებდნენ. ჯერ ლაპარაკი  
ვინე, აქა-იქ გინგლები ამოხრიალდა.  
მხოლოდ. სად იყო და სად არა, დე-  
და მწყერი ჩვენს გვერდით გაჩნდა.  
ატეხა ერთი კრჩხიალი, დაფეთებუ-  
ლი ხან აქეთ იცა, ხან იქით. წრიალებ-  
და, გაიქცეოდა, გამოიქცეოდა, ამო-  
ფრთხილდებოდა და ჩაეშვებოდა.  
დედის განგაშის ხმა რომ გაიგონეს,  
ბარტყები ბუდეში ჩაიმაღლნენ, ერთ-  
მანეთს ფრთებქვეშ უძვრებოდნენ.  
— წავიდეთ. ცოდოა. — მითხრა  
მამამ.

— ცოტა ხანს კიდევ ვიყოთ, რა,  
— შევეხვეწე.

— სხვა დროს მოვიდეთ. აგერ, რა  
დღეშია!

ბუდეში ხელი ჩაყვავი, ბარტყი  
ავიყვანე და ის იყო, გულში უნდა ჩა-  
მეკრა, დედა მწყერი მეძგერა. ბარტ-  
ყი ხელიდან გამივარდა. მწყერი ბუ-  
დესთან დაეშვა, ფრთები გაფარჩხა  
და წრიალ-წრიალით წაღმა-უკულმა  
დაიწყო სირბილი. მამამ ჩაიმიხუნა.  
ცალი ხელი ბეჭზე დამადო, მეორე-  
თი ბარტყი აიყვანა და ბუდეში  
ფრთხილად ჩასვა. მწყერი გაიფხო-  
რა, ბუმბული აუშვა. მოკლე, უსნი-  
ფერა ნისკარტი გააღო, საკბენად  
წაეტანა.

— არას გერჩით, ნუ გეშინია, და-  
წყნარდი, — უთხრა მამამ და თავზე  
ხელის გადასმა დაუპირა. ის უფრო  
გაიფხორა — აი, რა დიდი ვარო.  
ხმაც დიბოხა, გვაშინებდა თავისი  
ქუთით. მამამ ხელი თანდათან მიუახ-  
ლოვა, ის კი გაცხარებული წაეძიძ-  
გილავებოდა და უკან გადახტებო-  
და, წაეძიძგილავებოდა — გაფრთხილ-  
დებოდა. ბოლოს მაინც წაატანა ხე-  
ლი. ჯერ ზურგზე გადაუსვა, მერე  
ფომფლად მოჰკიდა და აიყვანა. თან  
უმეორებდა: დაწყნარდი, ნუ გეშინ-  
იაო.

ჩვენ ხომ არაფერს დაუშავებ-  
დით, მაგრამ იმას თავისი დაემარ-  
თა. რაკი მუჭაში მოექცა, ალბათ  
იფიქრა, ჩემი საქმე გათავდაო, ში-  
შისაგან გაითანგა — ხმა ჩაუწყდა.  
ფეხები აუტახცახცა, თვალები მი-  
ლულა და თავი ჩაჰკიდა.

— გაუშვი, მამა, კვდება! — დავი-  
ყვირე. ყელში რალაც მომეჩარა. მა-  
მამ დასვა. მწყერი გვერდზე გადაბ-  
რუნდა, ძაგთაგებდა. ცალი ფრთა  
ოდნავ ჰქონდა აწეული და ისე უთ-  
როოდა, გეგონებოდათ, გაფრენა უნ-  
და, მაგრამ ქანცი გაუწყდაო. ცოტა  
ხნის შემდეგ წვალეზ-წვალეზით პი-  
რქვე გადმობრუნდა. თავი როგორც  
იქნა, მიწას ააცილა, კისერი წაიგრძე-  
ლა. გახოხდა, გახოხდა, ძლივძლი-  
ვობით მილასლასდა ბუდემდე.

16 117



საქართველოს  
ლიტერატურის  
აქტიური  
ბიბლიოთეკა



მეცხე

ნერგი ჩავრგე ერთი ციდა,
თან ყოველ დღე ვრწყავდი წყლითა.

შეიფოთლა აშრიალდა,
ყვავილებით აბრიალდა,

მაგრამ გული ძლიერ მტკივა,
ყვავილები ძირს რომ ცვივა.

გვიან მივხვდი, ტყის მცენარეს
რომ არ ჰყოფნის ბალის არე.

თარგმანა ბ. ხავეთასმა

გაზაფხულდა. ველ-მინდვრები
ყვავილებით მოიხატა.

შვინდმა მშვიდად ჭყიტა თვალი,
წითლად გახსნა კვირტის ბაგე;

ყინვის მინით დაფარული
არაკრავდა ნაკადული.

ყაყაჩოსაც გაელვიდა
შავი თვალის ხამხამითა,

გავარდა თოფი,
გასისხლული დაეცა შველი.

ურემი მიდის...
გავიარე სიმინდის ყანა,

მამის მკვობეზი

ნაღდ სიტყვას მისდევ ბოლომდის,
უფონო მდინარე გასცურე

ფრთები უღონოდ გაშალა და შეი-
ლებს გადაეფოფრა.

მამამ ხელი მომკიდა და განზე გა-
მიყვანა. ჩუმად, რა დაგემართა, განა

ქედებოდნენ, ხან დაეჯახებოდნენ და
უკან ვარდებოდნენ.

მამამ მხარზე ხელი დაჰადო და
წავედიო.

მამამ წარაფის ბოლოში თივით
დატვირთულ მანქანას გააყოლა თვა-

როგორ მიაბნევეს, ბერა განა
კარგად დაუდგიათ!

მამამ გეზად გამომხედა.
— კვერცხი რომ გაუტეხე, აღარ

ტანზე რალაცამ ჩამიარა. თითქოს
წყალი გადამასხესო.

ჩქარა მთიბავები დაჩნდნენ. შორი-
დანვე ისმოდა მათი კიჟინა.

ილო პაპამ თვალი შეგვეასწრო.
— მოდიან, ჩვენი მონადირეები



გალაქა საბაჟილი

გალაქტიკა.  
მეტაგალაქტიკა

**1** ეუიარაღებელი თვალისათვის უხილავ ვარსკვლავთა რიცხვი გაცილებით მეტია ხილულთა რიცხვზე, სულ კი მზის გარემომცველი ვარსკვლავების ოჯახი, სახელად გალაქტიკა, 150 მილიარდამდე ვარსკვლავს შეიცავს. ეს უზარმაზარი სისტემა სფეროდ რომ წარმოვიდგინოთ, მისი დიამეტრის გადასერვას სინათლის სხივი 100 000 წელს მოუნდებოდა, ოღონდ ვარსკვლავთა 90 პროცენტზე მეტი ამ სფეროს ერთ-ერთი სიბრტყის, ე. წ. გალაქტიკური სიბრტყის სიახლოვეს განლაგებულ თხელ დისკოზე მდებარეობს. მზე და მისი ოჯახიც ამ დისკოში არიან განლაგებული, ოღონდ, არა ცენტრ-



ტომ, რომ მისი ყველა ვარსკვლავი ერთიანი გრავიტაციული მიზიდულობით არის შეკავშირებული.

რა არის გალაქტიკის საზღვრებს მიღმა? ეს კითხვა დიდხანს უპასუხოდ იყო. XX საუკუნეში კი გამოიკვია, რომ მის მიღმა ერთხანს სიცარიელეა, შემდეგ კი სხვა გალაქტიკებია განლაგებული. მათგან უახლოესი — მაგელანის ღრუბლები დაახლოებით 180 000 სინათლის წლის მანძილზეა ჩვენგან. მაგელანის ღრუბლები ჩვენს გალაქტიკაზე უფრო მცირე ზომის სხეულები და მისი თანამგზავრებია. არსებობს დამოუკიდებელი სისტემებიც, მაგალითად, ანდრომედის ნისლეული ჩვენი გალაქტიკის ოდენაა და ჩვენგან 2 მლნ სინათლის წლის მანძილით არის დაშორებული. აღმოჩენილია გალაქტიკები 1 მლრდ სინათლის წლის მანძილზე და უფრო შორსაც. ხოლო ზოგი რადიოგამოსხივების წყარო—კვაზარები (ეს-

ქტიკის მიღმა — ჯერ არ ვიცით. შესაძლოა, სხვა მეტაგალაქტიკები. მაგრამ თვით მეტაგალაქტიკაც შეიძლება უსაზღვროდ ჩავთვალოთ, რადგან მისი მასშტაბის წარმოდგენა გონებას მაინც არ ძალუძს. მართლაც, ის სხეულები, რომლებიც მეტაგალაქტიკის საზღვრებზე ჩანს, შესაძლოა, უკვე რამდენიმე მილიარდი წელია, აღარ არსებობენ, ჩვენ კი მათ მაინც ვხედავთ, როგორც არსებულებს. დღეს რომ 3C 123 რადიოგალაქტიკიდან რადიოგადაცემა მივიღოთ, იგი 8 მილიარდი წლის წინათ გამოგზავნილი იქნება. ჩვენ რომ ამ ცივილიზაციას გამოვეხმაუროთ და რადიოგადაცემით ვუპასუხოთ, 8 მილიარდი წლის შემდეგ თუ მივაწვდენთ მას ხმას. შეგვიძლია განადარწმუნებული ვიყოთ, რომ ჩვენს პასუხს საერთოდ ვინმე მიიღებს? ან არსებობს კი ეს გალაქტიკა, თუნდაც დღეს? რვა მილიარდი წლის წინათ, ე. ი. მათი წარმოსახვითი სივრცის გამოგზავნის მომენტში ხომ, თავის მხრივ, დედამიწა არც არსებობდა.

დედამიწის  
ცივილიზაცია  
ერთადერთია?

არიან სამყაროში გონიერი არსებანი ჩვენს გარდა? ადამიანს უნდა, რომ იყვნენ! მაგრამ სად არიან? რატომ არ გვეხმაურებიან? ჩვენ თვითონ თუ შეგვიძლია მოვძებნოთ? ან შევატყობინოთ ჩვენი არსებობა? ხომ არ ყოფილან ოდესმე მათი წარმომადგენლები დედამიწაზე? თუ არსებობს სხვა ცივილიზაციები, გვისწრებენ თუ ჩამოვგრჩებიან ისინი მენიერების განვითარებით? სასარგებლო იქნება მათთან ჩვენი ურთიერთობა თუ საშიში?

რადგან კოსმოსური ცივილიზაციები ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვარაუდები გამოვთქვათ, მაგრამ, რატომ უნდა, ეს ვარაუდები მეცნიე-

საბაჟილი  
საბაჟი  
საბაჟი

საბაჟი?

ში, არამედ პერიფერიისკენ, ცენტრიდან 30 000 სინათლის წლისა და გალაქტიკის ნაპირიდან 20 000 სინათლის წლის მანძილზე. გალაქტიკა ბრუნავს კიდეც (ისე, როგორც ყველა სხვა ციური სხეული). მისი ბრუნვის პერიოდი ცენტრიდან სხვადასხვა მანძილზე სხვადასხვაა. რაც შეეხება მზეს, იგი ერთ გარშემოვლას 200 000 000 წელს უნდება, ასე რომ, სულ, თავისი არსებობის მანძილზე (5 მლრდ წელი) მან დაახლოებით 25-ჯერ შემოუარა გალაქტიკის ე. წ. დერძს.  
გალაქტიკა ერთიანი სისტემაა იმი-

ენიც გალაქტიკები უნდა იყოს, ოღონდ, განსაკუთრებულ სტადიაში) 10 მილიარდი სინათლის წლის მანძილზეა ჩვენგან.


ეს უზარმაზარი სივრცე, საიდანაც სინათლე 10 მლრდ წელს უნდება ჩვენამდე მოღწევას, სავსეა გალაქტიკებით. მათ აქვთ სრულიად სხვადასხვა ზომა, ფორმა, აგებულება. ისინი ასხივებენ გამა და რენტგენულ, აგრეთვე ულტრაიისფერ, ოპტიკურ, ინფრაწითელ და რადიოტალღებს. ამ გალაქტიკების ერთობლიობას მეტაგალაქტიკას ვუწოდებთ. რა არის მეტაგალა-

რების მონაცემებს უნდა ემყარებოდეს.

იმ ფაქტიდან, რომ მეტაგალაქტიკა წარმოდგენილია ვრცელია, ჩვენ ვასკვნით: შეუძლებელია სადმე არ არსებობდეს სხვა ცივილიზაცია. ჩვენს გალაქტიკის 150 მილიარდი ვარსკვლავი მზის მსგავსი დამოუკიდებელი მნათობია. მათგან ბევრს ეუფლება პლანეტები და რომელიმე მათგანზე

ბური ენერჯით, ცივილიზაცია ვერ წარმოიშობა. ე. ი. მართო ვარსკვლავთა სიმრავლე ცოტას ნიშნავს. მათ პლანეტებიც უნდა ჰყავდეთ. მაგრამ ასეა? ამის დადგენა ძალზე რთულია. თავისთავად პლანეტები ხომ, თავის მზესთან შედარებით, უმნიშვნელოდ ცოტას ასხევენ და ვარსკვლავის სიახლოვეს არც გამოჩნდებიან. თუმცა, მათ, მაინც შეუძ-

მასის მქონე პლანეტა ჰყავს, რომელიც 2,5 წლიანი პერიოდით უფლის მას გარს. უდიდესი დაშორება ვარსკვლავიდან 750 მლნ კმ, ე. ი. 5-ჯერ მეტია, ვიდრე დედამიწიდან მზემდე. ვარსკვლავამდე მანძილი 10,7 სინათლის წელია. ესაა მზის მსგავსი ყვითელ-ნარინჯისფერი ვარსკვლავი, რომლის მასა მზის მასის 70% შეადგენს. ასევე შეიძლება მოვიხსენიოთ ბარნარდის ვარსკვლავი, უახლოეს ვარსკვლავებს შორის მეორე (მანძილი — 5,9 სინათლის წელი), რომლის სისტემაში 1963 წელს აღმოაჩინეს პლანეტა, 1969 წელს კი უფრო ზუსტი ანალიზით ორი პლანეტის არსებობა დაასკვნეს. თავიანთი მზიდან ისინი 9,7 და 3,4 ასტრონომიული ერთეულით არიან დაშორებულნი. გარემოქცევის პერიოდები (ე. ი. ამ პლანეტებზე წელიწადის ხანგრძლივობა) შესაბამისად 26 და 12 წელიწადია. როგორც ხედავთ, ჯერ მონაცემები მხოლოდ მიახლოებითია, ხოლო თვით ეფექტები — მცირე. პლანეტების შემოქმედებით ვარსკვლავის გზის გამრუდება რომ შევნიშნოთ, უნდა გავზომოთ ძალზე მცირე კუთხეები (ისეთი, როგორადაც მოჩანს თმის ბეწვის სისქე 2 კმ მანძილიდან!) ამიტომ ჯერჯერობით ექსპერიმენტების შედეგები სარწმუნო არაა. გამოქვეყნდა კიდევ შრომები, რომელთა ავტორები სხვა ვარსკვლავების „პლანეტების“ აღმოჩენას ინსტრუმენტულ ცდომილებათა შედეგად შექმნილ ილუზიად მიიჩნევენ. ამიტომ ჯერ კიდევ იძულებულნი ვართ არაპირდაპირ, თეორიული მსჯელობების მოშველიებით შევაფასოთ, თუ რამდენად გავრცელებული უნდა იყოს სამყაროში პლანეტათა სისტემები. წინათ ზოგი ასტრონომი (მაგ. ჯინსი) ამტკიცებდა: პლანეტები იმიტომ წარმოიშვა, რომ მზის ახლოს სხვა ვარსკვლავმა გაიარა; რასაც მოქცევითი ძალების შემოქმედებით მზიდან ნივთიერების გამოტყორცვა მოჰყვაო. ვარსკვლავების მჭიდრო ურთიერთმიხლოებანი ძალზე იშვიათი მოვლენა იქნება ჩვენს ვარსკვლავთა სისტემაში (გალაქტიკა ხომ ძალზე გაიშვიათებულია). ამიტომ შემოთნაქვამიდან ისიც გამოდიოდა, რომ ჩვენი მზის პლანეტათა სისტემა ლამის ერთადერთია სამყაროში ან გალაქტიკაში მაინც. შემდეგ სურათი შეიცვალა. ამჟამად აღიარებულია, რომ მზის სისტემა წარმოიშვა ერთი მთლიანი მბრუნავი კოსმოსური ღრუბლის კონდენსირებით. ცენტრალური ნაწილების კონდენსაციით მივიღეთ მზე. პე-



ჩვენს გალაქტიკის მსგავსი სპირალური გალაქტიკა № GC 628

აუცილებლად იქნება სიცოცხლის წარმოშობისათვის ხელშემწყობი პირობები. ამას გარდა, მილიარდობით სხვა გალაქტიკებიც ხომ არსებობს? თითოეულში კი აურაცხელი მზე არის. ეს ზრდის სამყაროში სიცოცხლის არსებობის ალბათობას.

თუნდაც თითო გალაქტიკაში თითო ცივილიზაცია არსებობდეს, მაშინაც კი მათი საერთო რიცხვი მილიარდებს მიაღწევს! ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ყველას აწუხებს ფიქრი: „არის სადმე სხვაგან ცივილიზაცია?“ ჩვენ ხომ, დედამიწის ცივილიზაციის წარმომადგენლებს, შეგვეძლო ყველა მათგანისათვის დადებითად გვეპასუხა. ბუნებრივია, არც ჩვენა გვაქვს უფლება, ვამტკიცოთ ჩვენივე ერთადერთობა და უნიკალურობა მთელ სამყაროში.

### ამჟამი კი პლანეტები სხვა პარსკვლავებს?

ყველაფერი შემოთნაქვამი სწორია, მაგრამ თუ ვარსკვლავებს არ ეუფლება პლანეტა — ცივი, მყარი სხეული, რომელიც მოძრაობს ვარსკვლავის ირგვლივ მდგრად ორბიტაზე და ვარსკვლავიდან ხელსაყრელ ისეთ მანძილზე, რომ ოპტიმალურად მარაგდებოდეს მისგან სით-

ლიათ არაპირდაპირ გვაცნობონ თავიანთი არსებობა — გრავიტაციული მიზიდულობის გამო ისინი იძულებულნი თავიანთ ვარსკვლავებს მცირეოდენი წრეები შემოწერონ პლანეტისა და ვარსკვლავის სიმჭიმის საერთო ცენტრის გარშემო. ამის გამო, ცაზე ვარსკვლავის გზა საუკუნეთა განმავლობაში სწორი ხაზი კი აღარ იქნება, არამედ ზიგზაგოვანი გახდება.

ასეთ ზიგზაგებს დიდხანს ეძებდნენ ასტრონომები; ყველაზე გაფაციცებით კი — ვან დე კამპი: აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ ვარსკვლავს, მაგალითად „გედის 41“ ვარსკვლავს, ბარნარდის ვარსკვლავს და სხვებს თითქოსდა ჰყავს პლანეტები: დაახლოებით განსაზღვრულია ამ პლანეტათა მასები და თავიანთი მზეებიდან დაშორების მანძილებიც. მაგ. ე. წ. „ლაღანდის 21 185“ ვარსკვლავს, რომელიც ჩვენგან 8 სინათლის წლის სიშორეზეა, ჰყავს პლანეტა, რომელიც 10-ჯერ აღემატება მასით ჩვენი სისტემის უდიდეს პლანეტა იუპიტერს (დედამიწას კი — 3180-ჯერ!). ერიდანუსის თანავარსკვლავედის ვარსკვლავს ვან დე კამპის დასკვნით (ეს დასკვნა კი ამ ვარსკვლავის 800-მდე ფოტოსურათის შესწავლას ემყარება) იუპიტერზე 7-ჯერ უფრო მეტ



რიფერიულის კონდენსაციით კი სხვადასხვა პლანეტები. საერთო სურათი ხსნის მზის სისტემის ბრტყელ სტრუქტურას (ე. ი. იმას, რომ პლანეტათა ორბიტების სიბრტყეები ერთმანეთთან ახლოსაა) და პლანეტების ერთი მიმართულებით გარემოქცევასაც. თუ ვარსკვლავებიც იმავე გზით წარმოიშვა, როგორცაც მზე, ეს კი ბუნებრივი დაშვებაა, მათაც უნდა ახლდნენ მცირე თანამგზავრები — პლანეტები. ერთი სიტყვით, პლანეტებიანი ვარსკვლავების რიცხვი უნდა ჭარბობდეს უპლანეტებო ვარსკვლავების რიცხვს.

**უველა პლანეტა ვარგისია მასზე სიცოცხლის წარმოშობისათვის?**

ცხადია, არა!

თუ დედამიწის მსგავს სიცოცხლეზე ვილაპარაკებთ, აუცილებელი გამოდის, რომ პლანეტაზე იყოს: ა) წყალი, ბ) ატმოსფერო, გ) ნორმალური ტემპერატურა.

აშკარაა — ცენტრალური ვარსკვლავიდან ძალზე შორს მყოფი პლანეტა გაყინული იქნება (პლუტონივით), ძალზე ახლოს მყოფი კი — გადახურებული (მერკურივით). ამას გარდა, მცირემასიანი პლანეტა (როგორც მაგ. მთვარე) ვერ შეინარჩუნებს ატმოსფეროს: ნორმალური სიმკვრივის დროს, მის ზედაპირზე სიმძიმის ძალის აჩქარება მცირეა, ამიტომ პირველი კოსმოსური სიჩქარე 1 კმ/წმ-ზე ნაკლები იქნება, ასეთი სიჩქარის შეძენა კი ატომებს ადვილად შეუძლიათ. ცხადია, გადამწყვეტი იქნება პლანეტის ევოლუციის გზაც, რამაც უნდა მიგვიყვანოს წყლისა და ატმოსფეროს წარმოშობამდე (მაგ. მარსზე არის ატმოსფერო, ოღონდ, ბევრჯერ უფრო გაიშვიათებული, ვიდრე დედამიწაზე; წყალი კი თითქმის არ არის). არც ატმოსფეროს ქიმიური შედგენილობაა უმნიშვნელო საკითხი. მაგ. პლანეტა ვენერას აქვს ატმოსფერო. მაგრამ მისი 97% ნახშირორჟანგია, 2% — აზოტი და მხოლოდ 0, 1 %-ია მასში წყლის შემცველობა. ეს ძალზე ცოტაა, ამიტომ მთელი წყალი, რაც კი პლანეტის არსებობის განმავლობაში გამოიყო, ზაერში იქნება. ვენერას ატმოსფეროს სიმკვრივე მრავალჯერ აღემატება დედამიწისას — აქ წნევა ზედაპირზე 100 ატმოსფეროს უდრის. ქიმიური შედგენილობის თავისებურებებში კი გამოიწვია ზედაპირის გაცხელება 500°C ტემპერატურამდე. მარსის ატმოსფეროშიც ბევრი — 95% ნახშირორჟანგია და მცირე წყლის ორთქლი, არის აგრეთვე, მცი-

რეოდენი ატმოსფერი უანგბადი და ა. შ. მნიშვნელობა აქვს გრუნტის თვისებებსაც. მაგ. მარსის გრუნტის სითბოგამტარობა მცირეა. ამიტომ ამ პლანეტის ზედაპირის ტემპერატურა დიდ საზღვრებში მერყეობს — +30°C-დან (დღისით, ეკვატორზე), — 100°C-მდე (ღამის მხარეზე). იუპიტერის ატმოსფეროს შედგენილობა მზისას ჰგავს — 90% წყალბადი, 9% ჰელიუმი, 1% დანარჩენი ნივთიერებანი. ტემპერატურა გარედან სიღრმისაკენ სწრაფად მატულობს — როგორც ფიქრობენ, 100 კმ-ზე იგი 130°C-ია, 500 კმ-ზე კი 900°C-ს აღწევს. ატმოსფეროს სისქედ 100 000 კმ-ს ვარაუდობენ; ფიქრობენ, რომ მისი ძირითადი მასა თხევადია. ერთი სიტყვით, დედამიწისეული სიცოცხლისათვის ძნელადწარმოსადგენი პირობებია.

მაგრამ თუ ვარსკვლავს ათეულამდე პლანეტა ეყოლება (როგორც ჩვენს მზეს), ერთ-ერთი მათგანი ალბათ, მაინც დააკმაყოფილებს უველა ჩამოთვლილ პირობას. აქ მეორე საკითხი იჭრება:

**უველა ვარსკვლავი კი გამოდგება მზეად?**


არა!

მზის მიზიდულობის გამო პლანეტები სტაბილურ ორბიტებზე გარემოქცევიან და მათ არ ეშუქრებათ არც მზესთან, არც ერთმანეთთან მკვეთრი მიახლოება, მაგრამ წარმოადგინეთ, რომ პლანეტა ორმაგი მზის

ვარსკვლავები მზეებად არ გამოდგება.

მაგრამ არიან კი ორმაგი ვარსკვლავები საერთოდ? არიან, და ბევრნიც. არსებობს სამმაგი ვარსკვლავებიც; მაგ., კენტავრის x ვარსკვლავი სინამდვილეში 3 ვარსკვლავის ჯგუფია. მათ შორის ჩვენგან ყველაზე ახლოს არის ე. წ. კენტავრის უახლოესი (ლათინურად პროქსიმა). მანძილი — 4,27 სინ. წ.; იგი მე-11 სიდიდის წითელი ვარსკვლავია. ამ სისტემის ორი დანარჩენი ვარსკვლავი, ერთი ნულოვანი სიდიდის მყოფითალო ცვალებადი ვარსკვლავი და მეორე — 1,7 სიდიდის მონარიჩისფრო ვარსკვლავი კენტავრის უახლოესიდან ოდნავ შორს, 4,34 სინ. წ. მანძილზე არიან ჩვენგან (ეს „ოდნავ შორს“ 630 მილიარდ კმ-ზე მეტია!). ასე, რომ ამ სისტემაში მყოფ ცივილიზაციას სხვადასხვა ბრწყინვალეების მქონე და სხვადასხვა ფერის სამი მზე ექნება. არის ოთხმაგი ვარსკვლავთა სისტემებიც, მაგ. ქნარის e ვარსკვლავი თვალთ ერთ ვარსკვლავად აღიქმება, ბინოკლში კი მის ორ კომპონენტს ვამჩნევთ, ხოლო დიდ ტელესკოპში ჩახედვისას ვრწმუნდებით, რომ თითოეული კომპონენტი, სინამდვილეში, ორმაგი ვარსკვლავია. ვარსკვლავი კასტორი ექვსმაგი ვარსკვლავია, ორიონის 6 ვარსკვლავი — შვიდმაგი; ამრიგად, ჭრადი ვარსკვლავები საკმაოდ ბევრია. 30 უახლოეს ვარსკვლავს შორის 15 შედის ორმაგ და სამმაგ სის-

პლანეტა სატურნი, რგოლით



სისტემაში იყო. თითოეული მზის მიზიდულობა ძლიერ კონკურენციას გაუწევს მეორისას, ამის შედეგად კი პლანეტების ორბიტა შეიძლება ძალზე რთული და დახლართული ფორმისა ან სულაც არასტაბილური იყოს. ამიტომ პლანეტის მანძილი „მზეებამდე“ დიდ რყევებს განიცდის და მასზე ტემპერატურა არამუდარი იქნება. აქედან გამომდინარე, ორმაგი

ტემებში უკვე ცნობილია 60 000-ზე მეტი ორმაგი ვარსკვლავი. ასეთ სისტემებში გრავიტაციული მიზიდულობის წყალობით ნივთიერება ერთიდან მეორე ვარსკვლავში გადადის, რის გამოც ვარსკვლავთა ევოლუცია ძალზე თავისებურია. როგორც ჩანს, სიცოცხლის წარმოშობისათვის ხელსაყრელი პირობები უფრო ერთჯერადი ვარსკვლავების პლანეტებზე უნდა ვივარაუდოთ.



# ჯეოსნური თბილისი

როლდ ლალი

თანამედროვე ზღაპარი

ჩვენს მეზობლად მისტერ და მისის გრეგების ფერმაა. გრეგებს ორი შვილი ჰყავთ. ბიჭები — ფილიპი და უილიამი. ზოგჯერ მათთან სათამაშოდ მივდივარ.

მე რვა წლის გოგო ვარ. ფილიპიც რვა წლისაა. უილიამი სამი წლით უფროსია ჩვენზე, ათი წლისაა.

— რაო?  
ოჰ, დიდი ამბავი! თერმეტისაა, ჰო.

წინა კვირას ძალიან სასაცილო ამბავი შეემთხვებოდა გრეგებს. მინდა რაც შეიძლება საინტერესოდ მოგიყვებოდე ამის შესახებ.

მისტერ გრეგსა და მის ვაყებს ნადირობა უყვარდათ. შაბათობით დილადრიან მიდიოდნენ ტყეში, თან თოფები მიჰქონდათ სანადიროდ. ფილიპსაც კი, თუმცა ჯერ მხოლოდ რვა წლისა იყო, საკუთარი თოფი ჰქონდა.

არ მიყვარს ნადირობა, ვერ ვიტან, ცხოველების ხოცვით რომ იქცევენ თავს, მაგრამ ფილიპსა და უილიამს სანადიროდ სიარული ვერ გადავათქმევინე. ფერმაში რომ მივიდოდი მათთან, სულ ამას ვეჩიჩინებოდი, ისინი კი მასხრად მივადებდნენ.

ერთხელ მისტერ გრეგსაც იგივე ვუთხარი, მაგრამ ისე ჩამიარა გვერდით, ზედაც არ შემოუხედავს.

ერთ შაბათ დილით, ვხედავ, ფილიპი და უილიამი მამასთან ერთად ტყიდან ბრუნდებიან და პატარა ლამაზი შველი მოაქვთ.

ბრაზი მომერია და ავტირდი. ბიჭებს გაეცინათ და დამემანქნენ,

მისტერ გრეგმა კი მითხრა, ნეტა რა გაღრიალეხსო.

აი ამ შემთხვევამ ქნა, რაც ქნა.

ისე გავჯავრდი, რომ გავვიყდი. და სანამ თავს მოვერეოდი, უნებლიეთ ისეთი რამ ჩავივინე, რაც მანამდე აზრად არ მომსვლია.

ავიღე და ჯადოსნური თითი მივაშვირე მათ!

ღმერთო ჩემო! რა მოხდა! ჯადოსნურმა თითმა, თუმცა ის იქ არ იყო, მისის გრეგზეც კი გასჭრა, მთელი ოჯახი მოაჯადოვა.

უკვე რა ხანი იყო მას შემდეგ, რაც ჩემს მასწავლებელს მისის უინტერს ის ამბავი დაემართა, — სულ იმას ვამბობდი გუნებაში, აღარასოდეს გავიშვებ-მეთქი ჯადოსნურ თითს.

საწყალი მისის უინტერი...

იგი მართლწერას გვასწავლიდა, ერთხელ მკითხა, როგორ იწერება „კატაო“.

„მაგაზე ადვილი რაღაა, — „ქატა“-მეთქი“.

„რა სულელი გოგო ხარ!“ — მითხრა მისის უინტერმა“.

„სულაც არა ვარ სულელი-მეთქი“, — ვიყვირე მე.

„აბა კუთხეში დადექიო!“ — მითხრა მასწავლებელმა.

მაშინ იყო, რომ გაცეცხლებულმა ჯადოსნური თითი მივაშვირე მისის უინტერს, და თითქმის იმწამსვე...

თუ იცით, რა მოხდა?

მისის უინტერს სახეზე ულვაშები ამოუბიზინდა! — შავი, გრძელი ულვაშები, კატის ულვაშების ნაირი, მაგრამ ბევრად გრძელი. თანაც რა

სწრაფად გაეზარდა! სანამ გონს მოსვლას მოუვასწრებდით, მისის უინტერს ულვაშები ყურებს უკან გადაულაგდა.

რა თქმა უნდა, მთელ კლასს სიცილი აუტყდა.

მისის უინტერმა იკითხა, ხომ ვერ მეტყვი, რა ნახეთ ასეთი სასაცილოო.

ხოლო დაფისკენ რომ მიტრიალდა, დაეინახეთ, რომ კუდიც ამოსვლოდა! ვეება, ფუმფულა კუდი!

ველარ მოგიყვებით, რა მოხდა ამის შემდეგ, მაგრამ იქნებ ვინმეს აინტერესებს, როგორ გრძნობს ახლა თავს მისის უინტერი; იმაზე მეტს ვერაფერს გიპასუხებთ, რომ იგი ცუდად არის და არც არასოდეს იქნება კარგად.

ჯადოსნური თითის ძალა მთელი სიცოცხლე გაყვება კაცს. ვერ გეტყვით, რატომ, რადგან თავადაც არ ვიცი.

როცა ძალიან გავბრაზდები, ასე მემართება — ტანი ამიცახცახდება ხოლმე... მერე მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითის წვერში ჩხვლეთას ვგრძნობ...

უცბად რაღაც ელდენისებრი გამოსხლტება ჩემგან და ელვასავით დაატყდება ჩემს გამბრაზებულს.

მერე იმას უკვე ჩემი თითის ჯადო შეიპყრობს და მაშინ იწყება, რაც იწყება...

ახლა კი ჩემმა ჯადოსნურმა თითმა გრეგების ოჯახზე გაჭრა და ამერიდან ველარაფერი დაუდგებოდა წინ ამ ჯადოს.

შინ გავიქეცი და ლოდინი დავიწყე, რა მოხდებოდა.

მოსახდენი კი მალე მოხდა.

ახლავე გეტყვით, რაც მოხდა. ყველაფერი ფილიპისა და უილიამისაგან შევიტყვე. მეორე დილით, როცა ყველაფერი დამთავრებული იყო.

იმ დღეს, როცა მათ თითი მივაშვირე, შუადღისას მისტერ გრეგი, ფილიპი და უილიამი კვლავ წავიდნენ სანადიროდ, ამჯერად გარეული იხვების დასახოცად, ტბაზე.

ერთ საათში ათი იხვი მოკლეს.

მეორე საათში — კიდევ ექვსი.

„რა კარგი დღეა!“ — წამოიძახა მისტერ გრეგმა. — „ჯერჯერობით ისეთი პირი უჩანს, უკეთესს ვერ ინატრებ“ — სინხართლით ფეხზე აღარ იდგა.

სწორედ ამ დროს კიდევ ოთხმა იხვმა გადაუფრინათ თავს. ძალიან ნელა მიფრინავდნენ და ადვილი მოსახელთებლები იყვნენ.



ბახ! ბახ! ბახ! ბახ! — გრიალებდა თოფები.

იხვები ისევ მიფრინავდნენ.  
„აეცდინეთ! — თქვა მისტერ გრეგმა. — პირდაპირ სასაცილოა!“

მერე, ყველას გასაოცრად, ოთხივე იხვი შემობრუნდა და ჭიქურ გაემშურა მათკენ.

„ოჰო! — გაუკვირდა მისტერ გრეგს. — ასე რად იქცევით? მაინცდამაინც უნდათ, რომ ტყვიები დაეუშინოთ?“

თქვა და კიდევ ისროლა თოფი. ბიჭებმაც ისროლეს და სამივემ ისევ ააცდინა.

მისტერ გრეგი წამოკარსლდა.  
„სიბნელის ბრალია, — თქვა მან, — ბინდდება და დანახვა ჭირს, შინ წავიდეთ!“

შინისაკენ გასწიეს და პირველად დახოცილი თექვსმეტი იხვიც წაიღეს.

მაგრამ ის ოთხი იხვი კი ვერ მოიცილეს — უკან მიყვებოდნენ და ფრებით თავს დასტრიალებდნენ.

მისტერ გრეგს სულაც არ დაუჯდა ჭკუაში ეს ამბავი.

„მოგეშორდით!“ — იყვირა და ზედიზედ დაახალა თოფი.

მაგრამ ვერ მოახვედრა. მთელი გზა ის ოთხი იხვი თავს დასტრიალებდათ და ვერაფრით ვერ მოიშორეს.

გვიან ღამით, ფილიპსა და უილიამს უკვე ეძინათ, რომ მისტერ გრეგი გარეთ გავიდა შეშის მოსატანად.

უზოში მას გარეული იხვის ძახილი მოესმა.



გაჩერდა და მალა აიხედა. ძალიან წყნარი ღამე იყო. ხეებს მიღმა, გორაკზე ახალი მთეარე მოჩანდა ყვითლად და ცაც ვარსკვლავებით იყო მოკვედილი. მერე მისტერ გრეგს თავს ზემოთ ფრთების შრიალი მოესმა და ისევ ის ოთხი იხვი დაინახა, შავად მოჩანდნენ, ღამის ცაზე გაწყაპულეები მოფრინავდნენ, სახლს ირგვლივ უვლიდნენ.

მისტერ გრეგს შეშა სულ გადაა-



ვიწყდა, სასწრაფოდ შევიდა შინ. შიშმა აიტანა. არ მოსწონდა ეს ამბავი, მაგრამ მისის გრეგისათვის არ გაუმხელია. ისღა უთხრა, წამოდი, დავიძინოთ, ძალიან დავიღალეო.

და დასაძინებლად დაწვნენ. პირველად მისტერ გრეგს გაეღვიძა.

თვალები გაახილა.

იფიქრა, ნეტა, რა დროაო, უნდოდა ხელი გაეწვდინა და საათი აეღო, მაგრამ ხელი ვერ გაანძვრია.

„რა სასაცილოა, — თქვა მან, — ნეტა სადა მაქვს ხელი?“

იწვა წყნარად და ფიქრობდა, ნეტავი, რა მოხდაო.

იქნებ ხელი იტყინა?

ახლა მეორე ხელის ამოღება სცადა.

ვერც ეს მოახერხა.

ლოგინზე წამოჯდა.

და მაშინდა დაინახა.

რაღა დამართნოდა.

იყვირა და საწოლიდან წამოვარდა.

მისის გრეგს გაეღვიძა და მისტერ გრეგის დანახვაზე მანაც შეჰკვივლა.

იმიტომ, რომ ახლა მისტერ გრეგი პატარა კაცუნა იყო!

სკამის სიმაღლე თუ იქნებოდა!

და აღარა ჰქონდა ხელები; მათ ნაცვლად იხვის ფრთები გამოიმოდა!

„ოლონდ... ოლონდ... ოლონდ! — იყვირა მისის გრეგმა და სახეზე წამოენტო. — ეს რა მოგვცვლია, ჩემო ძვირფასო?“

„ალბათ იმას მეკითხები, ეს რა დაგვემართაო?!“ — შესძახა მისტერ გრეგმა.

ახლა მისის გრეგი წამოხტა საწოლიდან.

სარკესთან მიიბრინა, მაგრამ როგორ ჩაიხედავდა შიგ როცა მისტერ გრეგზე უფრო მეტად დაპატარავებულიყო და მკლავების ნაცვლად მასაც წყვილი ფრთა გამოიმოდა.

„ოჰ! ოჰ! ოჰ! ოჰ!“ — ჭკითინებდა მისის გრეგი.

„ეს ჯადოქრის ნამოქმედარია!“ — დაიყვირა მისტერ გრეგმა.

ფრთების ფართხუნით დარბოდნენ ოთახში.

მერე ფილიპი და უილიამი შემოვიდნენ. მათაც ის სჭირდათ, რაც დედ-მამას — მკლავების ადგილას ფრთები ესხათ და მთლად ერთი ციციკები იყვნენ — მეეოლას ტოლანი.

„დედა! დედა! დედა!“ — ელურტულებდა ფილიპი.


„ნახე, დედა, როგორ დავფრინაეთ!“ — ბავშვები ჰაერში აფრინდნენ.

„ახლავე ჩამოდით ძირს!“ — უნდოდა ეთქვა მისის გრეგს. — ძალიან მალა ასულხართ!“

მაგრამ ვიდრე რაიმეს თქმას მოასწრებდა, ფილიპი და უილიამი ფანჯრიდან გაფრინდნენ.

მისტერ გრეგმა და მისმა მეუღლემაც მიიბრინეს ფანჯარასთან, გაიხედეს და დაინახეს, რომ ორი პაწაწა ბიჭი დაფრინავს მალა, ცაში.

„როგორა გგონია, ჩვენც შევძლებთ ამას, ჩემო ძვირფასო?“ —



ჰკითხა მისის გრეგმა მისტერ გრეგს.  
„რატომაც არა, — თქვა მისტერ გრეგმა. — მოდი, ვცადოთ!“ — გამეტებით ააფართოხუნა ფრთები და უეცრად მალლა აიჭრა, მისის გრეგმაც მას მიბაძა.

„მიშველეთ! გადამარჩინეთ!“ — დაიყვირა მან აფრენამდე.

„მოდი, — უთხრა მისტერ გრეგმა, — ნუ გეშინია!“

ისინი ფანჯრიდან მალლა, ცაში აფრინდნენ და სულ მალე დაეწვივნენ ფილიპსსა და უილიამსს.

მალე მთელი ოჯახი ერთად მიფრინავდა.

„ოჰ, რა მშვენიერებაა! — დაიყვირა უილიამმა, — ყოველთვის მაინტერესებდა, რას გრძნობდნენ ფრენის დროს.“

„ფრთები ხომ არ გელღება, ძვირფასო?“ — ჰკითხა მისტერ გრეგმა მისის გრეგს.

„სულაც არა, — უპასუხა მისის გრეგმა. — თუ გინდა მთელი სიცოცხლე ასე ვიფრენ!“

„ჰეი, ჩაიხედეთ ქვემოთ! — თქვა ფილიპმა, — ჩვენს ბაღში ვილაც დადის!“

ყველამ ქვემოთ ჩაიხედა და თავიანთ ბაღში ოთხი უზარმაზარი ვარეული იხვი დაინახეს! იხვები ადამიანისხელები იყვნენ, ის კი არა და, უფრო ხდილები. ფრთების მაგივრად ადამიანის მკლავები გამობმოდნენ, ჩამწკრივებულები მიემართებოდნენ სახლისკენ, ნისკარტები მალლა აემვირათ და ხელებს იქნევდნენ.

„შეჩერდით! — დაიყვირა პაწაწა მისტერ გრეგმა და იხვებს თავზე გადაუფრინა. — გამეცალეთ, ეს ჩემი სახლია!“

იხვებმა მალლა აიხედეს და ავიტყველდნენ. პირველმა იხვმა სახლის კარი გააღო და შინ შევიდა. დანარჩენებშიც უკან მიჰყვნენ. მერე კი კარი შეიკეტეს.

მთელი ოჯახი დაბლა ჩაფრინდა. კარის ახლოს გალავანზე ჩამოსხდნენ. მისის გრეგი ატირდა.

„ოჰ, ძვირფასო! ოჰ, ძვირფასო!“ — ქვითინებდა იგი. — სახლი წავკარგეთ. რა ვქნათ ახლა? სადღა წავიდეთ?“

ბიჭებიც ასლუკუნდნენ:

„ხომ შეგვკვამეს ღამით კატებმა და მელიებმა“, — თქვა ფილიპმა.

„ჩემს ლოგინში მინდა დაძინება!“ — თქვა უილიამმა.

„კარგით ახლა, — ამშვიდებდა მისტერ გრეგი. — ტირილით საქმეს ვერ ვუშველით. იცით, რა ვქნათ?“

„რა?!“ — იკითხეს ერთხმად დანარჩენებმა.

მისტერ გრეგმა შეხედა მათ და გაილიძა.

„ბუდე გავიკეთოთ.“

„ბუდეო? შევძლებთ კი?“

„უნდა გავიკეთოთ! — თქვა მისტერ გრეგმა. — ხომ უნდა დავიძინოთ სადმე. აბა, მომყევით!“

მალალ ხეზე აფრინდნენ და მისტერ გრეგმა კენწეროში საბუდედ ადგილი შეარჩია.

„ახლა ტოტები მოვზიდოთ, — თქვა მან. — ძალიან ბევრი წვრილი ტოტი გვჭირდება. გაიქეცით ჩქარა და მოაგროვეთ.“

„ხელები რომ არა გვაქვს!“ — თქვა ფილიპმა.

„პირით მოზიდეთ!“

მისის გრეგი და ბავშვები გაფრინდნენ და მალე დაბრუნდნენ — პირით ტოტები მოჰქონდათ.

მისტერ გრეგმა აიღო ტოტები და ბუდის აშენებას შეუდგა.

„არ გვეყოფა, კიდევ მოზიდეთ“, — უთხრა მერე თავისიანებს.

ბუდე თანდათან გადიდა. მისტერ გრეგი მარჯვედ აწყობდა ტოტებს ტოტებზე.

ცოტა ხნის შემდეგ კი თქვა:

„ეს ტოტები მეყოფა. ახლა ფოთლები, ბუმბული და რაიმე ისეთი მომიტანეთ. ბუდეს შიგნით დავუფინო, რომ რბილი იქნეს.“

აშენეს, აშენეს და როგორც იქნა, ააშენეს ბუდე.

„აბა, ჩასხედით“, — თქვა მისტერ გრეგმა და ცოტა უკან დაიხია, რომ დამტკბარიყო თავისი ნახელავით.

„რა მშვენიერია, არა?!“ — შესძახა მისის გრეგმა და ბუდეში მოიკალათა.

სხვებიც გვერდით მოუსხდნენ.

„რა თბილა!“ — თქვა უილიამმა.

„რა მხიარულად ვართ მალა! — თქვა ფილიპმა. — პაწიები კი ვართ, მაგრამ ხელსაც ვერავინ გვახლებს.“

„რა უნდა ვჭამოთ? — თქვა მისის გრეგმა. — მთელი დღეა პირში ლუკმა არ ჩავსვლია.“

„მართლა! — თქვა მისტერ გრეგმა. — მივფრინდეთ შინ. იხვების არყოფნაში ფანჯრიდან შევფრინდეთ და სასუსნავი რაიმე წამოვიღოთ.“

„ოჰ, ის ბინძური ვეება იხვები“, — წამოიყვირა მისის გრეგმა.

„ძალიან ფრთხილად მოვიქცეთ, ძვირფასო“, — უთხრა მისტერ გრეგმა.

გაფრინდნენ.

მაგრამ სახლთან რომ მიფრინდნენ, ყველა კარ-ფანჯარა დარაზული დახვდათ. რა ექნათ, საიდან უნდა შესულიყვნენ?

„უყურეთ იმ საძაგელ იხვს, ჩემს ლუმელთან არ ფუსფუსებს! — შეპ-

ყვირა მისის გრეგმა, სამზარეულოს ფანჯარას რომ ჩაუფრინდა როგორა ბედავს!“

„ხედავ, თოფი უჭირავს“, — შესძახა მისტერ გრეგმა.

„ერთ-ერთი ჩემს ლოგინში წამოქიმულა“, — წაიფშლუკუნა უილიამმა.

„ერთი კიდევ ჩემს ელექტრომატარებელს დააქროლებს“, — დაიყვირა ფილიპმა.

„ოჰ, ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! — ბუტბუტებდა მისის გრეგი. — მთელი სახლი დაუკავებიათ! ველარასოდეს ვერ დავიბრუნებთ, ხომ მოკვდით შიმშილით?“

„მე მატლებს ვერ შევკვამ! — განაცხადა ფილიპმა, — პირს არ დავაკარებ.“

„არც ლოქორებს გეახლებით“, — მხარი აუბა უილიამმა.

მისის გრეგმა ბიჭები ფრთებქვეშ შეიყუჟა.

„ნუ სწუხართ, — უთხრა, — ისე შევკვამხო, გემო ვერც გაიგოთ.“

„არ მინდა, არა“, — აჭუჭყუნდა უილიამი.

„პირს არ დავაკარებ“. — თქვა ფილიპმა.

„საზიზღარი! — თქვა მისტერ გრეგმა. — რაკი ფრთები გამოგვესხა, ჩიტების საქმელებსაც ხომ არ შევკვამთ. მათ მაგივრად ვაშლებს მივირთმევთ. ჩვენი ვაშლის ხეები დუნძლულია. წამოდი, ვჭამოთ.“

გაფრინდნენ ვაშლის ხისკენ.

მაგრამ ვაშლის ჭამა სულაც არ იყო ადვილი. ხელს რომ ვერ აშველებდნენ, პირიდან უვარდებოდნენ. ძლივს მოახერხეს რამდენიმეჯერ ჩაკბეჩა. ამასობაში დაბინდდა კიდევ. ბუდეში მიფრინდნენ და დაიძინეს.

ამ დროს მე უკვე შინ ვიყავი. ფილიპთან დაერეკე, რომ მომეკითხა, გამეგო, როგორ გრძნობდნენ თავს.

„ალო!“ — ვთქვი ყურმილში.

„ვიტ!“ — თითქოს ქვემოდან მომესმა ხმა.

„ვინ ლაპარაკობს?!“ — კვითხე.

„ვიტ-ვიტ!“

„ფილიპ, — ვუთხარი, — შენა ხარ?“

„ვიტ-ვიტ-ვიტ-ვიტ-ვიტ.“

„გაჩუმიდი, რა!“ — ვუთხარი მე.

პასუხად ძალიან სასაცილო ხმა მომესმა, თითქოს ჩიტი იცინოდა.

საჩქაროდ დავდე ყურმილი.

„ო, ეს ჯადოსნური თითი! — ვიყვირე. — ნეტა, რა დაემართა ჩემს ამხანავს!“

იმ ღამეს, მისტერ და მისის გრეგები, ფილიპი და უილიამი მალლა, თავიანთ ბუდეში დასაძინებლად რომ



ენყობოდნენ. ძლიერი ქარი ამოვარდა. ხე ირწეოდა და მისტერ გრეგის გარდა ყველას ეშინოდა, ბუდიდან არ გადმოვარდნილიყო. მერე წვიმამ დაუშვა. წვიმდა და წვიმდა. წყალი ბუდეში ჩავიდა და მისტერ გრეგის ოჯახი თავით ფეხებამდე გაილუმბა. ძალიან ცუდი ღამე იყო!

„ძალიან კარგი, — თქვა იხვმა, — ახლა ჩვენ ვაძლევთ ჩვენს თავს უფლებას, გესროლოთ!“

ნეტა დამენახა მამის მისტერ გრეგის სახე:

„ფრთხილად, — იყვირა მისის გრეგმა. — ჩემი ორი პატარა შვილია

„თოფებს გადააგდებთ?“  
თხა იხვმა.

„სულ დავამტვრევ. ნულარასოდეს შეგეშინდებათ ნურც ჩემი, ნურც ჩემი ოჯახის!“ — უთხრა მისტერ გრეგმა.

„ძალიან კარგი, — უთხრა იხვმა. — ახლა შეგიძლიათ ჩამოხვიდეთ მანდდან. ისე, მომილოცნია, პირველხელად მშვენიერი ბუდე გამოგსვლიათ!“

მისტერ და მისის გრეგები, ფილიპი და უილიამი ბუდიდან ამოხტნენ და ძირს ჩამოფრინდნენ.

უცებ ყველაფერს შავი ფერი დაედო. თითქმის თვალთ დაუბნელდათ. ტანში რალაც უცნაურმა დაუარათ, ყურებში ქარი აუშხუილდათ. მერე ის შავი ფერი ლურჯად იქცა, გამწვანდა. გაწითლდა, გაოქროსფერდა და უცებ თავიანთ მზით გაჩახჩახებულ ბაღში ამოყვეს თავი. თავდაც ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ.

„ფრთხილად გავექრა! — დაიყვირა მისტერ გრეგმა. — ისევ მკლავები გამოგვება!“

„ალარც ისეთი პაწიები ვართ! — გაიცინა მისის გრეგმა. — ოჰ, რა მიხარია!“

ფილიპი და უილიამი სიხარულისაგან ცას ეწივნენ.

მერე მალდიდან გარეული იხვების ძახილი მოესმათ. ყველამ აიხედა ჭაღურჯ ცაზე დაინახეს ოთხი ლამაზი ფრინველი — დაწალიკებული მიფრინავდნენ ტბისკენ.

ნახევარი საათის შემდეგ გრეგებთან მივედი. მაინტერესებდა მათი ამბავი და უნდა გამოვტყდე, გული ცუდს მიგრძნობდა. ჭიშკართან გაციებული შევდექი, უცნაური სანახაობა გადამეშალა თვალწინ.

ერთ კუთხეში მისტერ გრეგი დიდი ჩაქუჩით ამტვრევდა თოფებს. მეორე კუთხეში მისის გრეგი ლამაზი ყვავილებით რთავდა თექვსმეტ პაწაწინა ბორცვს, რომლებიც, როგორც მოგვიანებით გავიგე, წინააღმდეგობით დახოცილი იხვების სასაფლაოები იყო თურმე.

ეზოს შუაგულში კი ფილიპი და უილიამი იდგნენ. გვერდით საუკეთესო ქერით სავსე ტომარა მიედგათ. გარს იხვები, მტრედები, ბელურები, მეყოლიები, ტოროლები და ბევრი სხვა ფრინველი შემოხვეოდათ, ზოგის სახელიც არ ვიცი. ბიჭები პეშვით უყრიდნენ ქერს და ჩიტებიც კენკავდნენ.

„დილა მშვიდობისა, მისტერ გრეგ!“ — ვუთხარი მე.



როგორც იქნა, ვათენდა. მზემ სხივებით ვაათბო იქაურობა.

„უჰ, — თქვა მისის გრეგმა. — მალღობა ღმერთს. ყველაფერი დამთავრდა! აღარ მინდა ბუდეში ძილი!“

აღვა და ბუდიდან გადაიხედა. „მიშველეთ! — დაიყვირა უცებ. — შეხედეთ! ჩაიხედეთ ქვემოთ!“

„რა მოხდა, ჩემო ძვირფასო?!“ — თქვა მისტერ გრეგმა, წამოდგა, ჩაიხვდა და სახტად დარჩა.

ქვემოთ, მიწაზე ოთხი ვეება, ადამიანისხელა იხვი იდგა. სამს თოფი ეჭირა ხელში. ერთს მისტერ გრეგის, მეორეს ფილიპისა და მესამეს — უილიამისა.

თოფები პირდაპირ ბუდისკენ იყო მიშვერილი.

„ნუ! ნუ! ნუ!“ — ერთხმად წამოიყვირეს მისტერ და მისის გრეგებმა. „არ ისროლოთ! არ გვესროლოთ, გეთავყა!“

„ვითომ რათა! — თქვა ერთ-ერთმა იხვმა, რომელსაც თოფი არ ეჭირა, — თქვენ ყოველთვის არ გვესვრით!“

„ეგ სულ სხვა საქმეა. — თქვა მისტერ გრეგმა. — ჩვენ უფლება გვაქვს ვესროლოთ იხვებს!“

„ვინ მოგვით მაგის უფლება?“ — ჰკითხა იხვმა.

„თავად მივეცი თავს“. — თქვა მისტერ გრეგმა.

აქ ჩვენთან ერთად! ნუთუ ბავშვებსაც ესვრით?“

„გშშინ თქვენ ჩემი შვილები დახოცეთ! — უთხრა იხვმა. — ექვსი მომიკალით!“

„არასოდეს აღარ ვიზამთ ასეთ რამეს! — იყვირა მისტერ გრეგმა. — არასოდეს, არასოდეს, არასოდეს!“

„მართლა ასე გადაწყვიტეთ?!“ — ჰკითხა იხვმა.

„მართლა გადაწყვიტეთ! — თქვა მისტერ გრეგმა. — სანამ ცოცხალი ვარ, ერთ იხვსაც აღარ მოვკლავ!“

„მაგრამ ეს არა კმარა. — უთხრა იხვმა, — ირმებზე რას იტყვი?“


„ყველაფერს აგისრულებთ, რასაც მეტყვი, ოღონდ თოფებს ხელი უშვით, — დაიყვირა მისტერ გრეგმა. — არასოდეს აღარ მოვკლავ არც ერთ იხვს. ირემს ან სხვა რამეს!“

„სიტყვას მაძლევთ?“ — ჰკითხა იხვმა.

„გაძლევთ! გაძლევთ!“ — უთხრა მისტერ გრეგმა.



# საქრებულო საზოგადოებრივი მიმართება



დიდი ფარავანფისთვალა —  
გამავრთხილავალი მიმართება

არსებობისათვის ბრძოლა ცხოველთა სამყაროს ორ ბანაკად ყოფს: აგრესორებად და თავდაცველებად. როცა მტაცებელთა ეშვები ბრწყყალები, ნისკარტი და შხამიანი კბილები გვახსენდება, ეჭვი გვეპარება, როგორ უნდა დააღწიონ თავი მრისხანე იარაღის მთელ ამ არსენალს სუსტმა არსებებმა. მაგრამ წონასწორობა ბუნებაში არასოდეს

ირღვევა. თავდასხმის რამდენი ხეობა არსებობს, თავდაცვის საშუალებაც იმდენივეა.

ხარი, კამეჩი, უირაფი, მარტორქა, გარეული ღორი და ზოგიერთი სხვა ბალახისმჭამელი ცხოველი აგრესიას აგრესიითვე უპასუხებს. ძლიერ სხეულთან ერთად მათ აქვთ თავდაცვის სოლიდური იარაღი — რქა, ეშვი, კიდურები...

მტაცებლები ერიდებიან ზედმეტ „თავდასავლებს“ და ამიტომ ხშირად თავს ესხმიან მათზე გაცილებით სუსტ ცხოველებს, რომლებიც თავის გადასარჩენად თავდაცვის სხვადასხვა ხერხს მიმართავენ. საკმარისია მელამ წამოახელთოს, რომ ზღარბი მაშინვე ეკლიან ბურთად იქცევა, კუ — ჯავშნად გაქვავდება, ლოკოკინა — ნიუარად ჩამოიხმდება. ბევრ ჩლიქოსანს, მღრღნელს მარდი ფეხები შველის, სხვებს — ამერიკულ სკუნსს, ხოლო ბომბარდირს, რვაფეხას — უკანა ტანიდან გასროლილი ქიმიური ყუმბარა. ხიფათის მოახლოებისას გასროლილი ეს „ღრუბელი“ — შხამიანი, საშინელი სუნის გაზი ან სითხე თვით დათვს და ზღვის აღიარებულ მეკობრეს — ზვიგენსაც კი უკან ახევენებს.

მაგრამ გაცილებით მეტია ისეთი ცხოველები, თავდაცვის, ზემოთ ჩამოთვლილი არც ერთი საშუალება რომ არ გააჩნიათ და მაინც არსებობენ, მაინც მრავლდებიან. საინტერესოა, რა ხერხებს იყენებენ ისინი თავდასაცავად?

ცნობილ ენტომოლოგს ი. მარიკოვსკის ერთ ასეთი მაგალითი მოჰყავს: „...მდინარესთან, ბალახზე თავდავიწყებით ბუქნაობს გრძელფეხა კოლო — ტიპულია. აბა სცადე და დაიჭირე. ის ყოველი მხრიდან გარშემორტყმულია გრძელი ფეხებით.

შენდა უნებურად ერთ-ერთ მათგანს დასწვდები და კოლოს ეჭვივად პინცეტში შეგრჩება მისეი ფეხები. ტრონი კი უკანმოუხედავად მოცოცხავს — გაფრინდება“.

ცხოველთა უნარს თვითნებურად მოიცილონ კიდური, ავტოტომია ეწოდება. ამისათვის მათ აქვთ სპეციალური კუნთები, რომლებიც, როგორც ჩანს, ხელს უწყობენ კიდურის უმტკივნეულოდ მოშორების პროცესს, სპეციალური მემბრანა კი ორგანიზმს სისხლის დენისაგან იცავს.

გაჭირვებისას ერთ-ერთ ანდა ორზე უკანა ფეხს „თმოზენ“ კალიები, კუტკალიები, ქრიჭინები. მაგრამ მარტო მაშინ კი არ აკეთებენ ამას, როცა მათ ფეხს მტაცებელი სწვდება. მოვუსმინოთ კვლავ ი. მარიკოვსკის:

„როდესაც დიდი, წითელი მზენელ-ნელა ჩაეშვება უდაბნოს პორიზონტს მიღმა, ჩამავალი მნათობის სხივებზე აკიაფდება ხოლომე ობობა აგელენას თეთრი ქსელები. ეს ქსელები ფორმით ძალიან წააგავს გრამაფონის მილს. ობობა ქსელს ბუჩქის მახლობლად აბამს, თვითონ იტვირინება მილის სიღრმეში, არც საფრთხე ემუქრება, თან ჩრდილშია. მაგრამ საკმარისია მსხვერპლი ხაფანგში გაებას, რომ ობობა ელვის სისწრაფით ჩნდება ადგილზე. აი, კალია აფრინდა და პირდაპირ ქსელში გაება. ობობამაც არ დააყოვნა, თავს დააცხრა მსხვერპლს და უკანა ფეხში უქებინა. კალიაც არ დაიბნა — მაშინვე მოიშორა ფეხი, ხოლო თვითონ თავი მოიმკვდარუნა. ობობა გაშტერდა. მის შხამიან უბებს ხომ შორს ვერაფერი წაუვა. აქ კი არავინ ინძრევა, არვინ არ იკრუნჩხება... ობობა ბეცია, იგი ვერ არჩევს

მისტერ გრეგმა ჩაქუჩი ძირს დასწია და შემომხედა.

„მე გრეგი აღარა მქვია, — თქვა მან, — ჩემი ფრთოსანი მეგობრების პატივსაცემად გვარი ეგით შევიცვალე“.

„მე კი მისის ეგი ვარ!“ — მითხრა მისის გრეგმა.

„რა მოხდა?“ — ვიკითხე მე, ვიფიქრე, ჭკუიდან ხომ არ შეიშალნენ-მეთქი ყველანი.

ფილიპმა და უილიამმა ყველაფერი მიაშხეს. როცა მოყოლას მორჩინენ, უილიამმა მითხრა: აი, იმ ბუდეს ხომ ხედავ, ხის კენწეროზე? აი, იქ გვეძინა წუხელის!

„ეგ ბუდე მე ავაშენე!“ — თქვა ამაყად მისტერ ეგმა.

„იქნებ არ გჯერა ჩვენი, — მითხრა მისის ეგმა, — მაშ, შედი შინ და საბაზანოში შეიხედე, ყირაზეა ყველაფერი!“

„აბაზანა პირთამდე აუვსიათ წყლით, — თქვა ფილიპმა, — ალბათ მთელი ღამე შიგ ცურაობდნენ. ბუმბულით არის აჭაურობა მოფენილი!“

„იხვებს უყვართ წყალი! — თქვა მისტერ ეგმა. — მოხარული ვარ, რომ ისიამოვნეს!“

სწორედ ამ დროს გზის მიდამოებიდან ბათქი მოისმა.

„ვილაც ისვრის!“ — დავიყვირე მე.

„ეს ალბათ, ჯიმ კუპერია! — თქვა მისტერ ეგმა. — ისა და მისი სამი ვაჟი. ეს კუპერები, მთელი ოჯახი, ნადირობის გიყები არიან!“

უცებ ბრაზმა ამიტანა. მთელი სხეული ამიცახცახდა... მერე თითის წვერში საშინელი ჩხვლეტა ამიტყდა. ვგონობდი, როგორ მიგროვდებოდა ძალა სხეულში...

მოვტრიალდი და რაც ძალი და ღონე მქონდა, მოვქუსლე ტბისკენ.

„ჰეი“, — მომაყვირა მისტერ ეგმა.

— რა მოხდა? სად მიდიხარ?!

„კუპერები უნდა ვნახო!“ — მივაძახე.

„რისთვის?“

„ცოტაც მოითმინეთ და ნახავთ, თუ მათაც ხეზე არ დაიბუღონ ამ ღამით!“

თარგმნა მელა მგალოზლიშვილმა



უმოდროდ საგნებს, ბოლოს იძულებული ხდება პირი დაავლოს მჭლე ნაღავლს — ფენს და თავისი დილეგისაკენ გაემართოს. კალიასაც ეს უნდა. ერთხანს კიდევ უმოდროდ რჩება, შემდეგ შეარხებს უღვაშ-ანტენას, მოიმარჯვებს გადარჩენილ უკანა ფენს და ტყვიასავით გამოვარდება ჯოჯოხეთიდან.

უნდა ითქვას, რომ თავის მომკვდარუნების უნარი ბევრ ცხოველს აქვს და წარმატებითაც იყენებს ამ უნარს თავის გადასარჩენად.

თავდაცვის ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფორმაა მიმიკრია. მიმიკრია არის ორგანიზმის თავდაცვის საშუალება გარემო საგნებთან დამსგავსების მეშვეობით. მიმიკრიის მაგალითები ცხოველთა სრულიად სხვადასხვა ჯგუფში გვხვდება.

უმწეო ცხოველებმა განვითარების მრავალი ათასი წლის მანძილზე ფერების, ნაყუმების და ფორმების გარემოსთან შეხამების ათასგვარი კომბინაცია გამოიმუშავეს.

გამოკვლევების საფუძველზე დადგენილია, რომ ცხოველთა შენიღბვის უნარი ძირითადად სამგვარი ხასიათისაა: მფარველობითი, გამაფრთხილებელი და სასიგნალო. მფარველობითი შენიღბვისას ცხოველი ცდილობს მაქსიმალურად შეეხამოს საცხოვრებელ სუბსტრატს; გამაფრთხილებლისას იგი ემსგავსება სხვა, უმთავრესად მტაცებელ ცხოველებს; და, ბოლოს, სასიგნალო შეფერვას მიმართავენ ერთი სახეობის ინდივიდები საქორწინო ანდა ანტაგონისტურ სიტუაციებში.

ყველაზე გავრცელებულია მფარველობითი შეფერილობა. მიაბიჯებ შემოდგომის ტყეში. მალე ფოთოლცვენა დაიწყება. უცბად, თითქოს ქარმა დაუბერაო, მაქალის ფოთოლი მოსწყდა, ფარფატი დაეშვა მიწაზე, თითქოს კიდევ ჰგავს ფოთოლს და არცა ჰგავს. უკეთ რომ დააკვირდეთ, აღმოაჩენთ, რომ ეს ფოთოლი კი არა, პეპელაა, შემოდგომის მზომელა. მატლის ფაზაში იგი ტოტსა ჰგავს. მწვანე ფერის ჭუჭრი — გაზაფხულის ნორჩ ფოთოლს, ხოლო პეპელა — შემოდგომის ფოთოლს.

ბევრ სხვა პეპელასა და მწერსაც აქვს უნარი დამსგავსოს ხის მერქანს და ამგვარად უჩინარი გახდეს. ამის დიდოსტატებად ითვლებიან ლამის პეპლები, მზომელები, ფარვანები, ფოთოლმხვევეები და სხვები. ყველას, ვისაც კი სოფელთან, ბუნებასთან აქვს საქმე, ეს მოვლენა არაერთხელ უნახავს საკუთარი თვალით.

არის მწერების ერთი ჯგუფი, რომელიც ფორმითა და შეფერილობით ოსტატურად ემსგავსება ხეებისა და ბუჩქების ტოტებს. მათ ჯოხოსნებსაც უწოდებენ. საერთოდ, ჯოხოსნები ტროპიკების ბინადარნი არიან, მაგრამ ბევრი მათგანი ჩვენს ქვეყანაშიც ცხოვრობს. ძნელია მათი გარჩევა მრავალწლიანი ბალახებისა და ბუჩქებისაგან, განსაკუთრებით, ხმელი ღერო-ტოტებისაგან. ზემოთ ნახსენები პეპლის მსგავსად, ისინი სუბსტრატთან მსგავსებას უფრო აძლიერებენ ქართი გამოწვეული რხევის იმიტაციითაც.

მაგრამ ინსტინქტი ბრმა და ზოგჯერ მის პატრონს კურიოზულ მდგომარეობაში ავლდებს. წარმოიდგინეთ, რომ ჯოხოსანმა შეგამჩნიათ. სანამ მწერი უკიდურეს ღონისძიებას მიმართავდეს — თავის საშველად ადგილიდან მოწყდებოდეს, ცდილობს, ტანის რხევით შეგიყვანოთ შეცდომაში. მაგრამ ნიავე არსაიდან უბერავს, მცენარის ღეროც არ ირხევა — უცნაური აგებულების ოჩხო-პოჩხო მწერი კი სასაცილოდ მოძრაობს აქეთ-იქით.

ამაზონზე მოგზაურობისას პოლონელი ნატურალისტი ა. ფილდერი ხვდებოდა პეპლებს, რომელთა ქვედა მხარეზე გამონატული იყო ბუ, ორი გადმოკარკლული თვალით, მახვილი ნისკარტითა და ბუმბულის ზუსტი ნაყუმებით. პეპელა-ბუები მხოლოდ შებინდებისას ფრენდნენ, ე. ი. მაშინ, როდესაც აქტიური ხდებოდნენ ნამდვილი ბუები.

მიმბაძველობის გამო ზოგ მწერს გარეგნობა მთლად შეეცვალა და თავის თავს აღარც კი ჰგავს. ასეთია მტაცებელი ბუზი — მაწუხელა, რომელიც ფუტკარ-მემერქნიებს დამსგავსებას. ასევე, მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ გალაპავოსის კუნძულებზე მცხოვრები სფინქსის ერთ-ერთი სახეობა. ეს მწერი საუცხოოდ ემსგავსება ხის გველს. საინტერესოა,



ჩოქელა — შეხამებისადაც მიმიკრია.

რომ კუნძულების ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც არ ვხვდებით გველებს, სფინქსები ბინადრობენ.


შესანიშნავ ფსიქოლოგიურ ეფექტს ქმნის დიდი შემაშინებელი თვალის უეცარი გამოჩენა. ასეთი ცრუ თვალეები აქვს ბევრ პეპელას, ხოჭოს, ჩოქელას და სხვებს. ზის გარემოსფრად შეფერილი უხადო იმიტატორი, მაგრამ თუ ესეც არ იქნა საკმარისი და მაინც შეაწუხეს, უცბად გამოაჩინოს სხეულის აქამდე დაფარულ ნაწილს და მოაშუქებს საშინელ, მფრთხილებელ თვალს. დიდი თვალი ხომ დიდ ცხოველს ნიშნავს, ხოლო დიდ ცხოველს რომ შეება, იმაზე დიდი უნდა იყო... ეს დიდი თვალი მართლაც შესანიშნავად ასრულებს თავის მოვალეობას...

გარდა გამაფრთხილებელი შეფერილობისა, არსებობს ასეთივე ქცევაში. ვისაც ბავშვობაში ჩოქელასთან ჰქონია საქმე, ადვილად წარმოიდგენს ასეთ სურათს: საკმარისია კალიის მსგავსი ეს მწერი გავლიზიანოთ, რომ გარეგნობა ერთიანად შეეცვალოს. ტანი მალა იწვეს, წინა ფეხები იშლება და „სახუბარ“ პოზას იღებს, ქორის ფრთებივით იშლება მისი წინა და უკანა ფრთები. კალიის ერთფეროვანი მომწვანო სხეულის ცალკეული ნაწილებიც კაშკაშა ფერით იცვლება. ამ უეცარი გარდასახვის გასაძლიერებლად ჩოქელა აქეთ-იქით ქანაობას იწყებს. ამას ერთვის ფრთებითა და ფეხებით ატეხილი ხმაური. ასეთი რთული კომბინირებული წარმოდგენა თავზარდამცემ გავლენას ახდენს მოწინააღმდეგეზე და ისიც ნირწამხდარი ფარხმალს ყრის.

ერთ-ერთი შუააზიური კალია ტანის მოძრაობას შესანიშნავად ამსგავსებს მორიელის „კუდის“ ცნობილ, მრისხანე პოზას. ასევე იქცევა ზოგი ნემსიყლაპია და ხოჭო ღირფია. ეს უკანასკნელი, ამას გარდა, მუცლიდან გამოყოფს ხოლმე ცრუ და, რა თქმა უნდა, სრულიად უცნებელ „ნესტარს“.

რა თქმა უნდა, მიმიკრია მხოლოდ მწერებს არ ახასიათებთ. ოლონდ, მწერებში ამ მოვლენას უფრო ხშირად ვხვდებით. ისინი ხომ ცხოველთა სამყაროში ყველაზე მრავალრიცხოვანი და ამასთან, ყველაზე სუსტები და დაუცველნი არიან.

არნ. გუგუაძე, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.



# ჩემი, მზე და უცნაური კოსმოსი

იმ დღეს, ბათუმში პაპანაძემა სიცხე იდგა. პლიაჟზე უამრავ ხალხს მოეყარა თავი. მათ შორის მოსწავლეებიც იყვნენ, მაგრამ ამჯერად სულაც არ აპირებდნენ ზღვაში ჩასვლას — რაღაცას მოუთმენლად მოელოდნენ და ზღვას გასცქეროდნენ.

გია, თამაზი და ნოდარი სულ ახლოს მისულიყვნენ ნაპირთან. ტალღების შხეფები ზოგჯერ ფეხსაცმელებსაც კი უსველებდა ბიჭებს, მაგრამ ამას ყურადღებას არ აქცევდნენ.

მაღალი, თმაშევერცხლილი ინჟინერი კირტაძე, კოლეგებთან საუბრობდა. ზოგჯერ გვერდით მდგომ ბიჭებს გადახედავდა, სიამოვნებდა, რომ დაინტერესებულებოდნენ ამბით, რომელიც ასე სწრაფად მოედო ქალაქს.

— ასე იწყება ყოველი ტექნიკური სიახლე, — ბიჭების გასაგონად ხმამაღლა ლაპარაკობდა კირტაძე, — განა ერთ დროს განსაცვიფრებელი არ იყო პირველი ტელეფონი! თურმე, როცა გრეჰამ ბელამ 1876 წელს ტელეფონი გამოიგონა, მასთან ერთმა საკმაოდ განათლებულმა ამერიკელმა ლაბორატორიაში ორი იაპონელი ბავშვი მიიყვანა. ბელამ ჰკითხა, რატომ მოიყვანე იაპონელი ბიჭებიო. და სტუმარმა პირდაპირ უთხრა გამომგონებელს: მინდა გამოვარკვიო, გადასცემს თუ არა ტელეფონი იაპონურ ლაპარაკსო.

გიამ ხმამაღლა გაიციხა.  
— რას იცინი? — ჰკითხა კირტაძემ — არ გჯერა, ბიჭიკო?

— როგორ არა, — დაიმორცხვა გიამ და მეგობრებს გადახედა.

მაშინ თამაზმა თქვა:  
— მართალი იცითხრათ, მეც თითქოს არა მჯერა, ფოთიდან ჩვენს სანაპირომდე ისე მოვიდეს კატერი, რომ ერთი კილოგრამი საწვავიც კი არ დაეხარჯოს.

კირტაძემ მხარზე დაადო ხელი თამაზს.  
— შენი სახელი?

— თამაზი.  
— ჰო, ჩემო თამაზ, დღეს ეს მართლაც დაუჯერებელია, მაგრამ 10-15 წლის შემდეგ შეიძლება ჩვეულებრივი ამბავი გახდეს...

მოდით, ახლა ნუ განვაგრძობთ, თუ რა მოხდა იმ დღეს ბათუმის სანაპიროზე. და ჯერ იმას გიამბობთ, თუ

როგორ გამოიყენეს ახლახან ინჟინრებმა და კონსტრუქტორებმა მზე.

ამას წინათ ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ლოს-ანჯელოსის ქუჩებში გამოჩნდა ერთი თითქოს ჩვეულებრივი ავტომობილი, გარეგნულად იგი თითქმის არაფრით არ განსხვავდებოდა ათასობით ავტომანქანისაგან. ეს იყო კომფორტაბელური ავტომობილი და მას ფილოსოფიის პროფესორი მური მართავდა. მაგრამ მაინც, თუ კარგად დააკვირდებოდნენ, უსათუოდ შენიშნავდნენ მანქანის სახურავზე დამონტაჟებულ მზის პანელებს. იცით, რა დანიშნულება ჰქონდათ მათ?

პანელებზე მოხვედრილი მზის ენერგია უშუალოდ გარდაიქმნებოდა ელექტროენერგიად. სწორედ ამ გარდაქმნის შედეგად მიღებული ელექტროენერგიით დასერილობდა ლოს-ანჯელოსის ქუჩებში პროფესორი მური თავისი ოჯახის წევრებთან ერთად.

ცხადია, ახლა ეურნალისტები პროფესორს აღარ ასვენებენ:

— საკმარისია თუ არა მზის სხივების ძალა, რომ ავტომობილმა მუდმივად იმოძრაოს მზიან დღეს?

— რასაკვირველია.

— დაეუშვათ, შორეულ ქალაქში გაემგზავრეთ, მზე კი ღრუბლებშია მიმაღული, მაშინ როგორღა იმუშავებს თქვენი მანქანის მამოძრავებელი ელექტროძრავა?

— მანქანაში სათადარიგო, ჩვეულებრივი ბენზინის ძრავა მაქვს დადგმული.

— ვითომ პერსპექტიულია ასეთი მზის ავტომობილი?

— უსათუოდ. მომავალში, როცა უფრო მეტი მარჯი ქმედების კოეფიციენტის მქონე მზის პანელები შეიქმნება და აკუმულატორების ტევადობა გაიზრდება, ზომა კი შემცირდება, მაშინ მზის ენერგიით მოძრავი ავტომობილები ძალზე მოხერხებული და ხელსაყრელი იქნება.

ასეა თუ ისე, როგორც ვთქვით, პროფესორი ყოველდღე დასერილობს მზის სხივების დახმარებით ლოს-ანჯელოსის ქუჩებში. და ეს იმისი ნათელი მაგალითია, თუ როგორ შეიძლება მზის სხივების ენერგია უშუალოდ ელექტროენერგიად გარდაიქმნას.

ამ საინტერესო პრობლემაზე დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მუშაობენ მეცნიერები, ინჟინრები, გამომგონებლები და კონსტრუქტორები.

ბა, გავისენოთ: ათობით წელია, რაც ტექნიკის სხვადასხვა დარგში ვხვდებით ეგრეთ წოდებული სელენის ფოტოელემენტებს. ფოტოელემენტებია თუნდაც თქვენთვის ასე კარგად ნაცნობ ფოტოექსპონომეტრებში და ავტომატური დაზვების ნაწილებში.

შეიძლება იცით კიდევ, რომ ფოტოელემენტი ძალიან მარტივად არის მოწყობილი — ლითონის ფირფიტა დაფარულია თხელი, 0,1 მილიმეტრი სისქის კრისტალური სელენის ფენით. სელენის ზევიდან კი ოქროს ძალზე თხელი ფენაა. და აი, როცა სინათლის სხივი მოხვდება ასეთ სამაგნიან „ბუტერბროდზე“ და გამჭარზე, რომელიც ოქროს ფენას ლითონის ფირფიტასთან აერთებს, წარმოიქმნება ელექტროდენი. დიას, დიას, სხივური ენერგია ელექტროენერგიად გარდაიქმნება. მაგრამ ასეთი გარდაქმნის მარტივ ქმედების კოეფიციენტი ძალზე მცირეა — მხოლოდ 0,1 პროცენტი. მთელი რიგი ცდები კოეფიციენტის გაზრდის მიზნით, უშედეგოდ მთავრდება.

მარტივ ქმედების გაცილებით დიდი კოეფიციენტი აქვს კრემინის ფოტოელემენტებს. უკვე დღეს ასეთი ფოტოელემენტები საშუალებას იძლევა მათზე მოხვედრილი სხივების 16 პროცენტს ელექტროენერგიად გარდაიქმნას. ეს არცთუ ისე ცოტაა და საკმარისია იმისათვის, რომ ასეთი ბატარეები გამოყენებული იქნას ენერგეტიკული მიზნებისათვის.

დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრზე დადგმული ურთულესი აპარატურის და კავშირგაბმულობის მოწყობილობათა მუშაობისათვის აუცილებელია საიმედო და საკმარისი სიმძლავრის დენის წყაროები. რასაკვირველია, ინჟინრებმა და კონსტრუქტორებმა ამ მიზნით პირველად გადაწყვიტეს აკუმულატორების გამოყენება, მაგრამ განგარიშებით გაირკვა, რომ ისინი დიდხანს ვერ გაძლებდნენ კოსმოსში, მალე განიმუხტებოდნენ. აი, რომ შეიძლებოდა მათი პერიოდული დამუხტვა! და სპეციალისტებმა იმედის თვალით შეხედეს მზის სხივებს. მართლაც, ხომ შეიძლება მზის სხივების ენერგია ელექტროდენად გარდაიქმნას? მაშინ შესაძლებელი იქნებოდა აკუმულატორის პერიოდული დამუხტვა.

სწორედ ასე ხდება დღეს საბჭოთა დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებზე, კერძოდ, დედამიწის მეკავშირე თანამგზავრებზე, რომლებიც ჩვენი პლანეტის ერთი კუთხიდან მიღებულ ტელევიზიულ სიგნალებს აძლიერებენ და სხვა შორეულ მხარეს მამართავენ.

მზის სხივების ენერგიის უშუალოდ ელექტროენერგიად გარდაქმნელად თანამგზავრებზე დაიწყეს მინის ელემენტებისაგან შემდგარი, ფოტოელექტრული გენერატორების გამოყენება. გარდა იმისა, რომ ასეთი გენერატორების მარტივ ქმედებას კოეფიციენტი 22 პროცენტს აღწევს, კრემინის მზის ელემენტების დიდი უპირატესობაა ის, რომ მათ დიდხანს შეუძლიათ მუშაობა, რაც აუცილებელია დედამიწის ხელოვნური თანამგზავრისათვის.

კრემინის ელემენტი ქიმიურად სუფთა კრემინისაგან დამზადებული ფირფიტაა, რომელსაც ზუსტად განსაზღვრული რაოდენობით დამატებული აქვს სხვა ნივთიერებათა მინარევები. ფირფიტის ზედაპირი დაფარულია ბოროს თხელი ფენით. ასეთი სახის ელემენტების 1 კვადრატულ სანტიმეტრზე მოხვედრილი მზის სხივები 0,5 ვოლტი ძაბვის მქონე 24 მიკროამპერდენს იძლევიან.

სათანადო ძაბვის მისაღებად კრემინის ელემენტების გარე მხარეები ერთ სიბრტყეში განლაგდებიან. საინტერესოა, რომ ეს „მზის ბატარეები“ მაქსიმალურ სიმძლავრეს მაშინ აღწევენ, როცა მზის სხივები ბატარეას პერპენდიკულარულად ხვდება.

თუ მზის სხივების მაქსიმალური ენერგია დედამიწის 1 კვადრატულ მეტრზე 1000 ვატს აღწევს. დედამიწის

ატმოსფეროს გარეთ ეს სიმძლავრე 1 კვადრატულ მეტრზე 1400 ვატს უდრის. ეს დიდი უპირატესობაა კოსმოსურ ობიექტებზე მზის სხივების ელექტროენერგიად გარდაქმნისათვის.

მაგრამ მეცნიერებსა და ინჟინრებს იმედი არ დაუკარგავთ, რომ ენერგიის ასეთი გარდაქმნა დედამიწაზეც იქნებოდა შესაძლებელი. ჩვენი პლანეტის მიერ მიღებული მზის ენერგიის ნაკადი ხომ მილიონჯერ მეტია იმ ელექტროენერგიაზე, რასაც დედამიწაზე გამოიმუშავენ, და თუკი მთლიანად იქნება გამოყენებული მზის სხივები, რომლებიც 10 ათას კვადრატულ კილომეტრ ფართობზე ეცემა, მიღებული ენერგია საკმარისი იქნებოდა მთელი კაცობრიობისათვის.

ამიტომ ბევრ ქვეყანაში დიდი სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოები ტარდება ამ მიმართულებით.

იაპონიის კუნძულებზე ახლა მოწყობილია ალბათ, ყველაზე მეტი მზის ფოტოელექტრული გენერატორები, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანაში. დამუშავებულია პროგრამა „სანშაინ“, რომლის განხორციელება უახლოეს წლებში მკვეთრად გაზრდის მზის ბატარეების მიერ გამოიმუშავებულ ელექტროენერგიას. იაპონიისათვის ამ პროგრამის განხორციელებას აღარებენ 60-იანი წლების ამერიკულ პროგრამა „აპოლონს“ ადამიანის მთვარეზე გადასვლის განსახორციელებლად.

პროექტ „სანშაინის“ მიხედვით, სამუშაოები 2000 წლამდე უნდა გაგრძელდეს და მათი ღირებულება დაახლოებით 7 მილიარდ დოლარს შეადგენს. პროგრამის



განხორციელების პირველ პერიოდში დაიწყება ელექტროენერჯიულ მზის სხივების გარდაქმნის, შედარებით მცირე სიმძლავრის მოწყობილობების შექმნა. 1991 წლისთვის პროგრამა ითვალისწინებს უკვე მძლავრი მზის ელექტროსადგურების აგებას, ხოლო 2000 წლისათვის საკმაოდ დიდი სიმძლავრის ელექტროსადგურების ექსპლოატაციაში გაშვებას.

პროექტის სახელწოდება „სანაირი“ („მზის შუქი“) ალბათ, იმას გულისხმობს, რომ „სუფთა ენერჯია“ თავიდან ააცილოს იაპონელებს ქუჩებში და მოედნებზე წარმოქმნილი კვამლის ნისლები. ზოგიერთებს მიაჩნიათ, რომ ამ პროგრამის განხორციელებაზე დიდად არის დამოკიდებული იაპონიის მომავალი, რადგან ნავთობის იმპორტის შემცირების შემთხვევაში აქ შეიძლება წარმოიქმნას ძალზე რთული ენერგეტიკული კრიზისი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ იაპონიაში ახლა საკმაოდ ბევრი შუქნიშანი სწორედ მზის სხივების ენერჯიულ მიღებულ ელექტროენერჯიით იკვებება, ხოლო მზის ბატარეების მარგი ქმედების კოეფიციენტი 10 პროცენტს აღწევს. ფიქრობენ კოეფიციენტის სიდიდის 20-22 პროცენტამდე აყვანას. ენერგეტიკულმა კრიზისმა დააჩქარა სათანადო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარება ამერიკაშიც. როგორც აქაური სპეციალისტები ფიქრობენ, 1985 წლისათვის ზოგიერთ დასახლებულ პუნქტში მზის ბატარეების გამოყენებით შესაძლებელი გახდება ბინების და რთული საყოფაცხოვრებო ტექნიკის ელექტროდენით კვება. რადიომიმღებები, ტელევიზორები, ელექტროუთოები, მაცივრები, მტვერსასრუტები მზიან ამინდში მზის სხივების ენერჯიით იმუშავებენ, რაც განათების ჩვეულებრივ ქსელს საკმაოდ განტვირთავს.

ჩვენში მზის გენერატორებმა გამოყენება კპოვეს აფშრონის ნახევარკუნძულზე მაგისტრალური გაზსადენების კათოდური დაცვის დროს. რას წარმოადგენს კათოდური დაცვა?

როგორც ცნობილია, აგრესიული ხასიათის ნიადაგის პირობებში, მიწაში ჩადებული გაზსადენის მილები კოროზიას განიცდიან — იშლებიან. სწორედ ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად იყენებენ კათოდურ სადგურებს.

მათი მოქმედების პრინციპი ის არის, რომ ისინი უარყოფით პოტენციალს აწვდიან გაზსადენებს, რომელთა დედატა მონტაჟზე კოროზიული პროცესები წარმოადგენს. თოდურ სადგურებს მუდმივი ელექტროენერჯია ესაჭიროებათ. სწორედ ამ ენერჯიას იმუშავებენ აღნიშნული მზის ბატარეები.

...ბათუმის სანაპიროზე თავმოყრილი მოსწავლეები სულ უფრო ღელავდნენ. ვია, თამაზი და ნოდარი სულ უფრო ხშირად დახედავდნენ ხოლმე მზის სხივებით მომუშავე საათს. ზუსტად 12 საათზე ფოთიდან ბათუმში მომავალი კატერი უნდა გამოჩენილიყო.

ინჟინერი კირტაძე, რომელსაც კატერზე დადგმული ზოგიერთი საზომი ხელსაწყო ჩვენება უნდა შეემოწმებინა და სახელმწიფო კომისიისათვის წარედგინა, ხალისიანად ესაუბრებოდა ბიჭებს.

— რას იტყვით, ბიჭებო, რომ კატერზე აგვიყვანოთ და მისი მოწყობილობა დაგათვალიერებინოთ?

ბიჭებს თვალები გაუბრწყინდათ.  
— შესანიშნავი იქნება! — წამოიძახა ნოდარმა და დაუმატა: — ყველაზე საინტერესოა მზის პანელების ნახვა.

— მართალი ხარ. სწორედ ეს პანელებია, მზის სხივებს რომ ელექტროენერჯიად გარდაქმნის, დენს კი მოძრაობაში მოჰყავს ელექტროძრავა. აი, ასეთი გაზლავთ მზის კატერის მუშაობის პრინციპი. აბა, გახედეთ ჰორიზონტს.

ინჟინერმა ბიჭებს ღურბინდი გადასცა. ზღვას ჯერ გაიშინა, მერე ნოდარმა, შემდეგ თამაზმა.

და უცებ თამაზმა წამოიყვირა:  
— ვხედავ! ვხედავ! მზის კატერი მოდის!

ჩვენ წინ გავუსწართ მოვლენებს. ფოთიდან ბათუმისკენ ჯერ არ გასულა მზის სხივებით მოძრავი კატერი, მაგრამ გჯეროდეთ, რომ ეს არც თუ შორეული ამბავია. და ვინ იცის, იქნებ იმ ინჟინერთა და კონსტრუქტორთა შორის, რომლებიც ასეთ კატერებს შექმნიან და დაამზადებენ, თქვენც იყოთ, ჩვენო პატარა მკითხველებო.

ბ. პარბელაშვილი,

საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორი.



აქლემს ცურვა არ მხარხმბა

აქლემი იმ მცირერიცხოვან ცხოველებს განეკუთვნება, რომლებსაც ცურვა არ ეხერხებათ. საქმარისია მან წყლის ფსკერს ფეხები ვერ მიუწვდინოს, რომ მყისვე ჩაძირვას იწყებს. ამ „უდაბნოს ხომალდს“ ვერაზგზით ვერ აიძულებ თუნდაც ორიოდ მეტრი გაცუროს.

სამთავრო ბაღის ოსტატი

სოლომონის კუნძულებზე მობინადრე ობობები ადგილობრივ მცხოვრებლებს ამარაგებენ... სათევზაო ბაღეებით.

როგორ, რაწაიარაღო, — ალბათ იკითხავთ. აი, როგორ: ადგილობრივი მკვიდრნი ობობის საცხოვრებლის მახლობლად რაიმე საგანზე ამარაგებენ მოღუნულ წნულს. გამზადებულ საყრდნობს რომ დაიგულდებს, ობობა მყისვე მუშაობას შეუდგება და რამდენიმე ხნის შემდეგ ბაღე უკვე მზადაა. ამტკიცებენ, რომ ეს ბაღე გამძლეობით არ ჩამოუვარდება კაპრონიისაგან ნაქსოვ ბაღეს.

როგორი თმა ბაქსვ?

რამდენიმე ღერი თმის ანალიზი მედიკოსებს ბევრ რამეს ეუბნება: ჩანართელი ხარ თუ არა, კარგად თუ იკვებები, ნორმალურად თუ იზრდები და... როგორ სწავლობ! ასეთ

დასკვამდე მივიდა მიჩიგანის (აშშ) უნივერსიტეტის პროფესორი ა. გორდუსი. მან ცდების საფუძველზე დაადგინა, რომ წარჩინებული მოსწავლეების თმა მეტი რაოდენობით შეიცავს თუთიასა და სპილენძს, ხოლო ნაკლებად იოდს, ვიდრე ჩამორჩენილ მოსწავლეთა თმა. ამ საინტერესო მოვლენის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.

კომბანინი... ჯიბეში

ჩვენ უკვე მივეჩვიეთ, იმას, რომ მაჯის საათში მოთავსებულია მადვიძარა, რომ საათი არა მარტო ზუსტ დროს აჩვენებს, არამედ თვის რიცხვსა და კვირის დღესაც... უფრო შორს წავიდნენ იაპონელი კონსტრუქტორები: მათ მიერ დამზადებულ პაწია ხელსაწყოში, რომელიც სულ 100 გრამს იწონის, მოთავსებულია მრავალდიამეტრული რადიომიმღები. რამდენიმე წლის შემდეგ კი, ალბათ, ჯიბის კომბანიცი გამოჩნ-



**უხეი**  
**ლიტერატურა**

**ინო**  
**ბეზარაშვილი**  
**ვოთლები**

...პატარა მანანა გიტარაზე დაკვრას სწავლობს. მოხუც ბებუას თავისი გაუხარელი ბავშვობა მოაგონდება, შვილი-შვილს გიტარას გამოართმევს და დაამღერებს ნაღვლიან სიმღერას შემოდგომის დამკუნარ ფოთლებზე.

თქვენ აღბათ, გეცნურათ ეს პატარა ამბავი. იქნებ გაგახსენდათ კიდეც, რომ იგი „პიონერის“ შარშანდელ, თებერვლის ნომერში დაიბეჭდა. სათაურად მას „ფოთლები“ ჰქვია, ავტორი კი თქვენთვის კარგად ცნობილი მწერალი ნინო ბეზარაშვილი გახლავთ, რომელმაც შარშან მოთხრობისთვის „წერილი“ ჩვენი უურნალოს კონკურსში პრემია დამსახურა (ეს მოთხრობა „პიონერის“ გასული წლის მეთექვსმეტე ნომერში დაიბეჭდა). მწერლის ახალ წიგნში, რომელსაც „ფოთლები“ ჰქვია, გარდა ნაცნობი მოთხრობებისა („საბძელი“, „რა მალე გავიდა ზაფხული“, „ბოლო გაჩერება...“), ახალ ნაწარმო-

ებებსაც წაიკითხავთ და უთუოდ მოიხიბლებით ავტორის მდიდარი ენით, მოქმედ პირთა მკაფიოდ გამოკვეთილი სახეებით, მწერლის გულიდან




მის პერსონაჟებში გაღანერგული სიტბოთი, სიკეთითა და ჭუმანისმით.

**დავით**  
**ხუროძე**  
**ბაძიები**

გასულ წელს პატარებისათვის ბევრი კარგი წიგნი გამოვიდა. ერთ-ერთი მათგანია დავით ხუროძის „ბაძიები“. ამ პატარა კრებულში თქვენ გაიცნობთ გულყვითელა წიწილას, რომელმაც ცბიერებით განთქმული მელაც კი მოატყუა; გაუმადლარ ბეჭემოსს, ხანის უთი რომ გადაუჟღაპავს; თოვლის პაპას, რომელიც მთელი დამე სახლს დარაჯობდა, დილით კი „აღვა“ და გაეპარა ბავშვებს; გულკეთილ შირაფს, გაგანია სიცხე-

ში მოწყურებულ ბავშვებს ჭიდან წყალი რომ ამოუღო და შეასვა; პაწია გოგონა ლალას, რომელიც, მართალია, სკოლაში არ მიიღეს, მაგრამ დროს არ კარგავს, გაკვეთილებს უმცროს დაიკოსთან ერთად აშადებს და რვეულში თვითონვე იწერს ხუთიანებს... ერთი სიტყვით, ბევრ საინტერესო ლექსს წაიკითხავთ და ხშირად სიამოვნებითაც გაგეღიმებათ. აი, სამაგალითოდ ერთ პატარა ლექსს შემოგთავაზებთ: „ტელევიზორის ცქერაში იყვნენ კნუტები გართული, უცებ გამოჩნდა წრუწუნა, ჩამოუარა „ქართული“, აბტენ,



თავი და თათები ბევრი ახალეს მინაზე. თავგები ისევ ცეკვავდნენ ციციუნების ჭინაზე“.

**ლილია**  
**ერაძე**  
**ბაბიბუკით**  
**მოვლივარ**

ჩვენს საყმაწვილო უფრნალ-გაზეთებში ხშირად იბეჭ-

დება ლილია ერაძის ლექსები. პოეტი კარგად იცნობს მოზარდის ბუნებას, მის საფიქრალსა და საზრუნავს.

შარშან გამოვიდა პოეტის ახალი წიგნი „ბაბიბუკით მოვლივარ“. კრებულში შეტანილი ლექსები პატარებია, თითო-ორთა სტროფიანი, იშვიათად — ცოტა უფრო მოზრდილი, მაგრამ ყოველ მათგანში რამე ამბავია მოყოლილი. აი, თუნდაც „გულადი მურია“ ავიღოთ: ვიას მურიკელამ ზაზას გოჭი დაჭაბნა, ხულ ჭყვიტონ-ჭყვიტინით მოარბენინა ეხო-გარემო, მაგრამ დედა ღორმა ერთი მრისხანედ რომ დაუღრუტუნა, მოკისკისე ბავშვებმა ვერა კი დალანდეს, „გულადი“ მურია ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ.

უთუოდ მოგეწონებათ „ნია გრუზინსკაია“, „ჭია-ჭია-მარია“, „ბუხართან“, „სარჩო“, „რა მირჩვენია“, „ძილისგულა“ და სხვები. ეს ლექსები სიამო-



ვნებასაც მოგანიჭებენ და სარგებლობასაც მოგიტანენ.

დება, რომელშიაც მაგნიტოფონი, მინი-კომპიუტერი და ტელევიზორი იქნება ჩადგმული.



სასაღილო უარუბატბინსატვის

დასავლეთ გერმანიის ჩრდილოეთ რაიონებში ქაობების ამოშრობამ უარუბატბი მე-

ტად მძიმე მდგომარეობაში ჩაავლო: მათი ძირითადი საკვები — ბაყაყი სრულიად გადაშენდა. უარუბატბი კი, ზოგი ხალხის რწმენით, ბედნიერება მოაქვს იმ სახლისათვის, რომლის სახურავზეც იგი დაიბუღებს. ჰოდა, ფერმერებმა გადაწყვიტეს ამ გრძელფეხა ფრინველისათვის გააკეთონ გუბურები, წყალსაცავები და მათში თევზი მოაშენონ.


ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებლებმა კი აი, რა მოიმოქმედეს: ფული შეაგროვეს და დიდი მაცივარი იყიდეს, სადაც ინახავენ საერთო ფულით ნაყიდ თევზებს იმ შემთხვევისათვის, თუ არსებული წყალსაცავები დაშრება, როგორც ეს 1978 წელს მოხდა, რომ იმ თევზებით გამოკვებონ ფრთოსანი მეზობლები. იმ წელს უარუბატბის ისე დაერია შიმშილი, რომ ბუდიდან აგდებდნენ თავიანთ ბარტყებს. რათა საკუთარი თავი გადაერჩინათ. სოფლებში იძულებული გახდნენ ახლადგაყინული თევზი ეყი-

დათ. ყოველ დილით თევზებიანი გეჭის წინ ათობით უარუბატბი დგებოდა რიგში. ამით უველა მოზრდილი ფრინველი გადარჩა და მომდევნო წელს მშობლიურ ადგილებს დაუბრუნდა.

**შვილილობაში „წაღები“**

ქველთაგანვე არსებობს ცრურწმენა — გზაზე ნაპოვნ ცხენის ნალს ბედნიერება მოაქვსო. მაგრამ, შესაძლოა, მალე დადგეს დრო, როცა ნალებს საერთოდ არ დაამზადებენ. ამერიკელი გამომგონებელი გ. გლასი ირწმუნება, რომ გაცილებით მიზანშეწონილია ცხენს მაგარი პლასტმასის „წაღები“ ჩავაცვათ, ვიდრე ლითონის ნალებით დავეჭვლოთ. ასეთი „წაღები“ უფრო მსუბუქია და თანაც ცხენისათვის მათ ჩაცმასა და გახდას სულ რამდენიმე წამი სჭირდება.


# საქონელი



# უკომოძოლო

განყოფილებას ხელმძღვანელობს თბილისის ავტონსპექციის პროპაგანდის ქვეგანყოფილების ინსპექტორი პ. კანღელაძე.

## ქუჩის სამოძრაო ნაწილის მინიშნებათა დანიშნულება



მონიშვნას მიეკუთვნება ხაზები, წარწერები და სხვა აღნიშვნები სავალ ნაწილზე, გზებისა და საგზაო ნაგებობათა სხვა ელემენტებზე, რომლებიც აწესებენ გზებზე მოძრაობას, აღნიშნავენ საგზაო ნაგებობათა გაბარიტებს ან უჩვენებენ გზის მიმართულებას.

საგზაო მონიშვნები მძღოლს და ქვეითად მოსიარულეს ეხმარება ორიენტირებაში, რაც საბოლოოდ მოძრაობის უსაფრთხოებას უწყობს ხელს.

## ხაზები ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელზე

ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელი აღნიშნება ფართო, თეთრი ხაზებით, მას

„ზებრა“ ტიპის გადასასვლელი ეწოდება. ამ ტიპის გადასასვლელს ხშირად ქვეითად მოსიარულეთა მიმართულების მაჩვენებელ ისრებსაც უმატებენ. ის ქვეითად მოსიარულეს მიანიშნებს, თუ რომელ მხარეს უნდა იაროს. ამით ქვეითად მოსიარულეებსაც გაუადვილებათ ქუჩაზე გადასვლა და ტრანსპორტიც აღარ დაბრკოლდება.

საკირისპირ მომართულადაც მოძრაობს სატრანსპორტო საშუალებათა ნააადის განმაცალკეველი ხაზები

ასეთი ხაზი, ქუჩის ღერძულა, შუა ნაწილშია ხოლმე გავლებული. როცა ღერძულა ხაზი წყვეტილია, მაშინ მძღოლებს გასწრების მიზნით შეუძლიათ მისი გადაკვეთა. ხოლო თუ უწყვეტია, მისი გადაკვეთა აკრძალულია.

ქვეითად მოსიარულეს უნდა ახსოვდეს, რომ ქუჩის გადაკვეთისას ჭერ მარცხნივ უნდა გაიხედოს, დარწმუნდეს გადასვლის უსაფრთხოებაში და შემდეგ განაგრძოს მოძრაობა.

## საკითხავანი

ჯანგულაშვილი თ. — თებერვლის შუქი (ლექსი) . . . . . გარეკ. 2	ბაღბანიძე ს. — ორი უსათაურო; მამის შეგონება (ლექსები) 18
ზარაზიშვილი ნ. — თაობათა ცვლის კანონი (ნარკვევი) . . . . . 1	საბაშვილი შ. — მარტონი ვართ მთელ სამყაროში? (წერილი) 19
პრიგოლაშვილი დ. — უცნაური სტუმარი (მოთხრობა. გაგრძელება) . . . . . 3	დალი რ. — ჯადოსნური თითი (თანამედროვე ზღაპარი) . . . . . 22
ვილახვილი ძ. — თეატრი და ბავშვები (წერილი) . . . . . 10	„ბუნების კარი“. გაბეჰპორი არნ. — შენიღბვა ანუ მიმიკრია (წერილი) . . . . . 26
ნორჯიანი ი. — თეატრი და ბავშვები (წერილი) . . . . . 10	კარბელაშვილი ა. — ზღვა, მზე და უცნაური კატერი (წერილი) 28
მუსიკალური ნოტი — „25 თებერვალი“ (ტექსტი — მ. ლეზანიძის, მუსიკა ზ. ნინოშვილისა) . . . . . 14	ჯადოსნური სარკე . . . . . 30
სამსხარაული ს. — დედა მწყერი (მოთხრობა) . . . . . 15	ახალი წიგნები . . . . . 31
პოვნათანი ჰ. — ტყის მცენარე; გაზაფხული (ლექსები) . . . . . 18	ფრთხილად, ავტომობილი! . . . . . 32
	ცხრაკლიტული . . . . . გარეკ. 3

გარეკანის პირველ გვერდზე — „თბილისობა“. მხატვარი ელშარდ ამბოკაძე.



საქ. კვ. ცვ-ის გამომცემლობა

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 93-97-05 93-31-81 პ. მგ. მდივნის 93-97-08 93-53-05 განყოფილებების — 93-97-02 93-97-01

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია



სარედაქციო კოლეგია: ნუბუარ აფხაზაშვილი, ზურაბ ბოცვაძე, ავთანდილ გურბენიძე, დოდო ვადაჭკორია, ბიორჯი ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ბიორჯი ქლიბაძე, რობერტ ლარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრინიანი (პ. მგ. მდივანი), ლიანა შენდრული, ზურაბ წვერიკაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე.

საქ. კვ. ცვ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14 «ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14. გადაეცემა ისაწყობად 24 XII-79 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/II-80 წ. ქალაქის ფორმატი 60X90/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. საბეჭდო-საგამომცემლო თანხა 5,35 ლ. შევ. № 3124 ტბრ. 149.800. უფ. 08336.

ფასი 20 კაპიკო

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.



ბა. ღერძულა ხაზთან მიახლოებისას მარჯვენა უნდა გაიხედოს, გაატაროს ტრანსპორტი და შემდეგ გადაკვეთოს ქუჩა.

ერთი მიმართულებით მოძრაობი ტრანსპორტის ნაკადის გამომყოფი ხაზები ასეთი ხაზები მძღოლებს მიანიშნებს, თუ ერთი მიმართულებით რამდენ რიგად შეუძლიათ მოძრაობა.

ერთი ან ორი ასეთი ხაზი ნიშნავს, რომ მანქანები ორ ან სამ რიგად მოძრაობენ.

**ხაზი, რომელიც მიანიშნავს, რომ ვალდისკადას ბილინიკი აქვეთს ქუჩის საპალ ნაწილს**

ქუჩის გადაკვეთის ადგილზე გავლებულია ორი პარალელური მსხვილი კვადრატული ფორმის წვეტილი ხაზი.

გზებზე მოძრაობის დროს ველოსიპედის მართვა ნებადართულია არანაკლებ 14 წლის ასაკის პირთათვის.

ველოსიპედისტი ქუჩის გადაკვეთისას უნ-

და დარწმუნდეს, რომ მას ტრანსპორტი არ უახლოვდება, და მხოლოდ შემდეგ განაგრძოს მოძრაობა.



**„სღმქ“ ხაზი**

ასეთი ხაზი, ჩვეულებრივ, გზაჯვარედინთან, ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელი ხაზების წინ არის გავლებული.

მძღოლები ვალდებული არიან, ამ ხაზთან შეაჩერონ მანქანა და ელოდონ, სანამ შუქნიშანი ან ტრანსპორტის მოძრაობის მარგულირებელი არ გახსნის გზას სამოძრაოდ.

**ჩასახსლოვი მოედნები**

ჩასახსლოვი მოედნები საგანგებოდ გამოყოფილი ადგილია, სადაც მგზავრი ტრანსპორტს ელოდება. ასეთი ადგილები თეთრი, სქელი ხაზით არის გარშემოვლებული და გამოყოფილი ქუჩის სამოძრაო ნაწილიდან. მძღოლს ეკრძალება ამ ხაზის გადაკვეთა.



**ქ რ მ ს ვ მ რ დ ი**

**თარგუმალა:** 1. მოქმედების გამომხატველი სიტყვა; 2. სპორტულ შეჯიბრში გამარჯვებისათვის ერთ-ერთი ჭილდო; 3. ბრინჯაოს ძველი სახელწოდება; 4. საკონდიტრო ნაწარმი; 5. ბოლქვიანი ბოსტნეული მცენარე; 6. ბულგარეთის საპარაფუშერიო-კოსმეტი-

კური ფირმა; 7. ფალიაშვილის ოპერის პერსონაჟი; 8. ფეხბურთის კარის ხარისხი; 9. მარცვლეულთა ოჯახის მცენარე; 10. ციმბირის ქალაქი და მდინარე; 11. ავტომანქანის ნაწილი; 12. საქარისო შენაერთი; 13. ძველი ბერძენების სიმბოლო; 14. მწერი; 15. მდინარე ინგლისში; 16. ბამბის ქსოვი-

ლი; 17. ესტონეთის ქალაქი; 18. პურეული ძნის კევრით სალენი ადგილი; 19. მსოფლმხედველობის ძირითადი პრინციპი.

**შპეუალა:** 2. მზის სისტემის პლანეტა; 3. ერთბიანი ვოკალური ნაწარმოები; 4. ნახატი კედელზე ან ქერზე; 5. წმინდამარცვლოვანი დანალექი ქანი; 6. მოქნილი ჭობი; 7. ვულკანი კუნძულ სიცილიაზე; 8. თხში ამოღებული, შიგნიდან მოკუპარული ცხვრის, თხის ან ხბოს ტუპის ქურქული; 9. შენიშვნა, მინაწერი; 10. რუსი კომპოზიტორი; 11. ამერიკული მულტფილმი; 12. იაპონიის ქალაქი; 13. ალ. უაზბეგის ნაწარმოების პერსონაჟი; 14. ერთ-ერთი ფერი; 15. ერთგვარი სათამაშო, რომელიც შედგება ციფრებიანი მუყაოს ბარათებისა და კოჭებისაგან; 16. ავანსცენის გასწვრივ მდებარე გრძელი, დაბალი ბარიერი; 17. საბჭოთა მწვერავი; 18. გაღვიებული გამხმარი და დაღვრილი ქერი, სიმინდი, ხორბალი; 19. ეკ. გაბაშვილის ნაწარმოების პერსონაჟი; 20. შექსპირის ნაწარმოების პერსონაჟი; 21. ფრანგი დრამატურგი.



**ბამოცანები**

ხევი დიდი ფურცელი წყაროს ჩქერებს უცქერის. ჩვენ იმ ფურცლით დავლით წყაროს წყალი ანკარა: თქვი, რომელი მცენარეა, მართო ფიქრი არ ემარა!

ის უნულის ლოლუას ჭავს, მაგრამ არა დნება, ჩურჩხელას ჭავს, არ იჭმება, სხივს ჭავს, — არა ჭკრება, გამოქვაბულს ამკობს იგი, მზერით თვალი ტყდება.

**8 შამთაქაური**

პასუხი: 1. ში ბამოცანებულ „ცხრაპალიტლში“

**კარსკომრდი**

1. გვირილა; 2. ისრიმი; 3. ლეხცოფა; 4. ომბალი; 5. ცირცელი; 6. აკაცია; 7. ვრიფხია; 8. თხმელა; 9. ალუბალი; 10. წენდრო; 11. ავოკადო; 12. ლიმონი; 13. წიწმბატი; 14. ენძელა; 15. ღერწამი; 16. სოსანი

	1	2	3	4	5	6		
7			8					9
10					11			
			12	13	14			
15	16		17			18		19
			20					
21						22		
			23					
24	25					26	27	28
			29	30	31			
32					33			
			34					
	35					36		

ქ. ჭურღოვანიძე, თბილისის 55-ე საშუალო სკოლა, X კლასი.



წაშტაკი იმერეთში.  
ფოტო ვ. ვარციხეიანი